ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის შრომები
Материалы научной конференции, посвященной 80 – летию со дня основания Института геофизики
Reports, presented on the Scientific Conference "80 years of the M. Nodia Institute of Geophysics"

საერთაშორისო კონფერენცია

«გეოფიზიკის აქტუალური პრობლემები»

International Conference

"Advanced Problems in Geophysics"

Международная конференция

"Актуальные проблемы геофизики"

თბილისი – Tbilisi–Тбилиси
2014

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის შრომები

Материалы научной конференции, посвященной 80 – летию со дня основания Института геофизики

Reports, presented on the Scientific Conference "80 years of the M. Nodia Institute of Geophysics"

საერთაშორისო კონფერენცია "გეოფიზიკის აქტუალური პრობლემები", თბილისი, 2013 წ. 9-10 დეკემბერი

International Conference "Advanced Problems in Geophysics", Tbilisi, 9-10 December, 2013.

Международная конференция "Актуальные проблемы геофизики", Тбилиси, 9-10 декабря, 2013.

წინამდებარე კრებულში შესულია მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის, "გეოფიზიკის აქტუალური პრობლემები", მასალები.

კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი მეცნ. დოქტორი, პროფ. ჯ. ქირია

Редактор Доктор наук, проф. Дж. К. Кириа

Editor Doctor J. Kiria

თბილისი – Tbilisi–Тбилиси

2014

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის შრომები
Материалы научной конференции Посвященный 80 – летию со дня основания Института геофизики
Reports, presented on the Scientific Conference "80 years of the M. Nodia Institute of Geophysics"

შავი და კასპიის ზღვების სანაპირო ზონებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული ამოფრქვევების შემთხვევებში ჰაერის შესაძლო დაბინძურების რიცხვითი მოდელირება

ა. კორძაძე, ა. სურმავა

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი. საქართველო, 0171, თბილისი, მ. ალექსიძის ქ., 1
E-mail: akordzadze@yahoo.com, aasurmava@yahoo.com

1. შესავალი

სამხრეთ კავკასია, რომელიც შავი და კასპიის ზღვების საშუალებით აკავშირებს ევროპას, შუა აზის ქვეყნეთან, ჩინეთთან და ინდოეთთან, დიდი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. აქ, დიდ და მცირე კავკასიონის ქედებს შორის მდებარე ვიწრო ზოლში, გაყვანილია ევროპის ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნავთობსადენი და გაზსადენი მილები, შავი, ხმელთაშუა და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი ბაქო-ფოთის რკინიგზა, ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალი, დასასრულს უახლოვდება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა. მათი საშუალებით ყოველწლიურად გადაიტანება მრავალი მილიონი ტონა ტვირთი – ნავთობი, გაზი და სხვ., მათ შორის მომწამვლელი და ფეთქებადსაშიში ნივთიერებანი. როგორც ტრანსკავკასიური სატრანსპორტო დერეფნის ძირითადი საკვანძო პუნქტები, შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებზე მდებარე პორტები ფოთი, ბათუმი, ბაქო და ნავთობმოპოვების მხრივ უდიდესი მნიშვნელობის აფშერონის ნახევარკუნძულის მიმდებარე ტერიტორიები, წარმოადგენენ ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტად მგრძნობიარე რაიონებს. ამ ტერიტორიებზე მოსალოდნელია ავარიული სიტუაციები, როდესაც შეიძლება ამოიფრქვეს ან დაიღვაროს დიდი რაოდენობით დამაბინძურებელი და მომწამვლელი ნივთიერებები. ნივთიერების გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება ადამიანთა ჯანმრთელობაზე და გარემოს მდგომარეობაზე. ამიტომ, კავკასიის ტერიტორიებზე ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფეროში გავრცელების შესწავალას გარკვეული პრაქტიკული ღირებულება და მეცნიერული მნიშვნელობა გააჩნია.

ამოფრქვეული აეროზოლის ატმოსფეროში გავრცელების რიცხვითი მოდელირების პრობლემებისადმი მიძღვნილია მრავალრიცხოვანი ნაშრომები [1-15]. მათში დამუშავებულია ამოცანის მათემატიკური დასმის საკითხები და მათი ამოხსნის რიცხვითი ინტეგრირების მეთოდები [1- 4, 19, 20], განხილულია ცალკეული საწარმოდან ან საწარმოთა ჯგუფიდან ატმოსფეროში გაფრქვეული პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელების საკითხები [1 - 3, 7], შესაბამისი საწყისი და სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით შეუღლებულ განტოლებათა ამოხსნისა და სხვადასხვა ფუნქციონალების გამოყენების გზით დამუშავებულია საწარმოთა ოპტიმალური განლაგების მეთოდიკა [3].

[7] -ში გადმოცემულია ერთი ან რამდენიმე საწარმოდან ატმოსფეროში ამოფრქვეული ცალკეული დამაბინძურებელი ნივთიერების ან ნივთიერებების ჯგუფის მიერ შექმნილი შესაძლო მაქსიმალური კონცენტრაციის სივრცული განაწილების განსაზღვრის მეთოდიკა. ეს მეთოდიკა წარმატებით გამოიყენება საწარმოების პროექტირებისას მათ მიერ გარემოზე მოხდენილი ზემოქმედების დონის შეფასებისათვის [16].

ატმოსფეროში დიდი რაოდენობით ამოფრქვეული პასიური, არაპასიური და რადიოაქტიური ნივთიერების ტრანსასაზღვრო გადატანის რიცხვითი მოდელირება განხორციელებულია ნაშრომებში [8-11]. კავკასიის ტერიტორიისათვის ანალოგიური ამოცანებისადმი მიძღვნილია სტატიები [12-15] და სხვ.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია რიცხვითი მოდელირების საშუალებით შეისწავლოს ქქ. ფოთის, ბაქოს და მეწამორის მიდამოებში მდებარე ინდუსტრიული

ობიექტების ჰიპოთეტური ავარიის შემთხვევებში ატმოსფეროში ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების შესაძლო გავრცელება.

2. ამოცანის დასმა

განტოლება, რომელიც აღწერს პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელებას ატმოსფეროში შემდეგია [1-3]:

$$\frac{\partial c}{\partial t}+u\frac{\partial c}{\partial x}+v\frac{\partial c}{\partial y}+(\tilde{w}-\frac{w_0}{h})\frac{\partial c}{\partial \zeta}=\mu\left(\frac{\partial^2 c}{\partial x^2}+\frac{\partial^2 c}{\partial y^2}\right)+\frac{1}{\rho h^2}\frac{\partial}{\partial \zeta}\rho\nu\frac{\partial c}{\partial \zeta}-\alpha c \qquad (1)$$

სადაც t დროა; x და y აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მიმართული დეკარტეს კოორდინატებია, შესაბამისად; $\zeta=(z-\delta)/h$ უგანზომილებო ვერტიკალური კოორდინატაა; z ვერტკალურად მიმართული დეკარტეს კოორდინატაა; $\delta=\delta_0(x,y)+50$ მ ატმოსფეროს მიწისპირა ფენის სიმაღლეა; δ_0 რელიეფის სიმაღლეა; $h = H - \delta$; $H(t,x,y)$ ტროპოპაუზის სიმაღლეა; u, v, w და $\tilde{w}$ ქარის სიჩქარის მდგენელებია x, y, z და ζ ღერძების გასწვრივ, შესაბამისად. ისინი გამოითვლებიან დროის ყოველი მომენტისათვის ატმოსფეროს დინამიკის მოდელის [17] რეალიზაციის საშუალებით; ρ მშრალი ჰაერის სიმკვრივის სტანდარტული ვერტიკალური განაწილებაა; μ და ν ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის კოეფიციენტებია და გამოითვლებიან [18-20]-ში გამოყენებული ფორმულებით; α - ნივთიერების ატმოსფეროში გარდაქმნის (დაშლის) სიჩქარეა.

რიცხობრივად მოდელირებული იყო ატმოსფეროში პასიური დამაბინძურებელი ინგრედიენტის გავრცელება, რომელიც პირველი 6 სთ-ის განმავლობაში უწყვეტად ამოიფრქვევა ქქ. ბაქოს, ფოთის და მეწამორის მიდამოებში (ნახ. 1) $(10\times10\times0.2)$კმ^3 მოცულობის ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის Ω არეში. ამ არეში ამოფრქვევის პერიოდში დამაბინძურებელი ინგრედიენტის კონცენტრაცია უდრის 100 პირობით ერთეულს (პ. ე.) ხოლო შემდგომი მომენტებისათვის გამოითვლება (1) განტოლებით. გამოთვლები ჩატარდა დროის 48 სთ-იანი ინტერვალისათვის. დროის ყოველ ბიჯზე, როგორც იყო ზევით აღნიშნული, ჯერ გამოითვლება ძირითადი მეტეოროლოგიური ველების განაწილება სივრცეში [17] მოდელის საშუალებით და შემდეგ მიღებული ველების გამოყენებით რიცხობრივად ინტეგრირდება (1) განტოლება.

3. მიღებული შედეგების ანალიზი

ნახ. 2. ა -ზე ნაჩვენებია ქ. ფოთის მიდამოებში ატმოსფეროში გაფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერების რიცხვითი მოდელირებით მიღებული რეგიონალური გავრცელება სუსტი ფონური დასავლეთის ქარის შემთხვევაში. ნახაზიდან ჩანს, რომ პირველი 24 საათის განმავლობაში ატმოსფეროს მიწისპირა ფენის დონეზე ნივთიერება გადაიტანება დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებებით ისე, რომ ამოფრქვეული ნივთიერების მასის ძირითადი ნაწილი გარს უვლის მთავარი კავკასიონის ქედს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან და იწყებს გავრცელებას ჩრდილო კავკასიაში. გაცილებით მცირე რაოდენობის დამაბინძურებელი ნივთიერება გადაიტანება აღმოსავლეთით – სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. ეს ნაკადი გადაევლება რიკოთის უღელტეხილს და ვიწრო ზოლის სახით ვრცელდება ქართლის ვაკის გავლით აღმოსავლეთ საქართველოში. z = 2კმ და უფრო მაღალ დონეებზე დამაბინძურებელი ნივთიერება ვრცელდება მეტი სიჩქარით ვიდრე მიწისპირა ფენაში. ერთდროულად ფართოვდება დაბინძურების ზონა და იკავებს დიდ სივრცეს კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილის თავზე. ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია პირველი 24 სთ-ის განმავლობაში მცირდება საწყისი 100 პ. ე-დან 20 პ. ე-მდე. მაქსიმალური კონცენტრაცის ზონა მდებარეობს შავი ზღვის თავზე 1 კმ სიმაღლეზე. მისი მდებარეობა ამოფრქვევის წყაროდან დაშორებულია დაახლოებით 50-60 კმ მანძილზე.



ნახ. 1. კავკასიის რეგიონის რელიეფი და ამოფრქვევების წყაროთა მდებარეობა.

ფონური ჩრდილოეთის ქარის შემთხვევაში დამაბინძურებელი ნივთიერების ღრუბელი ამოფრქვევის ადგილიდან გადაადგილდება აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით (ნახ 2. ბ). ლიხის და მცირე კავკასიონის ქედების შემაფერხებელი ზემოქმედების შედეგად, ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში როცა t = 24 და 36 სთ დაბინძურებული ზონა გაჭიმულია ნამგლის ფორმის ვიწრო ზოლის სახით გურიის, აჭარისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის თავზე. დროის აღნიშნული მომენტებისათვის კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები საწყის მნიშვნელობასთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 20 და 100 ჯერ, შესაბამისად.



ნახ. 2. ქარის სიჩქარისა და ქ. ფოთში ამოფრქვეული ნივთიერების კონცენცენტრაციის განაწილება ატმოსფეროს მიწისპირა ფენის დონეზე როცა t = 0, 24, 36 სთ ფონური დასავლეთის ა), ჩრდილოეთის ბ) და აღმოსავლეთის გ) ქარების შემთხვევებში.

ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერება ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში აღმოსავლეთის ქარის შემთხვევაში როცა t = 36 სთ ძირითადად კონცენტრირებულია კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ტერიტორიაზე და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანა-პიროზე (ნახ. 2. გ). ის ვრცელდება როგორც ერთიანი ღრუბელი და არაა დეფორმირებული ოროგრაფიის გავლენით. დაბინძურების ღრუბლის ჰორიზონტალური გადადგილების სიჩქარე შეადგენს დაახლოებით 10-12 კმ/სთ-ს.

ნახ. 3 -ზე ილუსტრირებულია ქ. ბაქოში ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელება ფონური აღმოსავლეთის ქარის დროს. ჩანს, რომ პირველი 6 სთ-ის განმავლობაში დამაბინძურებელი ნივთიერება ძირითადად ლოკალიზირებულია აფშერონის

ნახევარკუნძულის მიდამოებში 300 კმ სიგრძისა და 150 კმ სიგანის ელიფსური ფუძის მქონე ცილინდრულ არეში. შემდეგ დამაბინძურებელი ნივთიერების ღრუბელი ვრცელდება მცირე კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი კალთის გასწვრივ მუგამისა და შირვანის დაბლობების თავზე და იკავებს ჩრდილოეთ სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის დიდ ნაწილს. ამოფრქვევის დაწყებიდან 48 საათის შემდეგ დაბინძურება გავრცელებულია მთელ სამხრეთ კავკასიაში კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე.

მოდელირებული იქნა ქ. მეწამორში მდებარე სომხეთის ატომური ელექტროსადგურიდან ჰიპოთეტური ამოფრქვევის შემთხვევაში ატმოსფეროში რადიოაქტიური ^{131}I –ის გავრცელება. განხილული იქნა 10 მკმ ზომის ნაწილაკების გადატანა და ნიადაგის ზედაპირზე მისი დალექვა ფონური სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარის დროს. ^{131}I – ის დაშლის ნახევარპერიოდი $T_{rad} = 8.02$ დღეს, სედიმენტაციის სიჩქარე – $W_0 = 1$ სმ/წმ [1].

რადიაქტიური ღრუბელი, რომელიც შეიძლება ამოიფრქვეს ჰიპოთეტური ავარიის შედეგად, პირველი 24 სთ-ის განმავლობაში ვრცელდება სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე (ნახ. 4.ა). დროის შემდგომ მომენტებში რადიაქტიული მტვრის ღრუბლის ნაწილი გადაევლება მთავარ კავკასიონის ქედს და მიყვება მის ჩრდილოეთ, სამხრეთ კალთებს და შავი ზღვის სანაპირო ზოლს. რადიაქტიური მტვერი აღწევს რა ზღვას, ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში ფორმირებული მეზომასშტაბის მქონე ქარის სიჩქარის ციკლონური გრიგალის მოქმედებით, გადაიტანება სამხრეთით და იკავებს მნიშვნელოვან სივრცეს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. გამოთვლებმა აჩვენა, რომ რადაქტიურ ღრუბელს სჭირდება დაახლოებით 20 საათი იმისთვის, რომ მიაღწიოს შავი ზღვის სანაპირო ზონამდე. ამ მომენტისათვის მისი კონცენტრაცია ატმოსფეროში მაქსიმალურთან შედარებით შემცირებულია 100 – ჯერ და უფრო მეტად.

რადიაქტიური მტვერი გავრცელებისას ნიადაგზე ტოვებს დანალექის ფართო ზოლს ამოფრქვევის ადგილიდან შავი ზღვის სანაპიროს ჩათვლით (ნახ. 4. ბ). ნიადაგზე დაფენილი აეროზოლის ზედაპირული სიმკვრივე მაქსიმალურია წყაროს მიდამოებში და სწრაფად მცირდება პერიფერიისაკენ.

4. დასკვნა

შავი და კასპიის ზღვების სანაპირო ზონებში მდებარე საწარმოებიდან ატმოსფეროში ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების გადატანის რიცხვითმა მოდელირებამ აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიის რელიეფი მნიშვნელოვნად მოქმედებს დაბინძურების ღრუბლების გავრცელების ტრაექტორიებზე. განსაკუთრებულ როლს თამაშობს ლიხის ქედი, რომელიც ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში, გარკვეულ პირობებში იწვევს დაბინძურების ღრუბლის დეფორმირებას და მისი მოძრაობის ტრაექტორიის შეცვალას. თავისუფალ ატმოსფეროში რელიეფის



ნახ. 3. ქარის სიჩქარისა და ქ. ბაქოში ამოფრქვეული ნივთიერების კონცენცენტრაციის განაწილება ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში როცა t = 0, 6, 24 და 48 სთ ფონური აღმოსავლეთის ქარის დროს.

ა) ბ)



ნახ. 4. ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში ^{131}I-ის კონცენტრაცის ა) და ნიადაგზე დანალექის ზედაპირული სიმკვრივის ბ) განაწილება ფონური სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარის დროს, როდესაც t = 0, 24 და 48 სთ.

გავლენა დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელების მიმართულებაზე მნიშვნელოვნად სუსტია. თავისუფალ ატმოსფეროში ამოფრქვეული აეროზოლები ძირითადად გადაიტანებიან ფონური დინებების გასწვრივ.

შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის და მასთან მიმდებარე ტერიტორის დაბინძურება შეიძლება მოხდეს არა მარტო ადგილობრივი წყაროებიდან ამოფრქვეული აეროზოლების გადატანა-დიფუზიის შედეგად, არამედ იმ წყაროებიდანაც რომლებიც მდებარეობენ სამხრეთ კავკასიის უკიდურესად აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში. გამოთვლებმა აჩვენეს, რომ დაახლოებით 20 სთ არის საჭირო იმისათვის, რომ კასპიის ზღვის მიდამოებში მდებარე წყაროდან ამოფრქვეულმა აეროზოლებმა აღმოსავლეთის ქარის შემთხვევაში მიაღწიოს შავი ზღვის სანაპიროს.

ნაშრომში მიღებული შედეგები ძირითადად თვისებრივ ხასიათს ატარებენ. მათი რაოდენობრივი შეფასებისათვის საჭიროა კონკრეტული ავარიის შემთხვევებში ჩატარდეს სპეციალური დაკვირვებები და გაზომვებით მიღებული მონაცემები შედარდეს თეორიულად გამოთვლილ შედეგებს.

მადლობის გამოხატვა. ავტორები უცხადებენ მადლობას ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკს ინსტიტუტის „გეოფიზიკური და ეკოლოგიური პრობლემების მათემატიკური მოდელირების" საქალაქო სემინარის მონაწილეებს ნაშრომის განხილვისას გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნებისათვის, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდს რომლის დაფინანსების ფარგლებშიც შესრულდა ეს სამუშაო (გრანტი AR/373/9-120/12).

ლიტერატურა

[1] Берлянд М. Е. Современные проблемы атмосферной диффузии и загрязнения атмосферы. JL: Гидрометеоиздат. 1975. 448 с.

[2] Алоян А.Е., Йорданов Д.Л., Пененко В.В. Численная модель переноса примесей в пограничном слое атмосферы. Метеорология и гидрология. 1981. № 8, с. 32-43.

[3] Марчук Г.И. Математическое моделирование в проблеме окружающей среды. М. :Наука. 1982. 320с.

[4] Белов П.Н., Карлова З. Л. Траекторная модель переноса загрязнений. Метеорология и гидрология. 1990. № 12, с. 67-74.

[5] Буйков М.В. О граничном условии для уравнения турбулентной диффузии на подстилающей поверхности. Метеорология и гидрология. 1990. № 9, с.52-56.

[6] Указания по расчету рассеивания в атмосфере вредных веществ, содержащихся в выбросах предприятий. СН 369-74. М.: Стройиздат. 1975. 41 с.

[7] Вельтищева Н.С. Моделирование трансграничного переноса двуокиси серы с учетом вертикальных движений. Метеорология и гидрология. 1980. №7.

[8] Дегтярев А.И., Наумов А.Д., Рыбаков И.В., Свиренко П.И., Штырева Н.В. Численная модель дальнего и трансграничного переноса загрязнений в атмосфере. Новые технологии. 1996. № 2, с. 10-11.

[9] Kimura F., Yoshikawa T. Numerical simulation of global scale dispersion of radioactive pollutants from the accident at the Chernobyl nuclear power plant. J.Met. Soc. Japan. 1988. V. 66. P. 489-495.

[10]Pudykiewicz J. Simulation of the Chernobyl dispersion with a 3-D hemispheric tracer model. Tellus. 1988. - 41B., pp. 391-412.

[11] Сванидзе Г. Г.,Чантладзе и др.. А.Мониторинг влияния загрязнения на состояние природных сред вть условиях горного региона. Комплексный глобальный мониторинг загрязнения окружающей природной среды. Труды II международного симпозиума, СССР, Тбилиси, 12-17 окт., Л: Гидрометеоиздат,1982, с. 114-121.

[12] Gordeziani D., Davitashvili T., Khvedelidze Z. Mathematical Model of the Atmosphere Pollution for the Mountain Region. Reports of enlarged Sessions of the Seminar of VIAM. vol.14 No. 3, 1999 pp.18-24.

[13] Surmava A. A. Numerical investigation of the modeling of transportation and deposition of the radioactive pollution in the Caucasian Region in case of the hypothetical accident on the Armenian Nuclear Power Plant./ Journal of the Georgian Geophysical Society, Issue B, Physics of Atmosphere, Ocean and Space Plasma, v.15, 2012.

[14]. Surmava A. A. On the Caucasus terrain influence on the spatial and temporary evolution of the vortexes and displacementof the pollution clouds in the atmosphere. Journal of the Georgian Geophysical Society, Issue (B), Physics of Atmosphere, Ocean and Space Plasma, v. 14, 2010, pp. 10-121.

[15] ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. თაბაგრების მიმდებარედ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. შპს „გამა კონსალტინგი", თბილისი, 2014, 116 გვ http://moe.gov.ge.files...

[16]. Kordzadze A. A., Surmava A. A., demetrashvili D. L., and Kukhalashvili V. G. Numerical Investigation of the Influence of the Caucasus Relief on the Distribution of the Hydrometeorological Fields. 2007, Izvestia, Atmospheri and Oceanic Phys., vol. 43, No. 6, pp. 722-730.

[17] Зилинтикевич С. С., Монин А. С. Турбулентность в динамических моделях атмосферы. Л.: Наука, 1971, 44 с.

[18]. Марчу Г. И. Численное решение задач динамики атмосферы и океана". Л.: Гидрометеоиздат. 1974, 302 с.

[19] Кордзадзе А. А. Математическое моделирование динамики морских течений (теория, алгоритмы, численные эксперименты). Москва.: ОВМ АН СССР, 1989, 218 с.

Numerical modeling of the possible pollution of the atmosphere in case of the hypothetical accidental emission of the pollution substances in vicinities of the Black and Caspian Seas coastal zones

A. Kordzadze, A. Surmava

Abstract

The distribution of the pollution substances emitted in the atmosphere in result of the hypothetical accidents in the industrial centers located on the Great Silk Road's Caucasian interval - in the t. Poti, t. Baku and t. Metsamor by numerical modeling are investigated. The possible trajectories of the pollution substances displacements in case of the different background winds by calculations are determined. It is shown the relief of the Caucasian Region significantly changes the trajectory of pollution clouds.

Численное моделирование возможного загрязнения воздуха в результате аварийных выбросов загрязняющих веществ в прибрежных полосах Черного и Каспийского морей

А. Кордзадзе, А. Сурмава

Резюме

Путем численного моделирования исследовано распространение загрязняющих веществ аварийно выброшенных в атмосферу в индустриальних центрах, расположенных на транскавкаском транспортном коридоре – в городах Поти, Баку и Мецамори. Расчетами определены возможные траектории облаков загрязнения при различных фоновых ветрах. Показано, что рельеф региона в пограничном слое атмосферы существенно меняет траекторию перемещения загрязнения.

შავი და კასპიის ზღვების სანაპირო ზონებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული ამოფრქვევების შემთხვევებში ჰაერის შესაძლო დაბინძურების რიცხვითი მოდელირება

ა. კორძაძე, ა. სურმავა

რეზიუმე

რიცხვითი მოდელირებით შესწავლილია დიდი აბრეშუმის გზის კავკასიის მონაკვეთზე მდებარე ინდუსტრიული პუნქტების - ქქ. ფოთის, ბაქოს და მეწამორის მიდამოებში ჰიპოთეტური ავარიის შედეგად ამოფრქვეული ნივთიერებების გავრცელება ატმოსფეროში. გამოთვლებით დადგენილია დამაბინძურებელი ღრუბლების გავრცელების შესაძლო ტრაექტორიები სხვადასხვა ფონური ქარების შემთხვევებში. ნაჩვენებია, რომ რელიეფი ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში მნიშვნელოვნად ცვლის დაბინძურების ღრუბლის გადაადგილების ტრაექტორიას.

შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში განვითარებული დინამიკური პროცესები 2010-2014 წწ. ცივ სეზონში

ავთანდილ კორძაძე[1], დემური დემეტრაშვილი[1], ალექსანდრე სურმავა[1]

[1]ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, ალექსიძის ქ. 1, 0171 თბილისი, akordzadze@yahoo.com, demetr_48@yahoo.com, aasurmava@yahoo.com

1. შესავალი

დღეისათვის შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზონაში სანაპირო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სამეურნეო საქმიანობის გააქტიურებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ანთროპოგენური ზემოქმედების ინტენსიფიკაცია საქართველოს ტერიტორიულ წყლებზე, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ზღვის ეკოსისტემას. წყლის ტემპერატურა, მარილიანობა, დინება და ზღვის დონის ცვალებადობა წარმოადგენს სანაპირო ზოლში მიმდინარე მრავალი ეკოლოგიური პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორს. ცხადია, რომ არსებულ ვითარებაში ჩვენი ქვეყნისათვის მეტად აქტუალურია შავი ზღვის მდგომარეობის საიმედო ავტომატიზირებული კონტროლის სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ოპერატიულად მივიღოთ ზღვის მიმდინარე და მომავალი დინამიკური და ეკოლოგიური მდგომარეობების ამსახველი ინფორმაცია.

[1-6] – ში მოცემულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში შავიზღვისპირა ქვეყნების კვლევით ცენტრებთან სამეცნიერო თანამშრომლობით ევროკავშირის საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების ARENA და ECOOP ფარგლებში შემუშავებული შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის მდგომარეობის პროგნოზის რეგიონული სისტემა და მის საფუძველზე გამოთვლილი პროგნოზის მაგალითები (ეს აკვატორია გამოყოფილია ზღვის ღია ნაწილისაგან თხევადი საზღვრით, რომელიც გადის ა. გ. 39.08° - ზე). რეგიონული პროგნოზის სისტემა, რომელიც ერთ-ერთი კომპონენტია მთლიანად შავი ზღვის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემისა [7, 8], საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის სამგანზომილებიანი ველები 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით შავი ზღვის საქართველოს სექტორსა და მის მიმდებარე აკვატორიაში. რეგიონული პროგნოზის სისტემას საფუძვლად უდევს შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ოკეანის ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრულ სისტემაზე ჰიდროსტატიკურ მიახლოებაში. მოდელში გათვალისწინებულია: 1. ატმოსფეროს ქარისმიერი და თერმოხალინური ზემოქმედება; 2. ზღვის ფსკერის რელიეფი და კონფიგურაცია; 3. შავ ზღვაში ჩამდინარე საქართველოს ძირითადი მდინარეების (ენგური, რიონი, ჭოროხი და სხვ.) ხარჯები; 4. მზის რადიაციის შთანთქმა ზღვის ზედა ფენის მიერ; 5. ტურბულენტური სიბლანტისა და დიფუზიის კოეფიციენტების დროით-სივრცითი ცვალებადობა.

რეგიონული პროგნოზის სისტემის საფუძველზე გამოთვლილი პროგნოზული ჰიდროფიზიკური ველების ანალიზმა შესაძლებელი გახადა გამოგვეკვლია შავი ზღვის განაპირა აღმოსავლეთ ნაწილის ჰიდროფიზიკური ველების ევოლუციის ძირითადი თავისებურებანი და გაგვეღრმავებინა ჩვენი ცოდნა ზღვის აღნიშნულ აკვატორიაში განვითარებული დინამიკური პროცესების შესახებ [9-12].

მოცემული სტატიის ძირითადი მიზანია შავი ზღვის საქართველოს სექტორსა და მის მიმდებარე აკვატორიაში წლის ცივ პერიოდში (ნოემბერი-მარტი) მიმდინარე დინამიკური პროცესების შედარებით დეტალური გამოკვლევა რეგიონული პროგნოზის სისტემის საშუალებით 2010-2014 წწ. გამოთვლილი ჰიდროფიზიკური ველების ანალიზის საფუძველზე. ამგვარად, აღნიშნული სტატია ფაქტიურად გაგრძელებაა იმ გამოკვლევებისა, რომლებიც აღწერილია [9-12] - ში.

2. რეგიონული პროგნოზის სისტემის ძირითადი პარამეტრები და შემავალი მონაცემები

შავი ზღვის დინამიკის ბაროკლინური რეგიონული მოდელი, რომელიც წარმოადგენს რეგიონული პროგნოზული სისტემის ძირითად ბირთვს, იყენებს სათვლელ ბადეს 1 კმ სივრცითი ჰორიზონტალური ბიჯით. ვერტიკალზე განიხილება 30 სათვლელი დონე ცვლადი ბიჯებით შემდეგ სიღრმეებზე: 2, 4, 6, 8, 12, 16, 26, 36, 56, 86, 136, 206, 306,...,2006 მ. თითოეულ ჰორიზონტზე ბადის კვანძების რაოდენობაა 215 x 347. დროითი ბიჯია 0,5 სთ.

რეგიონული მოდელის განტოლებათა სისტემა [3, 6, 13], რომელიც განიხილება დეკარტის მართკუთხოვან კოორდინატთა სისტემაში, ამოიხსნება ფიზიკური პროცესების, საკოორდინატო ვერტიკალური სიბრტყეებისა და წრფეების მიხედვით გახლეჩის ორციკლიანი მეთოდის გამოყენებით [14, 15].

შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მოდელის ბადე ჩადგმულია უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტის (ქ. სევასტოპოლი) 5 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობის მქონე შავი ზღვის დინამიკის მოდელში [16]. ზღვის დინამიკური მდგომარეობის 3 დღიანი პროგნოზის გათვლისათვის საჭირო მოდელში შემავალი მონაცემები - დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის საწყისი სამგანზომილებიანი ველები, აღნიშნული სიდიდეების პროგნოზული მნიშვნელობები თხევად საზღვარზე, ასევე ზღვა-ატმოსფეროს საზღვარზე ქარის ხახუნის ტანგენციალური დაძაბულობის, ატმოსფერული ნალექების, აორთქლებისა და სითბოს ტურბულენტური ნაკადების პროგნოზული მნიშვნელობები 1 სთ დროითი ბიჯით ყოველდღიურად მოგვეწოდება ინტერნეტის საშუალებით ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტიდან. რეგიონული არის თხევად საზღვარზე ჰიდროფიზიკურ სიდიდეთა პროგნოზული მნიშვნელობები გამოითვლება ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტის შავი ზღვის დინამიკის მოდელის საფუძველზე (ქ. სევასტოპოლი), ხოლო ზღვის ზედაპირზე აღნიშნულ მეტეოროლოგიურ სიდიდეთა პროგნოზული მნიშვნელობები მიიღება ატმოსფეროს დინამიკის რეგიონული მოდელის ALADIN [17] საფუძველზე, რომლის რეალიზაცია ხდება რუმინეთის ეროვნულ მეტეოროლოგიურ სამსახურში (ქ. ბუქარესტი).

ამჟამად, შავი ზღვის მდგომარეობის რეგიონული პროგნოზის სისტემა ფუნქციონირებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში ოპერატიულთან მიახლოებულ რეჟიმში და გამოთვლილი ჰიდროფიზიკური ველების – ზღვის დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3-დღიანი პროგნოზის შედეგების ნახვა ვიზუალური სახით 0, 20 და 50 მ ჰორიზონტებზე შესაძლებელია ინტერნეტში შემდეგ მისამართებზე:

www.ig-geophysics.ge, www.oceandna.ge.

3. შედეგების ანალიზი

ზღვის რეგიონული პროგნოზის სისტემის საფუძველზე 2010-2014 წწ.-ში გამოთვლილი პროგნოზული ჰიდროფიზიკური ველების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონული ცირკულაციური პროცესების ხასიათი წლის ცივ პერიოდებში





ნახ.1. გამოთვლილი ზედაპირული დინების ველები 2013-2014 წწ. ცივ სეზონში. (ა) – 24 ნოემბერი 2013; (ბ) - 5 დეკემბერი 2013; (გ) - 24 დეკემბერი 2013; (დ) - 2 იანვარი 2014; (ე) - 10 იანვარი 2014; (ვ) - 23 იანვარი 2014.

მნიშვნელოვანწილად განსხვავდება თბილი პერიოდის დამახასიათებელი ცირკულაციისაგან. ბათუმის ანტიციკლონური გრიგალი, რომელიც ხშირად დომინირებს წლის თბილ სეზონში, ცივ პერიოდში ნაკლებად ან ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულად აღარ დაიკვირვება და ადგილი აქვს სხვადასხვა მასშტაბის ციკლონური და ანტიციკლონური გრიგალების გენერაციის, ევოლუციისა და დისიპაციის არასტაციონარულ პროცესებს. ზოგადად, ცივი სეზონის ცირკულაციური რეჟიმებისათვის დამახასიათებალია დინების დომინირებული მიმართულების არარსებობა და სხვადასხვა ზომის გრიგალური სტრუქტურების ფორმირება. ზოგიერთ შემთხვევაში გრიგალური სტრუქტურები აყალიბებენ ჭავლურ დინებებს, რომელთა სიჩქარე მნიშვნელოვნად ძლიერდება გრიგალებს შორის არსებულ ვიწრო არეებში. გარდა ცივი სეზონისათვის დამახასიათებელი საერთო თავისებურებებისა, ზღვის ზედაპირული ცირკულაციის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვადასხვა წლებში. ასე მაგალითად, 2010-2011 და 2011-2012 წლებში ცივი სეზონის დამახასიათებელი ცირკულაციური რეჟიმის თავისებურებები შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ ოქტომბერში, როდესაც თბილი სეზონისათვის დამახასიათებელი ბათუმის ანტიციკლონური გრიგალი თანდათან გაქრა და დაიწყო შედარებით მცირე გრიგალური სტრუქრურების ჩამოყალიბების პროცესი. 2012-2013 და 2013-2014 წწ.-ის ცივი პერიოდისათვის დაიკვირვებოდა ბათუმის ანტიციკლონური გრიგალის მოგვიანებითი დისიპაცია, რის შედეგადაც 2012 და 2013 წწ. –ის ნოემბერში ფორმირებული დინების ველების სტრუქტურა ჯერ კიდევ ატარებდა თბილი სეზონისათვის დამახასიათებელ ცირკულაციურ თავისებურებებს. აღნიშნულ დროით ინტერვალში კვლავ დომინირებდა ანტიციკლონური გრიგალი, რომლის ცენტრმაც გადაინაცვლა ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო დიამეტრი გარკვეულწილად შემცირდა.



ნახ. 2. გამოთვლილი დინების ველი 2013 წლის 8 დეკემბერს 0 (ა), 20 (ბ) და 50 მ (გ) ჰორიზონტებზე.

ჩვენს მიერ მიღებული და გაანალიზებული ცირკულაციური სურათები კარგად ასახავს აღნიშნულ წლებში შავი ზღვის საქართველოს სექტორსა და მის მიმდებარე აკვატორიაში განვითარებული დინამიკური პროცესების ევოლუციას, მაგრამ სტატიის მოცულობის შეზღუდულობის გამო, ტექსტი ილუსტრირებულია შეზღუდული რაოდენობის სურათებით, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნის ზღვის აღნიშნულ რეგიონში განვითარებულ დინამიკურ პროცესებზე.

ნახ. 1-ზე წარმოდგენილია 2013-2014 წწ.-ის ცივი სეზონის შესაბამისი ზედაპირული ცირკულაციის ველები. ნახ. 1-ზე კარგად დაიკვირვება ანტიციკლონური გრიგალი, რომლის დიამეტრი დაახლოებით 60-70 კმ-ია და სიჩქარეები 45 სმ/წმ-მდე იზრდება მის აღმოსავლეთ და სამხრეთ პერიფერიულ დინებებში. როგორც ჩანს, აღნიშნული გრიგალი წარმოადგენს 2013 წლის თბილ სეზონში განვითარებული უფრო ინტენსიური ბათუმის ანტიციკლონური გრიგალის [იხ., 9-12] ტრანსფორმაციის შედეგად მიღებულ გრიგალურ წარმონაქმნს, რომელიც მილევის სტადიაში იმყოფება. მართლაც ეს გრიგალი ზომებში თანდათან მცირდება (ნახ. 1ბ), ხოლო დეკემბრის მეორე ნახევარში და შემდგომ პრაქტიკულად აღარ დომინირებს (ნახ.1გ-1ვ). 2013 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან განხილული არის აღმოსავლეთ ნაწილში ჩაისახა ციკლონური გრიგალი, რომელიც მდგრად სტრუქტურად ჩამოყალიბდა და არსებობდა მთელი დეკემბრის განმავლობაში. აღნიშნულმა გრიგალმა განაგრძო არსებობა იანვრის პირველ ნახევარშიც და მის სამხრეთ-დასავლეთით ფორმირებულ ანტიციკლონური სახის გრიგალთან შეადგინა დიპოლური სტრუქტურა (ნახ. 1დ, 1ე) უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის ნოემბრის განმავლობაში ცირკულაციური სურათი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და იგი მსგავსი იყო ნახ. 1ა -ზე წარმოდგენილი სტრუქტურისა გარკვეული მოდიფიკაციებით. როგორც ნახ.1-დან ჩანს, 2013-2014 წწ.-ის ზამთრის შესაბამისი ცირკულაციური რეჟიმი საქართველოსა და მის მიმდებარე აკვატორიაში ხასიათდებოდა მკვეთრად გამოხატული გრიგალური მოძრაობებითა და გრიგალებს შორის ფორმირებული ჭავლური ხასიათის დინებებით.

მოდელირებული ცირკულაციური ველების ანალიზმა, ისევე როგორც ადრე ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა [13] აჩვენა, რომ ძლიერი ქარები გამაგლუვებელ გავლენას ახდენენ ზედაპირულ ცირკულაციაზე, რაც გამოიხატება სხვადასხვა მასშტაბის ციკლონური და ანტიციკლონური გრიგალური წარმონაქმნების გაქრობაში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ნახ. 2-ზე ნაჩვენები რეგიონული ცირკულაციური სურათი ზღვის ზედა ფენაში 2013 წლის 8 დეკემბერს, როდესაც ადგილი ქონდა ძლიერ ქარებს შავი ზღვის საქართველოს სექტორისა და მისი მიმდებარე აკვატორიის ზემოთ. ქარის ენერგეტიკულმა ზემოქმედებამ გამოიწვია გრიგალური მოძრაობების ჩახშობა ზღვის ზედაპირზე და ზემო 5-10 მ სისქის ფენაში, მაგრამ ამ ფენის

ქვემოთ ქარის გავლენა პრაქტიკულად არ შეიმჩნეოდა. ნახ. 2ბ და 2გ-ზე კარგად ჩანს ზღვის ცირკულაციის მკვეთრად გამოხატული გრიგალური ხასიათი 20 და 50 მ სიღრმეებზე, მაშინ როდესაც ზღვის ზედაპირული დინება სრულიად გაგლუვებულია და პრაქტიკულად მთელ არეში მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთით (ნახ. 2ა).

2012-2013 წწ.-ის ცივ სეზონში განვითარებული რეგიონული ცირკულაციური პროცესების ილუსტრირებას ახდენს ნახ. 3. მსგავსად 2013 წლის ნოემბრის ცირკულაციისა (ნახ. 1), 2012 წლის ნოემბერში დომინირებდა ანტიციკლონური გრიგალი, რომელიც წარმადგენდა თბილი სეზონის დამახასითებელი ბათუმის ანტიციკლონური გრიგალის ტრანსფორმაციის შედეგს. ნახ. 1 და ნახ. 3-ის შედარება კარგად წარმოაჩენს 2013-1014 და 2012-2013 წწ.-ის ზამთრის ცირკულაციური პროცესების განმასხვავებელ თავისებურებებს. მაშინ როდესაც 2013-2014 წწ.-ის ზამთრის პერიოდის ცირკულაციურ სტრუქტურებში პრაქტიკულად არ არის გამოკვეთილი დომინირებული მიმართულება და ზედაპირული ცირკულაციას მკვეთრად გამოხატული გრიგალური სტრუქტურა აქვს, 2012-2013 წწ-ის ზამთრის ცირკულაციაში დომინირებს დინების ციკლონური ხასიათი. ასე მაგალითად, ნახ. 3გ, 3დ და 3ე-ზე გამოსახულ ცირკულაციურ სურათებზე კარგად დაიკვირვება ციკლონური ხასიათის გრიგალი, რომელიც გარეშე ფაქტორების – ატმოსფერული ქარისა და თერმოხალინური ზემოქმედების არასტაციონარულობის პირობებში, ასევე სხვა გრიგალურ წარმონაქმნებთან ურთიერთქმედების შედეგად გარკვეულ ევოლუციას განიცდის. ამ სურათებზე კარგად ჩანს სხვა, შედარებით მცირე ზომის ციკლონური და ანტიციკლონური გრიგალების ჩასახვისა და ევოლუციის პროცესებიც.



ნახ. 3. გამოთვლილი ზედაპირული დინების ველები 2012-2013 წწ. ცივ სეზონში. (ა) – 16 ნოემბერი 2012; (ბ) – 16 დეკემბერი 2012; (გ) – 28 დეკემბერი 2012; (დ) – 9 იანვარი 2013; (ე) – 20 თებერვალი 2013; (ვ) – 7 მარტი 2013.

ნახ. 4-ზე ნაჩვენებია 2011-2012 წწ.-ის ნოემბერი-მარტის შესაბამისი ზედაპირული რეგიონული დინების ველები. განსხვავებით 2013 და 2012 წწ.-ის ნოემბრის ცირკულაციისა, 2011 წლის ნოემბრის ცირკულაცია განაპირა აღმოსავლეთ ნაწილში მკვეთრად განსხვავდებოდა თბილი სეზონის დამახასიათებელი ცირკულაციისაგან, რომლის მთავარ ელემენტს ხშირ შემთხვევაში ანტიციკლონური გრიგალი წარმოადგენს. როგორც ნახ. 4-დან

ჩანს, 2011 წლის დეკემბრისა და 2012 წლის იანვრის ცირკულაციური სტრუქტურა გრიგალურ ხასიათს ატარებდა მკვეთრად გამოხატული გრიგალური წარმონაქმნებით, რომელთა გაქრობა ხდებოდა თებერვალსა და ნაწილობრივ მარტში (ნახ. 4ე და 4ვ), შავი ზღვის ამ რეგიონის ზემოთ განვითარებული შედარებით ძლიერი ატმოსფერული ქარების ზემოქმედებით.



ნახ. 4. გამოთვლილი ზედაპირული დინების ველები 2011-2012 წწ. ცივ სეზონში. (ა) – 17 ნოემბერი 2011; (ბ) – 13 დეკემბერი 2011; (გ) – 28 დეკემბერი 2011; (დ) – 18 იანვარი 2012; (ე) – 22 თებერვალი 2012; (ვ) – 14 მარტი 2012.

2010-2011 წწ.-ის ცივ სეზონში ფორმირებული ზედაპირული დინებები (ნახ. 5) ხასიათდებოდა სხვადასხვა სახის გრიგალური წარმონაქმნებით, რომლებიც უწყვეტ ევოლუციას განიცდიდნენ. აღსანიშნავია 2011 წლის 19 იანვარს განვითარებული ცირკულაციური სურათი (ნახ. 5დ), სადაც დომინირებს დიპოლური სახის გრიგალური სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ციკლონურ და ანტიციკლონურ გრიგალებს დაახლოებით 80-100 კმ დიამეტრით. შედარებით მცირე სივრცითი განფენილობის სტრუქტურა დაიკვირვებოდა ასევე 2011 წლის 4 მარტს განსახილველი არის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ნახ. 5გ). აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის გრიგალური დიპოლების ჩამოყალიბება ხშირია სხვა წლებშიც, ასე მაგალითად, 2013 წლის დეკემბერსა და 2014 წლის ინვარში.

როგორც გამოთვლილი ველების ანალიზი მოწმობს, მარტის მეორე ნახევარში ჩვენს მიერ განხილული აკვატორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ფორმირებას იწყებს ანტიციკლონური გრიგალი, რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ბათუმის ანტიციკლონური გრიგალის ჩანასახს, დროთა განმავლობაში იგი იმატებს ზომებში და უფრო ინტენსიური ხდება.



ნახ. 5. გამოთვლილი ზედაპირული დინების ველები 2010-2011 წწ. ცივ სეზონში. (ა) – 8 ნოემბერი 2010; (ბ) – 5 დეკემბერი 2010; (გ) – 27 დეკემბერი 2010; (დ) – 19 იანვარი 2011; (ე) – 5 თებერვალი 2011; (ვ) – 4 მარტი 2011.





ნახ. 6. გამოთვლილი მარილიანობის ველები z = 20 მ ჰორიზონტზე: (ა) – 28 დეკემბერი 2011; (ბ) – 16 ნოემბერი 2012; (გ) – 24 ნოემბერი 2013; (დ) – 10 იანვარი 2014.

მარილიანობის ველის განაწილების თავისებურებებს ჰორიზონტებზე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ცირკულაციური ველის სტრუქტურა განსახილველ აკვატორიაში. გამოთვლილი პროგნოზული ველების ანალიზი ადასტურებს კარგად ცნობილ ფაქტს, რომ მარილიანობის ველი კარგ კორელაციაშია ცირკულაციის ველთან [15, 18]. თუ შევადარებთ ნახ. 6-ზე გამოსახულ მარილიანობის ველის სურათებს და დროის იმავე მომენტების შესაბამის ცირკულაციის სურათებს ერთმანეთთან (ნახ. 4გ, 3ა, 1ა, 1ე), ადვილად შევნიშნავთ, რომ ციკლონური გრიგალები მათ ცენტრალურ ნაწილებში განაპირობებენ შედარებით მაღალი მარილიანობის მქონე წყლის არეებს, ხოლო ანტიციკლონური გრიგალების ცენტრალურ არეებს შეესაბამება შედარებით დაბალი მარილიანობის წყლები. ამ ფაქტის ახსნა იოლია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ციკლონური გრიგალის ცენტრში ფორმირებული აღმავალი დინებები განაპირობებენ უფრო მარილიანი წყლების ამოსვლას ზღვის ღრმა ფენებიდან, ხოლო ანტიციკლონური გრიგალის ცენტრებში არსებული დაღმავალი დინებები ხელს უწყობენ შედარებით დაბალი მარილიანობის მქონე წყლის მასების გავრცელებას ზღვის ზედა ფენებიდან ქვედა ფენებში.

ტემპერატურის ველი მნიშვნელოვან სეზონურ ცვლილებებს განიცდის და მის ფორმირებაზე ზღვის ზედა ფენაში არსებით გავლენას ახდენს თბოგაცვლის პროცესები ზღვასა და ატმოსფეროს შორის. ამიტომ, მარილიანობის ველთან შედარებით, ტემპერატურის ველი ნაკლებ კორელაციაშია დინების ველთან.

3. დასკვნა

შავი ზღვის საქართველოს სექტორისა და მისი მიმდებარე აკვატორიის მდგომარეობის რეგიონული პროგნოზის სისტემის საფუძველზე 2010-2014 წწ. გამოთვლილი პროგნოზული ჰიდროფიზიკური ველების ანალიზმა საშუალება მოგვცა უფრო სრულყოფილი გაგვეხადა ჩვენი ცოდნა აღნიშნულ რეგიონში მიმდინარე ჰიდროდინამიკური პროცესების შესახებ. ჩვენმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ წლის ცივ პერიოდში განვითარებული ცირკულაციური პროცესებისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული სხვადასხვა მასშტაბის მქონე ციკლონური და ანტიციკლონური ხასიათის გრიგალური სტრუქტურების არსებობა და ჭავლური დინებების ფორმირება ამ სტრუქტურებს შორის მდებარე არეებში. ატმოსფერული ზემოქმედების არასტაციონარული ხასიათი და გრიგალურ ფორმირებებს შორის ურთიერთქმედება განაპირობებს ცირკულაციური რეჟიმის მუდმივ ცვალებადობას. ძლიერი ატმოსფერული ქარები დროებით შლიან გრიგალურ წარმონაქმნებს ზღვის ზედაპირზე და მასთან მიმდებარე ფენაში, ხოლო 20 მ სიღრმეზე და ქვემოთ ძლიერი ქარის ზემოქმედება ცირკულაციურ

პროცესებზე პრაქტიკულად აღარ დაიკვირვება. მარილიანობის ველი მნიშვნელოვან კორელაციაშია დინების ველთან და დინების ველის ევოლუცია აისახება მარილიანობის ველის განაწილებაშიც. მარილიანობის ველში დაკვირვებული მაღალი და დაბალი მარილიანობის არეები კარგად ემთხვევა ციკლონური და ანტიციკლონური გრიგალების ცენტრების მდებარეობებს, რაც ადვილად აიხსნება გრიგალურ სტრუქტურებში ვერტიკალური დენების თავისებურებებით.

სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში (გრანტის ნომერი: AR/373/9-120/12).

ლიტერატურა

1. Kordzadze A., Demetrashvili D. Forecast of circulation processes in the Georgian Black Sea coastal zone by the high-resolution regional model of the Black Sea dynamics. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი, 2010, №65, გვ. 140-146.
2. Kordzadze A., Demetrashvili D. Some results of forecast of hydrodynamic processes in the Easternmost part of the Black Sea. J. Georgian Geophys. Soc., 2010. V.14b. pp. 37-52.
3. Kordzadze A. A, Demetrashvili D. I. Operational forecast of hydrophysical fields in the Georgian Black Sea coastal zone within the ECOOP. Ocean Science. 2011, 7, pp. 793- 803, www.ocean-sci.net/7/793/2011/, doi: 10.5194/os-7-793-2011.
4. Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И. Региональная оперативная система прогноза состояния восточной части Чёрного моря. Экологическая безопасность прибрежной и шельфовой зон и комплексное исследование ресурсов шельфа. Севастополь/Украина. 2011. вып.25. Т.2, с.136-147.
5. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I. Forecast of the Black Sea state in the Georgian coastal Zone. Proceed. of the Intern. Conference **"**Environment and Global Warning**"** devoted 100- years of acad. T. Davitaia , Tbilisi, 15-17 September 2011.
6. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I. Coastal forecasting system for the easternmost part of the Black Sea. Turkish Journal of Fisheries and Aquatic Sciences. 2012, 12, pp.471-477, doi:10.4194/1303-2712- v12_2_38. www.trjfas.org.
7. Korotaev G. K., Oguz T., Dorofeev V. L., Demyshev S. G., Kubryakov A. I., Ratner Yu. B. Development of Black Sea nowcasting and forecasting system. Ocean Science. 2011. 7, P. 629-649, doi: 10.5194/os-7-629-2011.
8. Kubryakov A. I., Korotaev G. K., Dorofeev V. L., Ratner Yu. B., Palazov A., Valchev N., Malciu V., Matescu R., Oguz T. Black Sea Coastal forecasting system. Ocean Science. 2012. 8. P. 183-196. doi: 10.5194/os-8-183-2012.
9. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I. Circulation processes in the easternmost part of the Black Sea in 2011-2012. Results of simulation and forecast. J. Georgian Geophys. Soc., 2011-2012, v.15b, pp. 3-13.
10. Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И. Краткосрочный прогноз гидрофизических полей в восточной части Черного моря. Известия РАН, Физика атмосферы и океана, 2013, т.49, № 6, с.733-745.
11. Кордзадзе А. А, Деметрашвили Д. И., Сурмава А. А., Кухалашвили В. Г. Некоторые особенности динамического режима восточной части Черного моря по результатам моделирования и прогноза гидрофизических полей за 2010-2013 гг. Труды Института геофизики им. М. Нодиа. 2013, т.LXIV.
12. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I., Surmava A. A. Dynamical processes developed in the easternmost part of the Black Sea in warm period for 2010-2013. J. Georgian Geophys. Soc., 2013, v.16b.
13. Кордзадзе А., Деметрашвили Д. И., Сурмава А. А. Численное моделирование гидрофизических полей Чёрного моря в условиях чередования атмосферных циркуляционных процессов. Изв. РАН, Физика атмосферы и океана 2008, т.44, N 2, с.227-238.
14. Марчук Г. И. Численное решение задач динамики атмосферы и океана. Ленинград, гидрометеоиздат, 1974. 303 с.
15. Кордзадзе А. А. Математическое моделирование динамики морских течений (теория, алгоритмы, численные эксперименты). – Москва, ОВМ АН СССР. 1989. 128 с.

16. Коротаев Г. К., Еремеев В. Н. Введение в оперативную океанографию Черного моря. Севастополь, НПЦ "ЭКОСИ-ГИДРОФИЗИКА", 382 с.
17. Brozkova R., Derkova M., Bellus M., and Farda A. Atmospheric forcing by ALADIN/MFSTEP and MFSTEP oriented tunings. Ocean Science, 2006. pp.113-121, www.ocean-sci.net/2/113/2006.
18. Станев Е., Трухчев Д., Русенов В. Циркуляция вод и численное моделирование течений Черного моря. Университетско издателство "Климент охридски", София, 1988, 220 с.

Dynamical processes developed in the eastern part of the Black Sea in the cold season for 2010-2014

Avtandil A. Kordzadze, Demuri I. Demetrashvili, Aleksandre A. Surmava

In the paper the prognostic hydrophysical fields corresponding to the cold season for 2010-2014, which are calculated for the easternmost part of the Black Sea on the basis of the regional forecasting system of the Black Sea state, are analyzed. The analysis of the received results shows that the character of the regional circulation processes for cold season substantially differs from circulation characteristic for the warm period. The Batumi anticyclonic eddy typical for the warm period to a lesser degree or practically is not observed in the cold period and nonstationary processes of generation, evolution and dissipation of cyclonic and anticyclonic eddies of different sizes permanently take place.

Key words: regional model, equation system, circulation, temperature field, forecasting system

შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში განვითარებული დინამიკური პროცესები 2010-2014 წწ. ცივ სეზონში

ავთანდილ კორძაძე, დემური დემეტრაშვილი, ალექსანდრე სურმავა

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია 2010-2014 წწ. ცივი პერიოდის (ნოემბერი-მარტი) შესაბამისი პროგნოზული ჰიდროფიზიკური ველები, რომლებიც გამოთვლილია შავი ზღვის მდგომარეობის პროგნოზის რეგიონული სისტემის საფუძველზე ზღვის განაპირა აღმოსავლეთ ნაწილისათვის. მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონული ცირკულაციური პროცესების ხასიათი წლის ცივ პერიოდებში მნიშვნელოვანწილად განსხვავდება თბილი პერიოდის დამახასიათებელი ცირკულაციისაგან. თბილი პერიოდისათვის დამახასიათებელი ბათუმის ანტიციკლონური გრიგალი ცივ პერიოდში ნაკლებად ან პრაქტიკულად აღარ დაიკვირვება და უწყვეტად ადგილი აქვს სხვადასხვა მასშტაბის ციკლონური და ანტიციკლონური გრიგალების გენერაციის, ევოლუციისა და დისიპაციის არასტაციონარულ პროცესებს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორში მიმდინარე და მომავალი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ

ავთანდილ კორძაძე
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, ალექსიძის ქ. 1, 0160 თბილისი, akordzadze@yahoo.com

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სტატიაში მოკლედ მიმოიხილება მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორში წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია, ძირითადად, შავ ზღვასა და ატმოსფეროში მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების შესწავლასთან მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენებით. სექტორის მნიშვნელოვან სამეცნიერო მიღწევას წარმოადგენს შავი ზღვის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის რეგიონული სისტემის შემუშავება, რომელიც ერთ-ერთი ნაწილია მთლიანად შავი ზღვის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემისა. სექტორის შემდგომი სამეცნიერო საქმიანობა უახლოეს წლებში დაკავშირებული იქნება რეგიონული პროგნოზის სისტემის სრულყოფასთან და გაფართოებასთან ეკოლოგიური ხასიათის ამოცანების ჩართვით. ასევე, სექტორის სამეცნიერო საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს შავი და კასპიის ზღვებისა და ატმოსფეროს დინამიკის მოდელების გაერთიანების გზით კავკასიის ბუნებრივი გარემოს ერთიანი ჰიდროდინამიკური მოდელის შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედება კავკასიის ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემის შექმნას.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესმა, მრავალ სიკეთესთან ერთად, სერიოზული პრობლემები წარმოშვა, რომლებიც დაკავშირებულია ბიოსფეროს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებასა და ცივილიზაციის მდგრად განვითარებასთან. უკანასკნელ ათწლეულებში ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გააქტიურებისა და მასთან დაკავშირებული ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ადამიანი ყოველთვის ახდენდა ზემოქმედებას გარემოზე, მაგრამ სანამ ამ ზემოქმედების მასშტაბები მცირე იყო, ბუნება ყოველთვის ასწრებდა რეგენერირებას. XX საუკუნის შუა წლებიდან ანთროპოგენური ზემოქმედების ინტენსიურობა იმდენად გაიზარდა, რომ მან დედამიწის ზოგიერთ რეგიონში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე სპეციალისტების წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს წონასწორობის შენარჩუნებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ ათვისებასთან.

ეჭვგარეშეა, რომ ნებისმიერი მოუფიქრებელი ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გარემოს აუნაზღაურებელი ზიანი შეიძლება მივაყენოთ. ამიტომ, ყოველგვარი ღონისძიების ჩატარებამდე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მისი მეცნიერული დასაბუთება. სწორედ, ასეთი მიდგომა მოგვცემს საშუალებას შორეულ მომავალშიც კი შევინარჩუნოთ ბუნებრივად ურთიერთშეთანხმებული სისტემების მდგრადობა.

XXI საუკუნის დამდეგს გარემოს დაცვა, მისი ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა და შენარჩუნება, გლობალური და რეგიონული კლიმატის ანთროპოგენური ცვლილების პროგნოზირება, ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიურად უსაფრთხო ათვისება

საზოგადოების მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობა გახდა. ბუნებრივი რესურსების რაციონალურად ათვისება და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ოპტიმალურად წარმართვა კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბუნებრივი გარემოს მდგომარეობისა და მისი შესაძლო ცვლილებების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღებაზე. ასეთი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბუნებრივი გარემოს დიაგნოზისა და პროგნოზის ოპერატიული სისტემის შექმნის გზით, რაც საშუალებას იძლევა ოპერატიულ რეჟიმში უწყვეტად თვალი ვადევნოთ იმ ძირითადი ფიზიკურ პარამეტრების (დინებების, ტემპერატურის, ღრუბლიანობის, ზღვის მარილიანობის და სხვ.) სივრცით-დროით განაწილებას, რომლებიც აღწერენ ზღვისა და ატმოსფეროს მიმდინარე და მომავალ მდგომარეობებს.

საქართველო შავიზღვისპირა ქვეყანაა და ამიტომ დიდია შავი ზღვის გავლენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გარდა იმისა, რომ შავი ზღვა მინერალური და ბიოლოგიური რესურსების უმდიდრესი წყაროა, მას არსებითი რეკრეაციული და სატრანსპორტო მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ქვეყნისათვის. თანამედროვე პირობებში, როცა განუწყვეტლივ იზრდება სატრანსპორტო გადაზიდვები, ყოველწლიურად მატულობს ტურისტთა ნაკადი, იგეგმება ახალი მშენებლობები სანაპირო ზონაში და სხვ., შესაბამისად იზრდება ზღვის სანაპირო დაბინძურებისა და საგანგებო სიტუაციების წარმოშობის საფრთხე, რამაც გამოუსწორებელი ზარალი შეიძლება მიაყენოს ზღვის ეკოსისტემას. ასევე, ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს სანაპიროს დაცვა გადარეცხვისა და ეროზიული პროცესებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ასევე მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ სანაპირო ზონას.

ზღვის ნავიგაციისა და საპორტო ოპერაციების ეფექტურად წარმოებისათვის მნიშვნელოვანია დროული ინფორმაციის მიღება ზღვის ღელვიანობისა და ზღვის დონის ცვალებადობის შესახებ. ისევე როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბუნებრივია, რომ არსებულ ვითარებაში აუცილებელია ქვეყანას გააჩნდეს შავი ზღვის მდგომარეობის საიმედო ავტომატიზირებული კონტროლის სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ოპერატიულად ზღვის მიმდინარე და მომავალი მდგომარეობების ამსახველი ინფორმაცია. აღნიშნული პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ექსპერიმენტული გზით შეუძლებელია და მოითხოვს მათემატიკური მოდელირების მეთოდების ფართო გამოყენებას.

ამჟამად, შავი ზღვის მდგომარეობა საგანგაშოა და მისი გაჭუჭყიანების დონე მრავალ ექსპერტთა შეფასებით თანდათან იზრდება [1-4]. ძირითად დამაჭუჭყიანებელ წყაროებს წარმოადგენენ ატმოსფეროდან ზღვის ზედაპირზე დალექილი მინარევები, ჩამდინარე წყლები, სანაპირო ზონაში განლაგებული საწარმო და სახალხო-სამეურნეო ობიექტები და სხვ. ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მიერ მომზადებულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელშიც რაოდენობრივადაა შეფასებული შავ ზღვაში ჩამდინარე დიდი მდინარეების წილი ზღვის დაჭუჭყიანებაში, აღნიშნულია, მაგალითად, რომ მდ. დუნაის ყოველწლიურად შავ ზღვაში ჩააქვს 280 ტ კადმიუმი, 900 ტ სპილენძი, 6000 ტ ცინკი, 50000 ტ ნავთობი და სხვ [3]. შავი ზღვა ნახევრად ჩაკეტილი ბუნებრივი წყალსატევია, რომელიც მხოლოდ ბოსფორის ვიწრო სრუტით უკავშირდება მსოფლიო ოკეანეს. ამიტომ იგი ძლიერ მგრძნობიარეა გარე ანთროპოგენური დატვირთვების მიმართ. გარდა ამისა, შავი ზღვა (ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ზღვა) ზოგჯერ გამოიყენებოდა ძლიერ ტოქსიკურ ნივთიერებათა შემცველი ჭურვების სამარხებად (1998 წლის 22 დეკემბრის გაზეთი "იზვესტია", რუსეთი). ასეთი სამარხები, რომლებიც ზღვის სიღრმეშია მოთავსებული, "შენელებული მოქმედების ბომბებს წარმოადგენენ". დროთა განმავლობაში კოროზიის შედეგად კორპუსის ჰერმეტულობის დარღვევის გამო, ისინი შეიძლება გახდნენ მიზეზი მნიშვნელოვანი კატასტროფისა – ზღვის აკვატორიის დიდი ნაწილის მოწამვლისა, რაც უდავოდ უარყოფით გავლენას მოახდენს ზღვის ცოცხალ ორგანიზმებზე.

დამაჭუჭყიანებელ მინარევებს შორის საგრძნობლად მნიშვნელოვანია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წილი. განსაკუთრებით დიდი საშიშროების წინაშე დგას ზღვის სანაპირო ზონა, სადაც ანთროპოგენური დატვირთვა საგრძნობლად მაღალია. ცხადია, ზემოთქმული ეხება საქართველოს სანაპირო ზონასაც, სადაც ბოლო წლებში ნავთობის ჩაღვრები დომინანტური გახდა, რადგანაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საზღვაო გადაზიდვები. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის შავი ზღვის საქართველოს სექტორს, რომლის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ქვეყნისათვის. ასევე არსებობს ისეთი ავარიული სიტუაციების წარმოშობის

საფრთხე, როდესაც შესაძლებელია სანაპირო წყლების მნიშვნელოვანი დაჭუჭყიანება სხვა ტოქსიკური და რადიოაქტიური ნივთიერებებით. ასეთ საგანგებო სიტუაციებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზღვის მდგომარეობის კონტროლის სისტემას, რათა შესაძლებელი გახდეს მინიმუმამდე შემცირდეს ავარიებით გამოწვეული ნეგატიური შედეგები [5]. შავ ზღვაში ავარიული ჩაღვრების გავრცელების მონიტორინგისა და პროგნოზის ოპერატიული სისტემის შექმნა და მისი ფუნქციონირება მეტად აქტუალური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობა და სათანადო ორგანოები ოპერატიული ინფორმაციით დაჭუჭყიანებული წყლის ზონების გავრცელებისა და კონცენტრაციების შესახებ.

ასევე მნიშვნელოვან მეცნიერულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს შავ ზღვასთან დაკავშირებული რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ მეცნიერულ შესწავლას. მაგალითად, საგანგაშო მდგომარეობას ქმნის ჟანგბადის (O_2) და გოგირდწყალბადის (H_2O) შემცველობის ცვლილებები შავ ზღვაში. შავი ზღვის აკვატორიის მზარდი დაჭუჭყიანება გოგირდწყალბადით, ამ უკანასკნელის მაღალი ტოქსიკურობის გამო რეგიონისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. პრობლემა მწვავდება იმითაც, რომ შავი ზღვა ჩაკეტილი წყალსატევია. მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ეროზიული პროცესებისაგან შავი ზღვის სანაპირო ზონის დაცვა, რაც ძირითადად პლაჟწარმომქმნელი მასალის განუსაზღვრელი რაოდენობით ამოღებისა და მდინარეების დაუსაბუთებელი რეგულირების გამო ხდება [6]. აქ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სასარგებლო იქნება სანაპირო ზონის დინამიკის მოდელის საფუძველზე შემუშავდეს რეკომენდაციები საინჟინრო და ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩასატარებლად.

აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის მიზნით 1989 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში დაარსდა ზღვის დინამიკის განყოფილება (ამჟამად, ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორი). სამწუხაროდ, განყოფილების დაარსება და ფუნქციონირება დაემთხვა უდიდესი კატაკლიზმების პერიოდს, რამაც არსებითი ნეგატიური გავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასეთ ვითარებაში ძალზედ რთული აღმოჩნდა მეცნიერული საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ განყოფილების კოლექტივმა გაუძლო ამ გამოცდას. დღეისათვის, ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორში მიღწეულია მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები და სექტორის თანამშრომელთა სამეცნიერო პუბლიკაციებს კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. სექტორის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებში. სექტორის ფუნქციონირების პერიოდში შესრულებულია და სრულდება მრავალი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტი.

სექტორის ფუნქციონირების პერიოდში: მომზადებული და წარმატებით იყო დაცული 3 დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (დ. კვარაცხელია, გ. ბერია, ა. ბრეგვაძე) და 3 დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად (ა. გირგვლიანი, დ. დემეტრაშვილი, ა. სურმავა), მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენთა 30-მდე სადიპლომო ნაშრომი.

1995 წელს სტატიის ავტორს, სექტორის ხელმძღვანელს მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 1996 წლიდან იგი არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და 2001 წლიდან - ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1996 წლიდან დღემდე რეგულარულად გამოიცემა ინგლისურენოვანი ჟურნალი "Journal of the Georgian Geophysical Sociaty, issue B. Physics of atmosphere, Ocean and Space Plasma", რომლის მთავარი რედაქტორია სტატიის ავტორი.

1996 წელს სტატიის ავტორს მიენიჭა საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოებისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის აკადემიკოს მ. ალექსიძის სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის *"Математическое моделирование динамики морских течений (теория, алгоритмы, численные эксперименты). М., ОВМ АН СССР, 1989 "*, ხოლო 2012 წელს ამავე სტატიის ავტორს და სექტორის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს *დემური დემეტრაშვილს* შრომათა ციკლისათვის "*შავ ზღვაში*

მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება და მის საფუძველზე შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის მდგომარეობის ოპერატიული პროგნოზული სისტემის შემუშავება" საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მიანიჭა მიხეილ ნოდიას სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება. 2001 წლიდან ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორთან უწყვეტად მუშაობს საქალაქო სემინარი "*გეოფიზიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება*".

სექტორში კვლევის ძირითადი მიმართულებებია:

- შავ და კასპიის ზღვებში მიმდინარე დინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება;
- შავ ზღვაში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება;
- შავი ზღვის მდგომარეობის რეგიონული პროგნოზის სისტემის შექმნა, სრულყოფა და გაფართოება ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის;
- კავკასიის რეგიონის ატმოსფეროში მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება;
- კავკასიის ბუნებრივი გარემოს ერთიანი რეგიონული ჰიდროთერმოდინამიკური მოდელის შემუშავება.

აღნიშნული მიმართულებების ფარგლებში სექტორის ფუნქციონირების განმავლობაში შესრულებულია მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, სახელდობრ შემუშავებულია:

1. შავი ზღვის ბაროტროპული მოდელი დაზუსტებული ტურბულენტური სიბლანტის კოეფიციენტის გათვალისწინებით. სიბლანტის კოეფიციენტის დაზუსტება განხორციელებულია შეშფოთების თეორიისა და ოკეანის ბაროტროპული დინების შეუღლებული ამოცანის საფუძველზე ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენებით [7, 8].

2. შავი ზღვის დინამიკის ბაროკლინური მათემატიკური მოდელის ახალი სრულყოფილი ვერსია [9-16]. საბაზო მოდელის სახით გამოყენებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გამოთვლით ცენტრში (ქ. ნოვოსიბირსკი, აკადემქალაქი) აკადემიკოს *გ. ი. მარჩუკის* ხელმძღვანელობითა და მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავებული შავი ზღვის დინამიკის მოდელი [17-22], რომელიც დაფუძნებულია ოკეანის ჰიდროთერმოდინამიკის არასტაციონარულ და არაწრფივ სრულ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე. განხილული მათემატიკური ამოცანებისათვის დამტკიცებულია ამონახსნთა არსებობისა და ერთადერთობის თეორემები [23-30], ამოცანათა რიცხვითი რეალიზაციისათვის გამოყენებულია გ. ი. მარჩუკის მიერ ოკეანისა და ატმოსფეროს დინამიკის ამოცანათა ამოსახსნელად შემოთავაზებული გახლეჩის მეთოდი [18, 22, 31, 32].



ნახ. 1. შავი ზღვის ფსკერის რელიეფის სივრცითი გამოსახულებები სამხრეთ და ჩრდილოეთის მხრიდან.

მოდელის ახალ სრულყოფილ ვერსიაში გათვალისწინებულია:

- მზის ჯამური რადიაციის შთანთქმა ზღვის ზედა ფენის მიერ;
- ვერტიკალური და ჰორიზონტალური ტურბულენტური სიბლანტისა და დიფუზიის კოეფიციენტების დროით-სივრცითი ცვალებადობა;
- შავი ზღვის აუზის ზემოთ განვითარებული ატმოსფერული ცირკულაციური ტიპების მონაცვლეობა;

- წყლის მასების მიმოცვლა ხმელთაშუა ზღვასთან ბოსფორის სრუტის მეშვეობით;
- მდინარეთა ჩამონადენი;
- ზღვის კვაზირეალური რელიეფი (ნახ. 1).

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოდელის გარჩევისუნარიანობა როგორც ჰორიზონტალურ დონეებზე, ასევე ვერტიკალზე. მოდელის სათვლელი ბადის სივრცითი ბიჯია 5 კმ, ხოლო ვერტიკალზე აღებულია 32 სათვლელი დონე შემდეგ სიღრმეებზე: 1, 3, 5, 7, 11, 15, 25, 35, 55, 85, 135, 205, 305,..., 2205 მ. თითოეულ დონეზე ბადის კვანძების რაოდენობაა 225 და 111 ჰორიზონტალური საკოორდინატო ღერძების გასწვრივ. დროითი ბიჯია 1 სთ.

მოდელი საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ შავი ზღვის ძირითადი ჰიდროფიზიკური ველები – დინება, ტემპერატურა, მარილიანობა და სიმკვრივე მთლიანად შავი ზღვის აუზისათვის 5 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით. მოდელის საფუძველზე შეფასებულია ცალკეული ფიზიკური ფაქტორების როლი შავი ზღვის ჰიდროლოგიური რეჟიმის ფორმირებაში, გამოკვლეულია შავი ზღვის ცირკულაციის რეაქცია ატმოსფერული პროცესების ზემოქმედებაზე შავი ზღვის ზემოთ განვითარებული ატმოსფერული ცირკულაციის ტიპების უწყვეტი მონაცვლეობის პირობებში და დადგენილია შავი ზღვის ცირკულაციის ზოგიერთი თავისებურებანი ატმოსფერული ზემოქმედების არასტაციონარულობის პირობებში [10-16];

მოდელის შედეგების ილუსტრაციის მიზნით ნახ. 2-ზე მოყვანილია საშუალო წლიური კლიმატური მონაცემების გამოყენებით გათვლილი შავი ზღვის დინამიკური ველები.



ნახ. 2. საშუალო კლიმატური მონაცემებით გათვლილი შავი ზღვის ცირკულაცია ზედაპირზე (ა) და z = 25 მ ჰორიზონტზე (ბ), ზედაპირული ტემპერატურისა (გ) და მარილიანობის ველები (დ).

3. კასპიის ზღვის დინამიკის ბაროკლინური მათემატიკური მოდელი. მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ზემოთ განხილულ შავი ზღვის დინამიკის მათემატიკურ მოდელზე, საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ კასპიის ზღვის ძირითადი ჰიდროფიზიკური ველები [33]. ნახ. 3-ზე ნაჩვენებია საშუალო კლიმატური მონაცემებით გამოთვლილი კასპიის ზღვის საშუალო კლიმატური ცირკულაცია z = 1 მ და z = 15 მ ჰორიზონტებზე. მოდელური შედეგების შედარებამ კლიმატურ მონაცემებთან აჩვენა, რომ მოდელი რეალურად ასახავს კასპიის ზღვის ზოგადი ცირკულაციის ძირითად თავისებურებებს.



ნახ. 3. საშუალო კლიმატური მონაცემებით გამოთვლილი კასპიის ზღვის საშუალო კლიმატური ცირკულაცია z = 1 მ (ა) და z = 15 მ (ბ) ჰორიზონტებზე.

შავი ზღვის ზედაპირზე ავარიულად დაღვრილი ნავთობით დაჭუჭყიანების გავრცელების 2-განზომილებიანი მათემატიკური მოდელი [15, 34-37]. მოდელი დაფუძნებულია გადატანა-დიფუზიის არასტაციონარულ განტოლების ამოხსნაზე გახლეჩის მეთოდის გამოყენებით სივრცითი კოორდინატების მიმართ [38]. ნახ. 4-ზე გამოსახულია ზღვის ცირკულაციის ბაროტროპული მოდელით გათვლილი საშუალო წლიური ცირკულაცია, რომელიც გამოიყენებოდა ნავთობის გავრცელების მოდელირებისას. ნახ. 5 და 6-ზე ნაჩვენებია ნავთობის კონცენტრაციების გავრცელება იმ შემთხვევაში, როცა 100000 ტ ნავთობი ავარიულად დაიღვარა 10 სთ-ის განმავლობაში.



ნახ. 4. ბაროტროპული მოდელით გამოთვლილი შავი ზღვის ცირკულაცია

ნახ. 5-ზე ნაჩვენები ნავთობით დაჭუჭყიანების კონცენტრაციების ველის სივრცით-დროითი გავრცელება შეესაბამება იმ შემთხვევას, როცა ჩაღვრის წერტილის კოორდინატები იყო ჩ. გ. $44^0 11'$ და ა. გ. $31^0 02'$. ეს წერტილი მდებარეობდა შავი ზღვის ძირითადი დინების ჩრდილო-დასავლეთ ტოტში, სადაც დინება მიმართული იყო სამხრეთ-დასავლეთით. როგორც ნახ. 5-დან ჩანს ჩაღვრიდან პირველ დღეებში ფორმირებული ნავთობის ლაქა შავი ზღვის ძირითადი დინების გავლენით ინაცვლებს დასავლეთით ბულგარეთისა და რუმინეთის ნაპირებისაკენ. ამავე დროს იგი თანდათან ფართოვდება ტურბულენტური დიფუზიის გავლენით. ჩაღვრიდან 15 დღის შემდეგ მაღალი კონცენტრაციების ზონა (φ=2.19 მგ/ლ) დაიკვირვება ქ. ვარნასთან. ნავთობის ლაქის დეფორმაციის ხასიათი კარგად შეესაბამება დინების თავისებურებებს: შავი ზღვის ძირითადი დინების გავლენით ნავთობის ლაქის შუა ნაწილში შეიმჩნევა კონცენტრაციის იზოწირების შეზნექვა, ხოლო სამხრეთ ნაწილში კი პირიქით გამოიზნიქება აღმოსავლეთის მიმართულებით (ნახ. 5გ).

კონცენტრაციის ზონა იწყებს დრეიფს ძირითად დინებასთან ერთად. დროთა განმავლობაში ნავთობის კონცენტრაციები მცირდება და ერთდროულად მათი გავრცელების არეალი იზრდება. ამავე დროს დაიკვირვება კონცენტრაციების სივრცითი არაერთგვაროვნების შემცირება. ნავთობის კონცენტრაციები მცირდება დაჭუჭყიანების არის დიფუზიური გაფართოებისა და ნავთობის ფიზიკური და ბიოქიმიური ტრანსფორმაციის გამო.



ნახ. 5. ავარიულად დაღვრილი ნავთობის კონცენტრაციები დაღვრიდან 2 (ა), 10 (ბ), 30 (გ) და 90 (დ) დღის შემდეგ.



ნახ. 6. ავარიულად დაღვრილი ნავთობის კონცენტრაციები დაღვრიდან 2 (ა), 10 (ბ), 30 (გ) და 90 (დ) დღის შემდეგ.

ნახ. 6-ზე ნაჩვენებია ნავთობით დაჭუჭყიანების კონცენტრაციები, როდესაც ნავთობის ავარიული ჩაღვრა 100000 ტ რაოდენობით მოხდა ჩ. გ. $43^0 11'$ და ა. გ. $34^0 33'$ გეოგრაფიული კოორდინატების მქონე წერტილში (დაახლოებით შავი ზღვის აუზის შუა წერტილში), სადაც დინება სუსტია შავი ზღვის ძირითად დინებასთან შედარებით. როგორც ნახაზიდან ჩანს, ამ შემთხვევაში დაჭუჭყიანების გავრცელების პროცესი

განსხვავდება წინა რიცხვით ექსპერიმენტში მოდელირებული პროცესისაგან ავარიული ჩადინებიდან დაახლოებით პირველი ერთი თვის განმავლობაში. პირველ ხანებში ხდება ნავთობის ლაქის გაფართოება, რის შედეგადაც ნავთობის კონცენტრაციები ხვდება შავი ზღვის ძირითადი დინების ჩრდილოეთ და სამხრეთ ტოტებში, რომლებშიც დინება მიმართულია ურთიერთსაწინააღმდეგოდ - შესაბამისად დასავლეთ და აღმოსავლეთ მიმართულებით. ამის შემდეგ ნავთობის გავრცელების პროცესს მნიშვნელოვნად განაპირობებს შავი ზღვის ძირითადი დინების ხასიათი. ძირითადი დინების ჩრდილოეთ ტოტს დაჭუჭყიანების კონცენტრაციები გადააქვს დასავლეთ მიმართულებით, ხოლო სამხრეთ ტოტს - აღმოსავლეთ მიმართულებით.

5. შავ ზღვაში არაკონსერვატიული მინარევების გავრცელების 3-განზომილებიანი მოდელი [15, 37, 39, 40]. აქ განხილულია შავი ზღვის ღრმა ფენებში განლაგებული უწყვეტი მოქმედების წერტილოვანი წყაროდან დინამიკურად პასიური არაკონსერვატიული მინარევის გავრცელების სივრცითი ამოცანა. ისევე როგორც 2-განზომილებიანი ამოცანის შემთხვევაში, ამოცანა დაფუძნებულია არასტაციონარული გადატანა-დიფუზიის განტოლების ამოხსნაზე გახლეჩის მეთოდის გამოყენებით [38].



ნახ. 7. მინარევის კონცენტრაციები ჰორიზონტებზე: (ა) – 705 მ, (ბ) – 85 მ.



ნახ. 8. მინარევის კონცენტრაციები წყაროსთან ახლომდებარე ვერტიკალურ კვეთებში.

შემოთავაზებული მოდელის საფუძველზე ჩატარებული იყო რამოდენიმე რიცხვითი ექსპერიმენტი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ წყაროს მდებარეობის სიღრმით. ყველა ჩატარებულ ექსპერიმენტში რადიოაქტიური მინარევი 2000 კიური რაოდენობით წელიწადში გამოიყოფოდა წერტილოვანი ჰიპოთეზური წყაროდან უწყვეტად მთელი ინტეგრირების დროის განმავლობაში. ინტეგრება ხდებოდა დინამიკური წონასწორობის დამყარებამდე, რომელიც მიიღწეოდა წყაროს მოქმედების დაწყებიდან 39 წლის შემდეგ.

ნახ. 7-ზე ნაჩვენებია წონასწორული მდგომარეობის დამყარებისას იზოტოპ სტრონციუმ-90 (S_r^{90})-ის კონცენტრაციების განაწილება 705 და 85 მ ჰორიზონტებზე, როცა წყარო მდებარეობდა 805 მ სიღრმეზე დაახლოებით ქ. ნოვოროსიისკთან, ხოლო ნახ. 8-ზე – კონცენტრაციების განაწილება წყაროსთან ახლოს მდებარე ვერტიკალურ კვეთებში.

ნახაზები იძლევიან საკმაოდ თვალსაჩინო წარმოდგენას მინარევის სივრცითი განაწილების შესახებ წყაროს სხვადასხვა მდებარეობების შემთხვევაში.

6. შავ ზღვაში დაჭუჭყიანების წყაროს დადგენის 2 და 3-განზომილებიანი მოდელები. მოდელები დაფუძნებულია გადატანა-დიფუზიის შეუღლებულ განტოლებათა ამოხსნაზე და შესაბამისი ფუნქციონალების განხილვაზე [15, 37, 41, 42]. თეორიულ შრომებში, რომლებშიც შეისწავლება მინარევების გავრცელება მსოფლიო ოკეანის წყლებში ჰიდროდინამიკური მეთოდებით, განიხილება პირდაპირი ამოცანები, ე. ი. დაჭუჭყიანების წყაროს ცნობილი მდებარეობისა და სიმძლავრის მიხედვით გამოითვლება მინარევის კონცენტრაციების სივრცით-დროითი განაწილება. ზოგიერთ შემთხვევებში ძალზედ მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს განვსაზღვროთ წყაროს კოორდინატები, თუ დაკვირვების შედეგად ცნობილია კონცენტრაციები მხოლოდ ზღვის ზედა ფენის ზოგიერთ წერტილში. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ როგორც უკვე აღნიშნული იყო, შავი ზღვა (ასევე სხვა შიდა ზღვებიც) დრო და დრო გამოიყენებოდა მაღალტოქსიკურ ნივთიერებათა სამარხებად. ზოგჯერ ასეთი სამარხების ადგილმდებარეობა უცნობია, ხოლო ამ წყაროთა აღმოჩენა მათი ნეიტრალიზაციის მიზნით მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. [38] მონოგრაფიაში ავტორის მიერ შემუშავებულ შეუღლებულ ამოცანათა მათემატიკური აპარატის საფუძველზე შემოთავაზებულია ისეთი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც დაკავშირებულია სამრეწველო საწარმოთა ოპტიმალურ განლაგებასთან. ამოცანა შეეხება დასახლებული პუნქტის ან საკურორტო ზონის მახლობლად ასაშენებელი საწარმოს მდებარეობის განსაზღვრას იმ პირობით რომ საწარმოს გამონაბოლქვებით გამოწვეული ატმოსფეროს დაბინძურება არ აღემატებოდეს დასაშვებ ნორმებს. მრავალ შემთხვევაში პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია წყლის აუზის ცალკეულ წერტილებში ცნობილი კონცენტრაციების მიხედვით განისაზღვროს წყაროს კოორდინატები, საიდანაც ხდება ანთროპოგენური ან ბუნებრივი წარმოშობის მინარევების გავრცელება. შეუღლებულ ამოცანათა აპარატი წარმატებით იქნა გამოყენებული ზღვის აუზში დაჭუჭყიანების წყაროს დადგენისათვის. შავი ზღვის აუზის მაგალითზე აპრობირებული იყო დაჭუჭყიანების წყაროს ადგილმდებარეობის დადგენის თეორიული მეთოდი ზღვის ზედა ფენის ცალკეულ პუნქტებში მინარევის ცნობილი კონცენტრაციების მიხედვით. მეთოდი დაფუძნებულია სუბსტანციის გადატანა-დიფუზიის შეუღლებულ განტოლებათა ამოხსნაზე და შესაბამისი ფუნქციონალების ორმაგობის თვისებაზე.

დავუშვათ, რომ მინარევის კონცენტრაციის ველი ზღვის აუზში იქმნება Q სიმძლავრის მქონე სტაციონარული წყაროს მოქმედების შედეგად, რომლის მდებარეობა უცნობია და დაკვირვების შედეგად ჩვენთვის ცნობილია კონცენტრაციები ზღვის აუზის ცალკეულ ზედა წერტილებში (i=1, 2,..,) (0, T) დროით ინტერვალზე. თეორიის თანახმად თითოეული ამ წერტილისათვის ამოიხსნება შეუღლებული გადატანა-დიფუზიის ამოცანა და განისაზღვრება წყაროს შესაძლო მდებარეობის ქვესიმრავლეები ω_i (i = 1, 2,..). წყაროს მდებარეობა განისაზღვრება როგორც ამ ქვესიმრავლეთა თანაკვეთა ω.

მეთოდი აპრობირებული იყო ორ შემთხვევაში:

- წყარო მდებარეობდა ზღვის ღრმა ფენებში (3-განზომილებიანი ამოცანა);
- წყარო მდებარეობდა ზღვის ზედაპირზე (2-განზომილებიანი ამოცანა).



ნახ. 9. წყაროს შესაძლო მდებარეობის ქვეარეები.
(ა) --- ω_1, (ბ) --- ω_2, (გ) --- ω_3, (დ) --- ω.

ნახ. 9-ზე ილუსტრირებულია ნავთობის ჩაღვრის წერტილის დადგენა, როცა დაჭუჭყიანების კონცენტრაციები ცნობილი იყო სამ წერტილში. როგორც ნახ. 9დ-დან ჩანს, ω_i (i = 1, 2, 3) ქვესიმრავლეთა თანაკვეთა ω შეიცავს მხოლოდ ერთ ელემენტს, რომელიც წარმოადგენს ჰიპოთეტურად დაშვებული სტაციონარული წყაროს მდებარეობის წერტილს.

7. მაღალი გარჩევისუნარიანობის მქონე შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მოდელი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის [43]. რეგიონული მოდელი მიღებულია პუნქტი 2 -ში განხილული შავი ზღვის დინამიკის მოდელის მისადაგებით ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისათვის და მოდელის გარჩევისუნარიანობის გაზრდის გზით 5-დან 1 კმ სივრცით ბიჯამდე. მოდელის რეალიზაციის არე შემოსაზღვრულია კავკასიისა და თურქეთის სანაპირო ხაზითა და თხევადი საზღვრით, რომელიც გადის დაახლოებით ქ. ტუაფსეზე გამავალ ა. გ. 39.05^0 მერიდიანზე (ნახ.10).

მოდელში გათვალისწინებულია:

- შავი ზღვის ფსკერი და კონფიგურანცია (ნახ.11);
- ატმოსფეროს ქარისმიერი და თერმოხალინური ზემოქმედება;
- მდ. რიონის, ენგურის, ჭოროხისა და სხვა მდინარეთა ჩანადენები;
- მზის ჯამური რადიაციის შთანთქმა ზღვის ზედა ფენის მიერ;
- ტურბულენტური სიბლანტისა და დიფუზიის სივრცით-დროითი კოეფიციენტების ცვალებადობა.



ნახ.10. რეგიონული მოდელის რეალიზაციის არე.



ნახ. 11. შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ფსკერის ტოპოგრაფია

8. შავი ზღვის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის რეგიონული სისტემა. ბოლო ათეულ წლებში შავი ზღვის ოკეანოგრაფიის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად შეიძლება მივიჩნიოთ შავი ზღვის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემის შემუშავება, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების **ARENA** და **ECOOP** ფარგლებში [44-47]. აღნიშნული სისტემის შემუშავებაში მონაწილეობდნენ შავიზღვისპირა ქვეყნების (ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო, უკრაინა) წამყვანი ოკეანოგრაფიული ცენტრები, ხოლო ამ სამუშაოებს კოორდინაციას უწევდა უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტი (ზჰი, ქ. სევასტოპოლი).

ჩვენს მიერ შემუშავებული შავი ზღვის რეგიონული მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემა ზღვის საქართველოს სექტორისა და მისი მიმდებარე აკვატორიისათვის წარმოადგენს მთლიანად შავი ზღვის მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს [43, 48-56]. რეგიონული სისტემის ფუნქციონირების სქემა გამოსახულია ნახ. 12-ზე. რეგიონული მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემის ძირითადი ბირთვია შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მოდელი (იხ. პუნქტი 7) და იგი საშუალებას იძლევა გავთვალოთ დინების, ტემპერატურის, მარილიანობისა და სიმკვრივის 3-განზომილებიანი ველების 3 დღიანი პროგნოზი 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით აღნიშნულ აკვატორიაში (შესაძლებელია 10 დღიანი პროგნოზული ველების მიღებაც). რეგიონული მოდელის სათვლელი ბადე ჩადგმულია უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზჰი-ის შავი ზღვის ზოგადი ცირკულაციის მოდელის სათვლელ ბადეში 5 კმ სივრცითი ბიჯით. რეგიონულ მოდელში შემავალი მონაცემები მიიღება ოპერატიულად ქ. სევასტოპოლიდან ინტერნეტის საშუალებით. ეს მონაცემები წარმოადგენენ მეტეოროლოგიური ველების პროგნოზს შავი ზღვის ზემოთ, რომელიც გამოითვლება რუმინეთის ეროვნულ მეტეოროლოგიურ ადმინისტრაციაში (ქ. ბუქარესტი) ატმოსფეროს დინამიკის ფრანგული მოდელის "**ALADIN**"-ის საფუძველზე და ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტის შავი ზღვის ზოგადი ცირკულაციის მოდელის საფუძველზე გამოთვლილ პროგნოზულ ჰიდროფიზიკურ ველებს, რომლებიც გამოიყენება რეგიონულ მოდელში საწყისი ველებისა და სასაზღვრო პირობების სახით თხევად საზღვარზე. სახელდობრ, ეს პარამეტრებია:

- დინების სიჩქარის ვექტორის კომპონენტების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3-განზომილებიანი საწყისი ველები;
- დინების სიჩქარის ვექტორის კომპონენტების, ტემპერატურისა და მარილიანობის 2-განზომილებიანი ველები თხევად საზღვარზე;
- 2-განზომილებიანი მეტეოროლოგიური ველები: სითბოს ნაკადები, ატმოსფერული ნალექები, აორთქლება და ქარის ხახუნის დაძაბულობის ვექტორის კომპონენტები შავი ზღვის ზედაპირზე.

ამჟამად, რეგიონალური პროგნოზის სისტემა ფუნქციონირებს ოპერატიულთან მიახლოებულ რეჟიმში და გათვლილი დინების, ტემპერატურის, მარილიანობისა და სიმკვრივის 3-დღიანი პროგნოზების ნახვა შავი ზღვის აღმოსავლეთი აკვატორიისათვის

ვიზუალური ფორმით შესაძლებელია ინტერნეტში მისამართებზე: www.ig-geophysics.ge, www.oceandna.ge.



ნახ. 12. შავი ზღვის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის რეგიონული სისტემის ფუნქციონირების სქემა.

შავი ზღვის მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემის და მათ შორის რეგიონული სისტემის ფუნქციონირება ოპერატიულ რეჟიმში შემოწმდა 2005 წელს, როდესაც პირველად შავი ზღვის რეგიონისათვის განხორციელდა პილოტური ექსპერიმენტი ყველა შავიზღვისპირა ქვეყნის მონაწილეობით ARENA პროექტის ფარგლებში. პროგნოზული



ნახ. 13. რეგიონული პროგნოზული სისტემის საფუძველზე გამოთვლილი და თანამგზავრული დაკვირვების შედეგად მიღებული 2010 წლის 6 აგვისტოსა და 26 ოქტომბრის შესაბამისი ტემპერატურის ველები ზღვის ზედაპირზე.

ველების შედარებამ ნატურალურ მონაცემებთან აჩვენა რეგიონული პროგნოზის სისტემის კარგი პროგნოზული შესაძლებლობები. ამჟამად, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გამოთვლილი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის ველები შევადაროთ თანამგზავრულ მონაცემებთან. ნახ. 13-ზე ნაჩვენებია რეგიონული პროგნოზული სისტემის საფუძველზე მიღებული ზღვის ზედაპირის ტემპერატურის ველები, რომლებიც შეესაბამებიან 2010 წლის 6 ივლისსა და 10 აგვისტოს 00:00 GMT დროის მომენტებს და დაახლოებით დროის იგივე მომენტების შესაბამისი თანამგზავრული სურათები. შედარებები აჩვენებს, რომ პროგნოზული და დაკვირვებული ტემპერატურული ველები კარგ რაოდენობრივ და თვისებრივ თანხმობაშია ერთმანეთთან.

რეგიონული პროგნოზული სისტემის საფუძველზე გამოთვლილი პროგნოზის შედეგების ილუსტრაციის მიზნით ნახ. 14-ზე ნაჩვენებია ზედაპირული დინების პროგნოზული ველები, რომლებიც შეესაბამება 2010 წლის 21-24 აგვისტოს საპროგნოზო პერიოდს. მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონული მოდელისა და ზჰი-ის ზოგადი ცირკულაციის მოდელის შედეგების შედარების მიზნით ნახაზზე წარმოდგენილია ორივე მოდელით გამოთვლილი პროგნოზული ველები. როგორც ნახ. 14-დან ჩანს, ორივე მოდელის შედეგების თანახმად განხილულ დროით ინტერვალში შავი ზღვის განაპირა აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბებულია მდგრადი ანტიციკლონური გრიგალი, რომელიც ხშირად ინტენსიურია წლის თბილ პერიოდში და ცნობილია ბათუმის ანტიციკლონური გრიგალის სახელწოდებით [57]. განსხვავება გამოთვლილ ცირკულაციურ რეჟიმებს შორის ისაა, რომ გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონული მოდელის თანახმად, საქართველოს სანაპიროს გასწვრივ დაიკვირვება ვიწრო, დაახლოებით 20-25 კმ სიგანის ზოლის ფორმირება, სადაც ადგილი აქვს მცირე სანაპირო გრიგალების წარმოქმნის



ნახ. 14. მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტისა ((ა) – (გ)) და ზჰი-ის მოდელებით ((დ)-(ვ)) გამოთვლილი პროგნოზული დინების ველები ზღვის ზედაპირზე 24 სთ ((ა), (დ)), 48 სთ ((ბ), ((ე)) და 72 სთ ((გ), (ვ)) შემდეგ. საპროგნოზო ინტერვალი: 21-24 აგვისტო 2010, 00:00 GMT.

პროცესებს. ასეთი მცირე გრიგალური წარმონაქმნების იდენტიფიცირება შესაძლებელი გახდა რეგიონული მოდელის მაღალი გარჩევისუნარიანობის გამო.



ნახ. 15. მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტისა ((ა), (ბ)) და ზჰი-ის მოდელებით ((გ), (დ)) გამოთვლილი პროგნოზული მარილიანობის ველები 24 სთ ((ა), (გ)), და 72 სთ ((ბ), ((დ)) შემდეგ z = 10 მ ჰორიზონტზე. საპროგნოზო ინტერვალი: 21-24 აგვისტო 2010, 00:00 GMT.



ნახ. 16. მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტისა ((ა), (ბ)) და ზჰი-ის მოდელებით ((გ), (დ)) გამოთვლილი ტემპერატურის პროგნოზული ველები 24 სთ ((ა), (გ)), და 72 სთ ((ბ), ((დ)) შემედეგ z = 10 მ ჰორიზონტზე. საპროგნოზო ინტერვალი: 21-24 აგვისტო 2010, 00:00 GMT.

გამოთვლილი თერმოხალინური ველების ილუსტრირების მიზნით ნახ. 15-ზე წარმოდგენილია ორივე მოდელით გამოთვლილი მარილიანობის ველები z = 10 მ ჰორიზონტზე, რომლებიც შეესაბამება 2010 წლის 22 და 23 აგვისტოს, ხოლო ნახ. 16-ზე ნაჩვენებია ტემპერატურის ველები იმავე ჰორიზონტებზე იმავე დროის მომენტებისათვის. როგორც ნახაზებიდან ჩანს, შეინიშნება გარკვეული განსხვავებანი გეოფიზიკის

ინსტიტუტისა და ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტის მოდელებით გამოთვლილ თერმოხალინურ ველებს შორის.

რეგიონული პროგნოზული სისტემის საფუძველზე გამოთვლილი ცირკულაციური რეჟიმების ანალიზმა აჩვენა, რომ ერთი და იმავე სეზონის ცირკულაციური რეჟიმები სხვადასხვა წლებში შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ამ ფაქტის დადასტურების მიზნით ნახ. 17 - ზე ნაჩვენებია დინების ველები 2010 და 2012 წლის ივლისის ერთსა და იმავე დღეებში. 2010 წლის ზაფხულის ცირცულაცია ხასიათდებოდა სრულიად განსხვავებული ცირკულაციური რეჟიმით, ვიდრე 2012 წლის ზაფხულის ცირკულაცია. კერძოდ, ნახ. 17-დან კარგად დაიკვირვება ბათუმის ანტიციკლონური გრიგალი, რომელიც აღნიშნულ სეზონში ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ინტენსივობით და მოიცავდა განსახილველი აკვატორიის მნიშვნელოვან ნაწილს.



ნახ. 17. 2010 და 2012 წლის ივლისის შესაბამისი გამოთვლილი პროგნოზული ზედაპირული დინების ველები: (ა) – 4 ივლისი 2010, (ბ) – 17 ივლისი 2010, (გ)- 27 ივლისი 2010, (დ) - 4 ივლისი 2012, (ე) – 17 ივლისი 2012, (ვ) – 27 ივლისი 2012.

შავი ზღვის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის რეგიონული სისტემის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია სისტემის გაფართოებასთან სხვადსხვა ეკოლოგიური ხასიათის ამოცანების ჩართვის გზით, რომლებიც შეეხება მინარევების გავრცელებას ზღვის გარემოში, ასევე ზედაპირული გრავიტაციული ტალღების გავრცელების პროგნოზს და სხვ. თვალსაჩინოების მიზნით ნახ. 18-ზე სქემატურად ნაჩვენებია რეგიონული პროგნოზული სისტემის გაფართოებული ვერსია მასში ჩართული სხვადასხვა ამოცანებით.

9. მაღალი გარჩევისუნარიანობის მქონე "მცირე" წყლის თეორიის განტოლებებზე დაფუძნებული ზღვის დინამიკის მოდელი ზღვა-ხმელეთის გამყოფი მოძრავი საზღვრით შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლისათვის [58]. მოდელი საშუალებას იძლევა გავთვალოთ ვერტიკალზე გასაშუალოებული დინება და ზღვის თავისუფალი ზედაპირის ცვალებადობა რამოდენიმე ათეული მეტრი სივრცითი ბიჯით. შემოთავაზებულია განხილული ამოცანის ამოხსნის გახლეჩის მეთოდზე დაფუძნებული ეფექტური რიცხვითი სქემა, რომელიც საშუალებას იძლევა საწყისი ამოცანა გახლეჩის ყოველ ეტაპზე დავიყვანოთ ერთგანზომილებიან სასრულ-სხვაობიან განტოლებებზე, რომლებიც ეფექტურად ამოიხსნება ფაქტორიზაციის მეთოდის გამოყენებით.

აპრობაციის მიზნით მოდელი რეალიზებული იყო შავი ზღვის განაპირა აღმოსავლეთ ნაწილისათვის. მოდელის პარამეტრებია: ბადის წერტილების რაოდენობა – 215 x 347, ჰორიზონტალური ბიჯი - 1 კმ, დროითი ბიჯი - 5 წთ,



ნახ. 18. შავი ზღვის მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის რეგიონული სისტემის გაფართოებული ვერსია.

მაქსიმალური სიღრმე - 111 კმ. მოდელში შემავალი მონაცემებია:

- ქარის ხახუნის ტანგენციალური დაძაბულობა და ატმოსფერული წნევის გრადიენტები;
- დინების სიჩქარის კომპონენტები თხევად საზღვარზე;
- დინების სიჩქარის კომპონენტები და თავისუფალი ზედაპირი საწყის მომენტში.

შემოთავაზებული "მცირე" წყლის მოდელი ჩართულია რეგიონულ პროგნოზულ სისტემაში და ისევე როგორც ზღვის დინამიკის სამგანზომილებიანი რეგიონული მოდელი, იგი წარმოადგენს ამ სისტემის ერთ-ერთ ბლოკს (ნახ. 19). მოდელში შემავალი ყველა საწყისი მონაცემი მიიღება ჰჰი-დან.



ნახ. 19. რეგიონული მონიტორინგისა და პროგნოზის სიტემის ფუნქციონირების სქემა "მცირე" წყლის მოდელის ჩართვით.

ნახ. 20-ზე ნაჩვენებია "მცირე" წყლის მოდელით გამოთვლილი ვერტიკალზე გასაშუალოებული დინების ველი, ხოლო ნახ. 21-ზე - "მცირე წყლის" მოდელითა და ზღვის ჰიდროფიზიკის ინსტიტუტის ზოგადი ცირკულაციის 3-განზომილებიანი მოდელით გამოთვლილი ზღვის დონის ცვალებადობა. სურათები შეესაბამება 2012 წლის 15-18 თებერვალს. როგორც ნახ. 19-დან ჩანს, დროის აღნიშნულ პერიოდში დინება შავი ზღვის



ნახ. 20. "მცირე წყლის" მოდელით გამოთვლილი ვერტიკალზე გასაშუალოებული დინების ველი. საპროგნოზო პერიოდი: 15-18 თებერვალი, 2012 წ.

საქართველოსა და მის მიმდებარე აკვატორიაში ხასიათდებოდა პრაქტიკულად გრიგალური წარმონაქმნების გარეშე და მიმართული იყო მთლიანად ციკლონურად. ამ შემთხვევაში შავი ზღვის ძირითადი დინების აღმოსავლეთი ტოტი ახლოს ჩაუვლის კავკასიის ნაპირებს, რაც დამახასიათებელია შავი ზღვის ზამთრის ცირკულაციისათვის. ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ 2012 წლის თებერვალი ხასიათდებოდა ძლიერი ატმოსფერული ქარებით, რომლებიც გამაგლუვებელ მოქმედებას ახდენენ ცირკულაციაზე და აფერხებენ სანაპირო გრიგალების ფორმირებას.



ნახ. 21. (ა)-(გ) - "მცირე წყლის" მოდელით გამოთვლილი ზღვის დონის ცვალებადობა; (დ)-(ვ) - ზჰი-ის ზოგადი ცირკულაციის 3-განზომილებიანი მოდელით გამოთვლილი ზღვის დონის ცვალებადობა. საპროგნოზო პერიოდი: 15-18 თებერვალი, 2012 წ.



ნახ. 22. გეოფიზიკის ინსტიტუტის სივრცითი რეგიონული მოდელით გამოთვლილი დინების ველი 0 (ა), 50 (ბ) და 100 მ (გ) ჰორიზონტებზე. 15 თებერვალი 2012, 00:00 GMT.

შედარების მიზნით ნახ. 22-ზე წარმოდგენილია ზღვის დინამიკის რეგიონული მოდელით გამოთვლილი 2012 წლის 15 თებერვლის შესაბამისი დინების სურათები 0, 50 და 100 მ ჰორიზონტებზე, რომლებიც აჩვენებენ, რომ "მცირე" წყლის მოდელით გამოთვლილი დინების ველები ახლოსაა 3-განზომილებიანი ზღვის დინამიკის მოდელით გამოთვლილ დინების ველებთან. გამოთვლილი ზღვის დონის ცვლილება (ნახ.20) შესაბამისობაშია ცირკულაციის ხასიათთან - ჩაწეულია ქვემოთ ციკლონური დინების ცენტრთან მიახლოებისას და ამოზნექილია ციკლონური დინების პერიფერიებში. ზღვის დონის მაღალი მნიშვნელობები ძირითადად განპირობებულია სევასტოპოლიდან მიღებული საწყისი ველების დიდი მნიშვნელობებით, რასაც შემოთავაზებული რიცხვითი სქემის აპრობაციის მიზნით ჩატარებულ ექსპერიმენტებში არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნდა.

10. შავ ზღვაში მდ. რიონის მიერ შემოტანილი მყარი ნატანის გავრცელების რიცხვითი მოდელი [59, 60]. შემუშავებულია კომპლექსური მოდელი, რომელიც შედგება ჰიდროდინამიკური და გადატანა-დიფუზიის ბლოკებისაგან (ნახ. 23). ჰიდროდინამიკური

ბლოკი თავის მხრივ შეიცავს შავი ზღვის დინამიკის მოდელს მთლიანი აუზისათვის და სანაპირო ზოლის დინამიკის მაღალი გარჩევისუნარიანობის მქონე მოდელს.



ნახ. 23. კომპლექსური მოდელის სტრუქტურა.

განსახილველი არე ქ. ფოთის მიდამოში (5.9 x 9 კმ) გამოყოფილია ზღვის დანარჩენი აკვატორიისაგან თხევადი საზღვრით, სადაც სიჩქარის მნიშვნელობები, ტემპერატურა და მარილები გამოითვლება ზღვის დინამიკის მოდელიდან მთელი აუზისათვის [12-14]. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სასაზღვრო პირობებად თხევად საზღვარზე მაღალ გარჩევისუნარიან მოდელისათვის. ამ მოდელით გამოთვლილი სიჩქარის კომპონენტები გამოიყენება დიფუზიისა და სედიმენტაციის მოდელში, რომელიც დაფუძნებულია სუბსტანციის გადატანა-დიფუზიის განტოლებაზე გრავიტაციული დალექვის გათვალისწინებით.

ნახ. 24-ზე გამოსახულია სათვლელი არე ქ. ფოთის მიმდებარე აკვატორიაში და ფსკერის რელიეფის იზოწირები. როგორც ნახაზიდან ჩანს, რელიეფის ერთ-ერთ თავისებურებას აღნიშნულ რაიონში წარმოადგენს ღრმულის არსებობა ფოთის პორტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მოდელში მაქსიმალური სიღრმე იყო 274 მ.



ნახ. 24. ამოსსნის არე ქ. ფოთის მიმდებარე აკვატორიაში და ზღვის ფსკერის რელიეფის იზოწირები (მეტრებში)



ნახ. 25. მყარი ნატანის კონცენტრაციები 5 და 1 მ ჰორიზონტებზე თებერვალში (კგ/მ^3).

განსახილველი არე იფარებოდა ბადით 60 x 120 წერტილების რაოდენობით და 100 მ მუდმივი ჰორიზონტალური ბიჯით. ვერტიკალზე აღებული იყო 30 სათვლელი დონე მინიმალური 0.5 მ ბიჯით ზღვის ზედაპირთან და მაქსიმალურით - 35 მ. მოდელი გამოყენებულია მდ. რიონის მიერ ზღვაში შემოტანილი მყარი ნატანის სივრცით – დროითი განაწილების სეზონური ცვალებადობის მოდელირებისათვის

მოდელის ზოგიერთი შედეგის ილუსტრირების მიზნით ნახ. 25-ზე ნაჩვენებია ზღვაში შემოტანილი მყარი ნატანის გამოთვლილი კონცენტრაციები თებერვლის თვეში საშუალო წლიური ცირკულაციის პირობებში.

11. რეგიონული და ლოკალური ატმოსფერული პროცესების მათემატიკური მოდელები. ატმოსფერული პროცესების მოდელირებისადმი მიძღვნილია მრავალი შრომა (მაგ., [32, 61-63]), სადაც საკმაოდ დეტალურადაა შესწავლილი ატმოსფეროს დინამიკის ძირითადი თავისებურებანი. ატმოსფეროს დინამიკის განტოლებათა არსებობისა და ერთადერთობის თეორემები დამტკიცებულია [31, 64-67] შრომებში.

ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორში შემუშავებულ მოდელებს საფუძვლად უდევს ატმოსფეროს ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრული სისტემა შესაბამისი საწყისი და სასაზღვრო პირობებით [68-77]. მოდელების განტოლებათა რიცხვითი ინტეგრირებისას გამოყენებულია შუმან-ჰოვერმეილის [78], და ანალოგიურად ზღვის დინამიკის ამოცანებისა, ორციკლიანი გახლეჩის მეთოდი როგორც ფიზიკური პროცესების, ასევე ვერტიკალური სიბრტყეებისა და კოორდინატების მიმართ. გახლეჩის ყოველ ეტაპზე მიღებულ შედარებით მარტივ ამოცანათა დროითი აპროქსიმიმირების მიზნით გამოყენებულია კრანკ-ნიკოლსონის სქემა [31]. აღნიშნული მოდელების საფუძველზე მოდელირებული და შესწავლილია ძირითადი მეტეოროლოგიური ველების სივრცით-დროითი განაწილების თავისებურებანი როგორც კავკასიის რეგიონისა და საქართველოს ცალკეული რაიონებისათვის, ასევე გაფართოებული არისათვის რეალური რელიეფის გათვალისწინებით.

ნახ. 26 –ზე ნაჩვენებია გაფართოებული ამოხსნის არის რელიეფის სივრცითი გამოსახულება (მარცხნივ) და მოდელების რეალიზაციის არეები. ნახ. 27-ზე ნაჩვენებია მოდელირებული ჰაერის დინება სხვადასხვა სიმაღლეებზე გაფართოებულ არეში, რომელიც მოიცავს შავ, კასპიისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვებს. საწყის t = 0 მომენტში ადგილი ქონდა დასავლეთის შეუშფოთებელ დინებას, რომლის სიჩქარეც სიმაღლის მიხედვით იცვლებოდა 2 მ/წმ-დან მიწის ზედაპირთან 25 მ/წმ-მდე ტროპოსფეროს ზედა საზღვართან. ნახ. 27 – დან ცხადად ჩანს, რომ რელიეფს მნიშვნელოვანი შეშფოთებები შეაქვს დინებაში და არსებითად ცვლის ქარის მიმართულებასა და სიჩქარეს. მთის მასივებთან მიახლოებისას დინების მიმართულებები

მკვეთრ ცვლილებებს განიცდის და ზოგიერთ შემთხვევაში შეშფოთებული დინება იღებს ფონური დინების საპირისპირო მიმართულებას.



ნახ. 26. გაფართოებული ამოხსნის არის რელიეფის სივრცითი გამოსახულება (მარცხნივ) და მოდელების რეალიზაციის არეები.



ნახ. 27. მოდელირებული ჰაერის დინების ველი 200 (ა), 600 (ბ), 1500 (გ) და 2500 მ (დ) სიმაღლეებზე.

ილუსტრაციის მიზნით ნახ. 28-ზე მოყვანილია კავკასიის რეგიონისათვის ატმოსფეროს დინამიკის მოდელის რეალიზაციის ერთ-ერთი შედეგი, რომელიც

შეესაბამება დასავლეთის ფონური დინების დროს ჩამოყალიბებულ დინების ველს 3 კმ სიმაღლეზე.



ნახ. 28. ატმოსფერული ქარის ველი z = 3 კმ სიმაღლეზე დასავლეთის ფონური ქარის დროს.

შესწავლილია სინოპტიკური მასშტაბის ციკლონური და ანტიციკლონური ბარიული სიტემების გადაადგილების შემთხვევაში მეტეოროლოგიური ველების სივრცული და დროითი ცვლილება. ილუსტრაციის მიზნით ნახ. 29-ზე ნაჩვენებია ჰაერის დინების ევოლუცია ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში 6 დღეღამის განმავლობაში იმ პირობებში,



ნახ. 29. დიდმასშტაბიანი ანტიციკლონის აღმოსავლეთით გადაადგილებისას წარმოშობილი ქარის სივრცული განაწილება ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში 6 დღეღამის განმავლობაში.

როდესაც ფონური სიტუაცია შეესაბამებოდა ანტიციკლონის აღმოსავლეთით გადაადგილებას განსახილველ არეში. ნახაზიდან ცხადად ჩანს რელიეფის არსებითი

გავლენა ჰაერის დინებაზე, რის შედეგადაც ყალიბდება მეზომასშტაბური გრიგალური წარმონაქმნები. რეალიზებულია შავი ზღვისა და კავკასიის ტერიტორიაზე მეზომასშტაბური რიცხვითი მოდელი. მოდელირებული ველების ანალიზი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში დაიკვირვება ოროგრაფიული მეზომასშტაბური წარმოშობის ციკლონური და ანტიციკლონური გრიგალების ჩასახვა. მაგალითად, ნახ. 30-ზე კარგად ჩანს ოროგრაფიული ანტიციკლონური გრიგალის ფორმირება ცენტრით შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ასევე, ნახ. 31-ზე დაიკვირვება მეზომასშტაბური ციკლონური გრიგალის წარმოშობა ჩრდილოეთ კავკასიაში კასპიის ზღვის სიახლოვეს.



ნახ. 30. მიწისპირა ქარის ველი, როცა t = 36 სთ. ოროგრაფიული ანტიციკლონური გრიგალის წარმოშობა.



ნახ. 31. კავკასიაში 2 კმ სიმაღლეზე ფორმირებული ქარის ველი ფონური სამხრეთის ქარის დროს

ლოკალური ატმოსფერული პროცესების მოდელირების შედეგების ილუსტრაციის მიზნით ნახ. 32-ზე ნაჩვენებია ქ. ბათუმის მიდამოებში ფორმირებული ჰაერის დინების ველი ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეებზე, ხოლო ნახ. 33-ზე წარმოდგენილია ქ. თბილისის რაიონში ფორმირებული ქარის ველი z = 8 კმ ჰორიზონტზე და ვერტიკალურ კვეთაში.



ნახ.32. ქ. ბათუმის რაიონში ფორმირებული ქარის ველი.



ნახ. 33. ქ. თბილისის რაიონში ფორმირებული ქარის ველი.

12. ატმოსფეროსა და ნიადაგში მინარევების გავრცელების მათემატიკური მოდელები [35, 79-81]. ატმოსფეროში მინარევების გავრცელების მოდელი დაფუძნებულია გადატანა-დიფუზიის 3 განზომილებიანი არასტაციონარული განტოლების რიცხვით ინტეგრირებაზე,



ნახ. 34. კავკასიის რეგიონის რელიეფი და ამოფრქვევების წყაროთა მდებარეობა.

ხოლო ნიადაგში ნავთობისა და მარილების გავრცელება აღიწერება ფილტრაციის ერთგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი განტოლებებით. მოდელირებული და შესწავლილია მიწისპირა და მაღლივი წყაროებიდან ამოფრქვეული მინარევების გავრცელება საქართველოსა და კავკასიის ატმოსფეროში სხვადასხვა ტიპიური მეტეოროლოგიური სიტუაციების შემთხვევაში. კერძოდ, მოდელირებულია ქალაქების ფოთის, ბაქოს და მეწამორის მიდამოებში ჰიპოთეტური ავარიის შედეგად ამოფრქვეული ნივთიერებების გავრცელება ატმოსფეროში. გამოთვლებით დადგენილია დამაბინძურებელი ღრუბლების გავრცელების შესაძლო ტრაექტორიები სხვადასხვა ფონური ქარების შემთხვევებში. ნაჩვენებია, რომ რელიეფი ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში მნიშვნელოვნად ცვლის დაბინძურების ღრუბლის გადაადგილების ტრაექტორიას. ნახ. 34-ზე ნაჩვენებია კავკასიის რეგიონის რელიეფის სივრცითი გამოსახულება და ამოფრქვევის წყაროთა მდებარეობა.

ილუსტრაციის მიზნით ნახ. 35-ზე ნაჩვენებია რიცხვითი მოდელირებით მიღებული ქ. ფოთში ჰიპოთეტური ავარიისას შავი ზღვის სანაპირო ზოლის ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში ამოფრქვეული პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელების სურათი დასავლეთის, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ფონური ქარის შემთხვევაში. ნახაზიდან ჩანს, რომ პასიური მინარევის გავრცელების პროცესი არსებითად დამოკიდებულია ცირკულაციურ რეჟიმზე და დაჭუჭყიანების არეების გავრცელება სხვადასხვაა ცალკეული ფონური სიტუაციების დროს. ნახ. 35ა -ზე ნაჩვენებია ქ. ფოთის მიდამოებში ატმოსფეროში გაფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერების რიცხვითი მოდელირებით მიღებული რეგიონალური გავრცელება სუსტი ფონური დასავლეთის ქარის შემთხვევაში. ნახაზიდან ჩანს, რომ პირველი 24 საათის განმავლობაში ატმოსფეროს მიწისპირა ფენის დონეზე ნივთიერება გადაიტანება დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებებით ისე, რომ ამოფრქვეული ნივთიერების მასის ძირითადი ნაწილი გარს უვლის მთავარი კავკასიონის ქედს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან და იწყებს გავრცელებას ჩრდილო კავკასიაში. გაცილებით მცირე რაოდენობის დამაბინძურებელი ნივთიერება გადაიტანება აღმოსავლეთით – სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. ეს ნაკადი გადაევლება რიკოთის უღელტეხილს და ვიწრო ზოლის სახით ვრცელდება ქართლის ვაკის გავლით აღმოსავლეთ საქართველოში. z = 2 კმ და უფრო მაღალ დონეებზე დამაბინძურებელი ნივთიერება ვრცელდება მეტი სიჩქარით ვიდრე მიწისპირა ფენაში. ერთდროულად ფართოვდება დაბინძურების ზონა და იკავებს დიდ სივრცეს კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილის თავზე. ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია პირველი 24 სთ-ის განმავლობაში მცირდება საწყისი 100-დან 20 პირობით ერთეულამდე. მაქსიმალური კონცენტრაცის ზონა მდებარეობს შავი ზღვის თავზე 1 კმ სიმაღლეზე. მისი მდებარეობა ამოფრქვევის წყაროდან დაშორებულია დაახლოებით 50-60 კმ მანძილზე.



ნახ. 35. დინების ველი შავი ზღვის სანაპირო ზოლში და პასიური დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელება დასავლეთის (ა), ჩრდილოეთის (ბ) და აღმოსავლეთის (გ) ფონური ქარის შემთხვევაში. დაჭუჭყიანების წყარო მდებარეობდა ქ. ფოთში.

ფონური ჩრდილოეთის ქარის შემთხვევაში დამაბინძურბელი ნივთიერების ღრუბელი ამოფრქვევის ადგილიდან გადაადგილდება აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით (ნახ 35ბ). ლიხის და მცირე კავკასიონის ქედების შემაფერხებელი ზემოქმედების შედეგად, ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში, როცა t = 24 და 36 სთ, დაბინძურებული ზონა გაჭიმულია ნამგლის ფორმის ვიწრო ზოლის სახით გურიის, აჭარისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის თავზე. დროის აღნიშნული მომენტებისათვის კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები საწყის მნიშვნელობასთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 20 და 100 ჯერ, შესაბამისად.

ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერება ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში აღმოსავლეთის ქარის შემთხვევაში როცა t = 36 სთ ძირითადად კონცენტრირებულია კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ტერიტორიაზე და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ნახ. 35გ). ის ვრცელდება როგორც ერთიანი ღრუბელი და არაა დეფორმირებული ოროგრაფიის გავლენით. დაბინძურების ღრუბლის ჰორიზონტალური გადადგილების სიჩქარე შეადგენს დაახლოებით 10-12 კმ/სთ-ს.

მოდელირების გზით შესწავლილი იყო ქ. მეწამორში ჰიპოთეტური ამოფრქვევის შემთხვევაში იოდ-131 (I^{131}) –ის შესაძლო გავრცელება სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარების პირობებში.



ნახ. 36. მეწამორის აეს შესაძლო ამოფრქვევის შემთხვევაში ატმოსფეროში I^{131}-ის გავრცელების ტრაექტორიები ფონური სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარების შემთხვევებში.

განხილული იქნა 10 მკმ ზომის ნაწილაკების გადატანა და ნიადაგის ზედაპირზე მისი დალექვა ფონური სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარის დროს. ^{131}I – ის დაშლის ნახევარპერიოდი $T_{rad} = 8.02$ დღეს, სედიმენტაციის სიჩქარე – $W_0 = 1$ სმ/წმ.

რადიაქტიური ღრუბელი, რომელიც შეიძლება ამოიფრქვეს ჰიპოთეტური ავარიის შედეგად, პირველი 24 სთ-ის განმავლობაში ვრცელდება სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე (ნახ. 36ა). დროის შემდგომ მომენტებში რადიაქტიული მტვრის ღრუბლის ნაწილი გადაევლება მთავარ კავკასიონის ქედს და მიყვება მის ჩრდილოეთ, სამხრეთ კალთებს და შავი ზღვის სანაპირო ზოლს. რადიაქტიური მტვერი აღწევს რა ზღვას, ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში ფორმირებული მეზომასშტაბის მქონე ქარის სიჩქარის ციკლონური გრიგალის მოქმედებით, გადაიტანება სამხრეთით და იკავებს მნიშვნელოვან სივრცეს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. გამოთვლებმა აჩვენა, რომ რადაქტიურ ღრუბელს სჭირდება დაახლოებით 20 საათი იმისთვის, რომ მიაღწიოს შავი ზღვის სანაპირო ზონამდე. ამ მომენტისათვის მისი კონცენტრაცია ატმოსფეროში მაქსიმალურთან შედარებით შემცირებულია 100 – ჯერ და უფრო მეტად.

რადიაქტიური მტვერი გავრცელებისას ნიადაგზე ტოვებს დანალექის ფართო ზოლს ამოფრქვევის ადგილიდან შავი ზღვის სანაპიროს ჩათვლით. ნიადაგზე დაფენილი აეროზოლის ზედაპირული სიმკვრივე მაქსიმალურია წყაროს მიდამოებში და სწრაფად მცირდება პერიფერიისაკენ (ნახ. 37).



ნახ. 37. მეწამორის აეს შესაძლო ავარიული ამოფრქვევის შემდეგ ნიადაგზე დალექილი I^{131}-ის კონცენტრაციები ფონური სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარის დროს.



ნახ. 38. ქარის სიჩქარისა და ქ. ბაქოში ამოფრქვეული ნივთიერების კონცენცენტრაციის განაწილება ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში როცა t = 0, 6, 24 და 48 სთ ფონური აღმოსავლეთის ქარის დროს.

ნახ. 38 -ზე ილუსტრირებულია ქ. ბაქოში ამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერების გავრცელება ფონური აღმოსავლეთის ქარის დროს. ნახაზოდან ჩანს, რომ პირველი 6 სთ-ის განმავლობაში დამაბინძურებელი ნივთიერება ძირითადად ლოკალიზირებულია აფშერონის ნახევარკუნძულის მიდამოებში 300 კმ სიგრძისა და 150 კმ სიგანის ელიფსური ფუძის მქონე ცილინდრულ არეში. შემდეგ დამაბინძურებელი ნივთიერების ღრუბელი ვრცელდება მცირე კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი კალთის გასწვრივ მუგამისა და შირვანის დაბლობების თავზე და იკავებს ჩრდილოეთ სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის დიდ ნაწილს. ამოფრქვევის დაწყებიდან 48

საათის შემდეგ დაბინძურება გავრცელებულია მთელ სამხრეთ კავკასიაში კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე.

სექტორში შემუშავებული ნიადაგის მარილიანობის ცვლილების რიცხვითი მოდელი აღწერს ნიადაგში მელიორაციის შედეგად მარილების ცვლილებას, ხოლო დაღვრილი ნავთობის ნიადაგში გავრცელების მოდელი აღწერს მიწის ზედაპირზე დაღვრილი ნავთობის სივრცით გავრცელებას ნიადაგის 2 მეტრიან ფენაში. მოდელი, შემდგომი განვითარების გზით, შეიძლება გამოყენებული იქნას პრაქტიკული გამოყენების ამოცანების გადასაჭრელად. კონცენცენტრაციის განაწილება ატმოსფეროს სასაზღვრო ფენაში როცა t = 0, 6, 24 და 48 სთ ფონური აღმოსავლეთის ქარის დროს.

ილუსტრაციის მიზნით ნახ. 39-ზე ნაჩვენებია ნატრიუმის კარბონატის მყარი ფრაქციის განაწილება ნიადაგში და მისი ცვლილება თვეების მიხედვით, ხოლო ნახ. 40-ზე ჩაჟონილი ნავთობის კონცენტრაციები ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეებში 200 დღის შემდეგ.



ნახ. 39. ნატრიუმის კარბონატის მყარი ფრაქციის განაწილება ნიადაგში, როცა t = 0, 1, 3 და 6 თვე.



ნახ. 40. ჩაჟონილი ნავთობის კონცენტრაციები ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეებში 200 დღის შემდეგ. ვერტიკალური ბიჯი ტოლია 10 სმ, ჰორიზონტალური – 20 სმ.

13. ზღვა-ხმელეთი-ატმოსფეროს ერთიანი ჰიდროდინამიკური მოდელი. შავი ზღვა და ატმოსფერო ერთიანი ჰიდროთერმოდინამიკური სისტემაა და ამიტომ გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემების, შავი ზღვის მდგომარეობისა და ამინდის პროგნოზის, ასევე რეგიონული კლიმატის ცვლილების პროგნოზის ამოცანის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია ზღვაში, ხმელეთზე და ატმოსფეროში მიმდინარე პროცესების ერთიანობაში განხილვის გზით. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორში დაგეგმილია ზღვა-ხმელეთი-ატმოსფეროს ერთიანი ჰიდროდინამიკური მოდელის შემუშავება, რომელიც

დაეფუძნება სექტორში შემუშავებულ ზემოთ აღნიშნულ ზღვისა და ატმოსფეროს მათემატიკურ მოდელებს.

ზღვა-ხმელეთი-ატმოსფეროს ერთიანი მოდელის შემუშავება მჭიდრო კავშირშია ოკეანე (ზღვა)-ატმოსფეროს ურთიერთქმედების პრობლემასთან. ერთიანი გლობალური ჰიდროდინამიკური მოდელების შემუშავება დაიწყო, ძირითადად, გასული საუკუნის 70-იან წლებში და ასეთი მოდელები სათვლელი ბადის დიდი სივრცითი ბიჯის გამო, პრაქტიკულად ვერ აღწერდნენ ფიზიკური პროცესების რეგიონალურ თავისებურებებს. მაგალითად, ასეთ მოდელებში შავი და კასპიის ზღვები "არ არსებობენ", ხოლო კავკასიის რთული რელიეფი პრაქტიკულად იგნორირებულია [82-85]. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ოკეანე-ატმოსფეროს ცალკეული გლობალური მოდელები იყენებენ ცვლადი ბიჯის მქონე ჰორიზონტალურ ბადეს დედამიწის გარკვეულ რეგიონებში შედარებით მაღალი გარჩევისუნარიანი ველების მისაღებად [86]. გარდა ამისა, შემუშავებულია ზღვა-ატმოსფეროს რეგიონალური წყვილური მოდელები **RegCM3, HadRM, HIRHAM, REMO** და სხვ [87-90], რომლებიც წარმატებით გამოიყენება დედამიწის ცალკეული რაიონებისათვის, როგორც შემოსაზღვრული არეალის მქონე მოდელები **(limited area coupled models)**. ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შავი ზღვის რეგიონისათვის აღნიშნული მოდელები რეალიზებული არ ყოფილა. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ერთიანი (წყვილური) რეგიონული მოდელი განსხვავებული იქნება ლიტერატურაში ცნობილ წყვილური მოდელებისაგან ცალკეული ფიზიკური პროცესების გათვალისწინების მეთოდიკით (მაგ., ქვეფენილ ზედაპირთან ურთიერთქმედება) და ამოხსნის რიცხვითი ალგორითმით.



ნახ. 41. ზღვა-ხმელეთი-ატმოსფეროს ერთიანი მოდელის რეალიზაციის არე.

ერთიანი მოდელის განტოლებათა ამოხსნის არის ჰორიზონტალური ზომების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტორი, რომ ატმოსფეროსა და ზღვაში მიმდინარე პროცესების სივრცით-დროითი მასშტაბები ერთმანეთისაგან განსხვადებიან. მაგალითად, თუ შემოვისაზღვრებით ატმოსფეროს მხოლოდ იმ ნაწილით, რომელიც თანაზომადია შავი ზღვის აკვატორიასთან, მაშინ ატმოსფერული პროცესების სწრაფი ცვალებადობის გამო, მოდელი ვერ შეძლებს ამ ორი გარემოს ურთიერთქმედების კორექტულ ასახვას. ამიტომ აუცილებელია განხილულ იქნას ერთიანი მოდელი გაფართოებული არისათვის, რომელიც მოიცავს შავ და კასპიის ზღვებს და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ნაწილს (იხ., ნახ. 41).

ერთიანი მოდელის სტრუქტურა და მისი აგების თეორიული საფუძვლები აღწერილია ჩვენს მიერ [15, 91-93] - ში. მოდელის ვერტიკალური სტრუქტურა მოცემულია ნახ. 42-ზე, ხოლო მისი შემადგენელი ცალკეული მოდულები და ერთიანი მოდელის ფუნქციონირების სქემა ნაჩვენებია ნახ. 43-ზე. ერთიანი მოდელი შედგენილია ცალკეული ბლოკებისაგან, რომელთაგან თითოეული ხასიათდება გარკვეული ინდივიდუალობით, აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ამავე დროს წარმოადგენს საერთო მოდელის

შემადგენელ ნაწილს. ყოველი ბლოკი წარმოადგენს მათემატიკურ მოდელს, რომელიც ასახავს გარემოს ცალკეულ ობიექტებში (ზღვა, ატმოსფერო, ნიადაგის აქტიური ფენა) მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკურ პროცესებს. მოდელს საფუძვლად დაედება ზღვისა და ატმოსფეროს ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრული სისტემები, ნიადაგში სითბოსა და ტენის გადატანის განტოლებები.



ნახ. 42. ზღვა-ხმელეთი-ატმოსფეროს ერთიანი მოდელის ვერტიკალური სტრუქტურა.

ზღვა-ხმელეთი-ატმოსფეროს ერთიანი რეგიონული მოდელი საფუძვლად დაედება კავკასიის რეგიონის ბუნებრივი გარემოს (შავი და კასპიის ზღვები, ატმოსფერო, ხმელეთი) მდგომარეობის მონიტორინგისა და პროგნოზის სისტემის შემუშავებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ოპერატიული ინფორმაცია ზღვების, ატმოსფეროსა და ნიადაგის ჰიდროთერმოდინამიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის აღმწერი პარამეტრების ცვლილებების შესახებ კავკასიის ბუნებრივ გარემოში

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორში მიმდინარე და მომავალი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მეტად აქტუალურია და დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება გააჩნიათ ჩვენი ქვეყნისათვის. მათ აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ ისინი აუცილებელია ამინდისა და ზღვის მდგომარეობის პროგნოზის და რეგიონული კლიმატის ანთროპოგენური ცვლილებათა პრობლემების წარმატებით გადასაწყვეტად.



ნახ. 43. ზღვა-ხმელეთი-ატმოსფეროს ერთიანი მოდელის ფუნქციონირების სქემა.

ავტორი გულითად მადლობას უცხადებს სექტორის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს დ. დემეტრაშვილს სტატიის გაფორმებაში აღმოჩენილი დახმარებისათვის. ავტორი ასევე მადლობელია სექტორის თანამშრომლებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სექტორის სამეცნიერო მიღწევებში. სტატიაში მოყვანილი ამოცანები პერიოდულად მოხსენებული იყო ზემოთ აღნიშნულ საქალაქო სემინარზე, სადაც სემინარის მონაწილეთა მხრიდან გამოთქმული სასარგებლო შენიშვნები და რჩევები მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა სექტორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას, ამიტომ ავტორი დიდად მადლობელია სემინარის მონაწილეებისა.

სტატიაში წარმოდგენილი შედეგების გარკვეული ნაწილი მიღებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში (გრანტის შიფრია AR/373/9-120/12).

ლიტერატურა

1. Mirtskhulava Ts. Prompt prognosis of the condition of the Black Sea is the way of its rescue. *Abstracts of Papers of UNESCO Conference "The Sea and Man",* Tbilisi, 1995, pp.136-137.
2. Гулин С. Б. Исследование процессов эвтрификации радиоактивного и и химического

Загрязнения Черного моря с использованием природных и антропогенных радиотрассеров. Автореферат диссертации на соискание уч. степени доктора биологических наук. Севастополь, 2002.
3. Mironescu L. The fight against harm to the environment in the Black Sea. Parlamentaty Assembly Recommendation 1837, Doc.11632. 2008.
4. Lupsor S., Stanciu G., Epure D., Chirila E. Heavy metals and Pecticides analysis from Black Sea Algae. Series: "Nato Science for peace and Security Series C: Environmental Security". Exposure and Risk Assessment of Chemical Pollution-Contemporary Methodology. 2009, pp. 431-437. http://link.springer.com/chapter/10.1007%2F978-90-481-2335-3_34 .
5. Коротаев Г. К., Еремеев В. Н. Введение в оперативную океанографию Черного моря. Севастополь. НПЦ "ЭКОСИ-Гидрофизика", 383 с.
6. Джаошвили Ш. В. Речные наносы и пляжеобразование на Черноморском побережье Грузии. Тбилиси: Сабчота Сакартвело, 1986, 157 с.
7. Kordzadze A., Kvaratchelia D., Demetrashvili D. On the specification of the eddy viscosity coefficient in the Black Sea dynamics barotropic problem. J. Georgian Geophys.Soc., Tbilisi, 1998, v.3b, pp.59-65.
8. Кордзадзе А.А. Математическое моделирование динамики морских течений (теория, алгоритмы, численные эксперименты). Москва, ОВМ АН СССР, 1989. 128 с.
9. Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И. Численные эксперименты по модели динамики Черного моря, учитывающей поглощение солнечной радиации. Вычислительная математика и математическое моделирование. *Труды международной конференции, посвященной 75-летию акад. Г. И. Марчука и 20-летию основания Института Вычислительной математики Российской АН.* Москва., 2000, Т. 1, с.125-134.
10. Kordzadze A., Demetrashvili D. Numerical modeling of inner-annual variability of the hydrological regime of the Black Sea with taking into account of alternation of different types of the wind above its surface. Proceed. of Intern. Conference: "*A year after Johanesburg-Ocean Governance and Sustainable Development: Ocean and Coasts – a Glimpse into the Future"*. Kiev, Ukraine, October 27-30, 2003. pp.495-505.
11. Кордзадзе А.А., Деметрашвили Д.И. Численное моделирование влияния нестационарных атмосферных процессов на гидрологический режим Чёрного моря. *В кн: Труды междун. конференции по математическим методам в геофизике "MMG-2003"*, Часть II. Новосибирск, 8-12 октября, 2003, с.353-357.
12. Kordzadze A., Demetrashvili D. Results of numerical experiment on modeling of inner-annual hydrological regime of the Black Sea. J. Georgian Geophys. Soc., 2003, v.8b, pp. 3-18.
13. Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И., Сурмава А. А. О реакции гидрологического режима Чёрного моря на изменчивость атмосферных процессов. Экологическая безопасность прибрежной и шельфовой зон и комплексное использование ресурсов шельфа. Севастополь, Украина, 2004, вып. 10, с. 265-277.
14. Кордзадзе А., Деметрашвили Д. И., Сурмава А. А.О циркуляции в Чёрном море при очень сильных и слабых ветрах. Метеорология и гидрология 2007, N9, с.58-64.
15. Kordzadze A. Mathematical modelling of dynamical and ecological processes in the system sea-land–atmosphere. Air, Water and Soil Quality Modeling for risk and impact assessment. Springer, 2007, pp. 181-193.
16. Кордзадзе А., Деметрашвили Д. И., Сурмава А. А. Численное моделирование гидрофизических полей Чёрного моря в условиях чередования атмосферных циркуляционных процессов. Изв. РАН, Физика атмосферы и океана 2008, т.44, N 2, с.227-238.
17. Кордзадзе А. А., Скиба Ю. Н. Численные расчеты основных характеристик Черного Моря в рамках трехмерной модели. Препринт ВЦ СО СССР Новосибирск 1973, 34 с.
18. Марчук Г.И., Кордзадзе А.А., Скиба Ю.Н. Расчет основных гидрологических полей Черного моря на основе метода расщепления. Изв. АН СССР. Физика атмосферы и океана. 1975. Т. 11. № 4. С. 379–393.
19. Марчук Г.И., Кордзадзе А.А., Залесный В.Б. Проблема математического моделирования морских и океанических течений. Дифференциальные и интегральные уравнения. Краевые задачи. Тбилиси: Изд_во Тбилисского гос. ун_та, 1979. С. 99–151.

20. Марчук Г.И., Кордзадзе А.А. Теория возмущения и постановка обратных задач динамики океана. Труды Тбилисского университета. Математика, механика, астрономия. 1986. Т. 259. № 19–20. С. 49–65.
21. Марчук Г.И., Кордзадзе А.А. Численное моделирование динамики моря на основе метода расщепления. Численное моделирование климата Мирового океана. Моосква, ОВМ АН СССР, 1986. С. 151–163.
22. Марчук Г. И., Кочергин В. П., Саркисиан А. С., Залесный В. В., Кордзадзе А. А., Кузин В. В. и др. Математические модели циркуляции океана. Новосибирск, Наука, 1980, 288 с.
23. Кордзадзе А. А. Об единственности решения одной задачи динамики океана. ДАН СССР, 1974, т.219, № 4, с.856-859.
24. Кордзадзе А. А. К единственности решения квазилинейной задачи динамики океана. В кн.: Некоторые проблемы вычислительной и прикладной математики. Новосибирск, Наука, 1975, с.77-89.
25. Кордзадзе А. А. О разрешимости одной стационарной задачи динамики бароклинного Океана, *ДАН СССР* 1977, т. 232, №2, с. 308-311.
26. Кордзадзе А. А. О разрешимости задач динамики океана с учетом ветровых течений ДАН СССР, 1977 т.237, №1, с. 52-55.
27. Кордзадзе А. А. О разрешимости трехмерной стационарной квазилинейной задачи бароклинного океана. *ДАН СССР*. 1979, т.244, №1, с. 40-43.
28. Марчук Г. И., Кордзадзе А. А. Разрешимость трехмерных нестационарных задач динамики бароклинного океана. В кн: *Математическое моделирование динамики океана часть II.* ВЦ АН СССР, Новосибирск, 1980, с. 114-139.
29. Кордзадзе А. А. Математические вопросы решения задач динамики океана. Новосибирск, ВЦ СО АН СССР, 1982, 148 с.
30. Сухоносов В. И. О корректности в целом трехмерной задачи динамики океана. В кн.: Механика неоднородных сплошных сред. Новосибирск, СО АН СССР, 1981, вып.52, с. 37-53.
31. Марчук Г.И. Численное решение задач динамики атмосферы и океана. Ленинград, Гидрометеоиздат, 1974, 303 с.
32. Марчук Г.И. Численные методы в прогнозе погоды. Ленинград, Гидрометеоиздат, 1967, 353 с.
33. Girgvliani A., Kukhalashvili V. Numerical modeling of the large-scale hydrothermodynamical characteristics of the Caspian Sea. J. Georgian Geophys. Soc., 1999, v.4B, pp.40-47.
34. Kordzadze A., Demetrashvili D. Numerical modeling of distribution of the oil pollution in the Black Sea. J. Georgian Geophys. Soc., 2000, v. 5b, pp.12-20.
35. Kordzadze A., Demetrashvili D., Surmava A. A. A numerical study of spreading of the oil pollution in the natural environment. Экология окружающей среды и безопасность жизнедеятельности. Киев, Украина, 2005, N 2, pp. 77-84.
36.Кордзадзе А., Demetrashvili D., About the forecast of distribution of anthropogenous impurity and about an establishment of coordinates of a source of pollution in the Black Sea. *Proceed. of the 2st Intern. Silk Road Symposium "BSEC Studies",* Tbilisi, 6-7 May, 2005, pp.103-109.
37. Kordzadze A., Demetrashvili D. I. Pollution of the Black Sea and its study by methods of mathematical modeling. J. Georgian Geoph. Soc., 2010, v.14b, pp.53-74.
38. Марчук Г. И. Математическое моделирование в проблеме окружающей среды. Москва, Наука, 1982, 320 с.
39. Kordzadze A., Demetrashvili D. 3D numerical model of distribution of nonconservative admixture in the Black Sea. J. Georgian Geophys. Soc., 2000, v. 5b, pp.3-11.
40 .Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И., Сурмава А. А. Численное моделирование распространения примеси в Чёрном море и в атмосфере Кавказа. Экология окружающей среды и безопасность жизнедеятельности, 2004, N 6, pp.31-41.
41. Kordzadze A., Demetrashvili D. Numerical experiments on the determination of the pollution source location in the Black Sea. 2D problem. J. Georgian Geophys. Soc., 2001, v. 6b, pp.13-42.
42. Kordzadze A., Demetrashvili D. Numerical experiments on the determination of the pollution source location in the Black Sea. 3D problem. J. Georgian Geophys. Soc., 2001, v. 6b, pp.3- 12.

43. Kordzadze A. A, Demetrashvili D. I. Operational forecast of hydrophysical fields in the Georgian Black Sea coastal zone within the ECOOP. Ocean Science, 2011, 7, *pp.* 793- 803, www.ocean-sci.net/7/793/2011/, doi: 10.5194/os-7-793-2011.
44. Korotaev, G., Cordoneanu, E., Dorofeev, V., Fomin, V., Grigoriev, A., Kordzadze, A., Kubriakov, A., Oguz, T., Ratner, Yu., Trukhchev, D., Slabakov, H.: Near-operational Black Sea nowcasting/forecasting system, in: European Operational Oceanography: Present and Future. 4th EuroGOOS Conference, 6-9 June 2005, Brest, France,. 269-275, 2006.
45. Kubryakov, A., Grigoriev, A., Kordzadze, A., Korotaev, G., Trukhchev, D., Fomin, V.: Nowcasting/Forecasting subsystem of the circulation in the Black Sea nearshore regions, in: European Operational Oceanography: Present and Future. 4th EuroGOOS Conference, 6-9 June 2005, Brest, France,. 605-610, 2006.
46. Korotaev G.K., Oguz T., Dorofeev V.L. et al. Development of Black Sea nowcasting and forecasting system. Ocean Science. 2011. V. 7. P. 629–649, doi: 10.5194/os_7_629_2011.
47. Kubryakov A.I., Korotaev G.K., Dorofeev V.L. et al. Black Sea Coastal forecasting system // Ocean Science. 2012. V. 8. P. 183–196. doi: 10.5194/os_8_183_2012.
48. Kordzadze AA., Demetrashvili D. I. Some results of forecast of hydrodynamic processes in the easternmost part of the Black Sea. J. Georgian Geophy. Soc., 2010, 14b, pp. 37-52.
49. Кордзадзе А., Деметрашвили Д. Некоторые примеры численного прогноза гидрофизических полей в Грузинском секторе Чёрного моря. Труды Инст. геофизики им. М. З. Нодия, 2010, T.LXII, с. 82-104.
50. Kordzadze A., Demetrashvili D. Forecast of circulation processes in the Georgian Black Sea coastal zone by the high-resolution regional model of the Black Sea dynamics. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული. Tbilisi, 2010. #65, გვ. 140-146.
51. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I. Forecast of the Black Sea state in the Georgian coastal Zone. *Proceed. of the Intern. Conference "Environment and Global Warning" devoted 100-years of acad. T. Davitaia ,* Tbilisi, 15-17 September 2011, pp.274-279.
52. Kordzadze A., Demetrashvili D. Coastal forecasting system for the easternmost part of the Black Sea. Abstracts. *3-rd Bi-annual BS Scientific and UP-GRADE BS-SCENE Project Joint Conference, 31st October – 4 st November 2011*, Odessa, Ukraine.
53. Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И. Региональная оперативная система прогноза состояния восточной части Чёрного моря. Экологическая безопасность прибрежной и шельфовой зон и комплексное исследование ресурсов шельфа. Севастополь/Украина, 2011, Выпуск 25, т. 2, с. 136-147.
54. Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И. Краткосрочный прогноз гидрофизических полей в восточной части Черного моря. Известия РАН, Физика атмосферы и океана, 2013, т.49, № 6, с.733-745.
55. Кордзадзе А. А, Деметрашвили Д. И., Сурмава А. А., Кухалашвили В. Г. Некоторые особенности динамического режима восточной части Черного моря по результатам моделирования и прогноза гидрофизических полей за 2010-2013 гг. Труды Института геофизики им. М. Нодиа. 2013, т.LXIV.
56. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I., Surmava A. A. Dynamical processes developed in the easternmost part of the Black Sea in warm period for 2010-2013. J. Georgian Geophys. Soc., 2013, v.16b.
57. Korotaev, G., Oguz, T., Nikiforov, A., and Koblinsky, C.: Seasonal, interannual, and mesoscale variability of the Black Sea upper layer circulation derived from altimeter data, J. Geophys. Res., 108, 3122, doi:10.1029/2002JC001508, 2003.
58. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I., Kukhalashvili V. G. On the effective numerical methods of solution of shallow water problem. Realization of the model for the easternmost part of the Black Sea. J. Georgian Geoph. Soc., 2011-2012, v.15b, pp.
59. Kordzadze A., Demetrashvili D., Surmava A., Kacharava G. Numerical modeling of local circulation and sedimentation of Rioni River alluvium in the Georgian Black Sea coast (water area of Poti city). J. Georgian Geophys. Soc. 2004, vol. 9b, pp.3-17.
60. Kiknadze A., Kordzazde A., Demetrashvili D., Surmava A. Kacharava G. Simmulation of diffusion and sedimentation of Rioni River Alluvium in the Georgian Black Sea coast (water area of Poti city). Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. 2006, v.173, N 3. pp.504-506.

61. Кибель И. А. Введение в гидродинамические методы краткосрочного прогноза погоды. Москва, Гостехиздат, 1957, 375 с.
62. Гутман Л. Н. Введение в нелинейную теорию мезомасштабных процессов. Ленинград, Гидрометиздат, 1969, 285 с.
63. Матвеев Динамика облаков. Ленинград, гидрометеоиздат, 1981, 311 с.
64. Демидов Г. В. Некоторые теоремы о решениях одной задачи метеорологии. Докл. АН СССР,1966, т.166, № 4, с.106-108.
65. Бубнов М. А., Кажихов А. В. Теоремы существования и единственности в некоторых задачах линейной теории океанических циркуляций. В кн.: Динамика сплошной среды. Новосибирск, 1970, вып. 6, с.223-237.
66. Бубнов М. А., Кажихов А. В. Однозначная разрешимость основной краевой задачи линейной теории океанической циркуляции. Докл. АН СССР, 1971, т.198, № 4, с.81-84.
67. Марчук Г. И., Дымников В. П., Залесный В. А. Математические модели в геофизической гидродинамике и численные методы их реализации. Ленинград., Гидрометеоиздат, 1987, 296 с.
68. Деметрашвили Д. И., Кордзадзе А. А. Нестационарная пространственная модель атмосферных процессов, обусловленных орографической неоднородностью подстилающей поверхности. Сообщения АН Грузии, 1995, т. 152, N 1, с. 87-91.
69. Kordzadze A. A., Surmava A. A. Mathematical modeling of middle-scale movements over the Caucasus region in free atmosohere. J. Georgian Geophys. Soc., 1998, v.3b, pp.66-77.
70. Surmava A. A., Kordzadze A. A. The numerical investigation of air motion over Caucasian region in case of background northern wind. J. Georgian Geophys. Soc., 1999, v.4B, pp.48-60.
71. Surmava A. A., Kordzadze A. A. The numerical investigation of air motion over Caucasian region in case of background eastern wind. J. Georgian Geophys. Soc., 1999, v.4B, pp.61-72.
72. Surmava A. A. The numerical investigation of air motion over Caucasian region in case of background southern wind. J. Georgian Geophys. Soc., 2000, v.5B, pp.39-50.
73. Kordzadze A. A., Surmava A. A. The numerical investigation of the meteorological fields distribution in the Caucasian Region in the presence of the background western wind. I. The pressure, the temperature fields of the atmosphere, the soil and the seas. J. Georgian Geophys. Soc., 2002, v.7B, pp.20-31.
74. Kordzadze A. A., Surmava A. A. The numerical investigation of the meteorological fields distribution over the Caucasian Region in the presence of the background western wind. II. The wind and vertical velocity fields. J. Georgian Geophys. Soc., 2002, v.7B, pp.32-45.
75. Kordzadze A., Surmava A., Demetrashvili D., Kukhalashvili V., Kacharava G. Numerical modeling of air motion over the Black Sea. J. Georgian Geophys. Soc., 2005, v.10b, pp. 21-27.
76. Kordzadze A., Surmava A., Demetrashvili D., Khvedelidze I., Kukhalashvili V. Numerical investigation of the relief influence on air motion in vicinity of joint of three continents – Europe, Asia, and Africa. J. Georgian Geophys. Soc., 2006, vol.11b, pp.12-21.
77. Кордзадзе А., Сурмава А. А. Деметрашвили Д. И., Кухалашвили В. Численное Исследование влияния рельефа Кавказского региона на распределение гидрометеорологических полей. Изв. РАН, Физика атмосферы и океана 2007, т.43, N6, с.722-730.
78. Shuman F. G., Hovermale L. R. An Operational Six-Layer Primitive Equation Model.J. Appl. Mech. 1968, N **7**, 525–547.
79. Mirtskhulava Ts., Kordzadze A., Demetrashvili D., Surmava A. Numerical modeling of a soil pollution by oil from an open rectangular pit. Bulletin of the Georgian National Academy of Sci ences. 2006, v.173, N 2, pp. 295-297.
80. Surmava A. A. Numerical investigation of the modeling of transportation and deposition of the radioactive pollution in the Caucasian Region in case of the hypothetical accident on the Armenian Nuclear Power Plant. J.Georgian Geophys. Soc., 2011-2012, v.15B, pp. 32-45.
81. სურმავა ა. კუხალაშვილი ვ. შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ატმოსფეროს შესაძლო დაბინძურების რიცხვითი მოდელირება. *VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "ინტერნეტი და საზოგადოება", 6-7 ივნისი 2013, ქ. ქუთაისი*, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენციის მასალები. გვ. 71-74.
82. Манабе С., Брайен К. Климат и циркуляция океана. Ленинград., Гидрометеоиздат, 1972,

192 с.
83. Марчук Г. И., Дымников В. П., Залесный В. Б., Лыкосов В. Н., Галин В. Я. Математическое моделирование общей циркуляции атмосферы и океана. Ленинград, Гидрометеоиздат, 1984, 320 с.
84. Аверкиев А. С., Беликова Г. И., Белянцев М. А. и др. Взаимодействие океана и атмосферы. Ленинград, Гидрометеоиздат, 1989, 199с.
85. Лаппо С. С., Гулев С. К., Рождественский А. Е. Крупномасштабное тепловое взаимодействие в системе океан-атмосфера и энергоактивные области Мирового океана. Ленинград, Гидрометеоиздат, 1990, 336 с.
86. Дымников В. П., Лыкосов В. Н., Володин Е. М., Галин В. Я. и др. Моделирование климата и его изменений. В кн: Современные проблемы вычислительной математики и математического моделирования, т. 2, Москва, Наука, 2005, с. 39-175.
87. Doscher R., Rutgersson A., Jones C., Hansson and Faxen T. The development of a 3-Dimensional regional coupled ocean-atmosphere model. SWECLIM Newsletter, N 9, Dec. 2000.
88. Chen F., Dudhia J. Coupling an advanced land-surface/hydrology model with the Penn State/NCAR MM5 modeling system. Part I: Model implementation and sensitivity. Mon. Wea. Rev., 129, pp. 569- 585.
89. Hagedom R., Lehmann and D. Jacob. A coupled high resolution atmosphere –ocean model for the BALTEX region. Meteorologishe Seitscrift, vol.9, N 1, pp.7-20.
90. Faucher M., Caya D., Saucier F. J., Laprise « Interaction between atmosphere and ocean-ice regional models over the Gulf of stlawrence, Canada. Internet.
91. კორძაძე ა., დემეტრაშვილი დ. ზღვა-ატმოსფეროს ერთობლივი ჰიდროდინამიკური მოდელის ძირითადი სტრუქტურისა და მისი აგების შესაძლო გზების შესახებ. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი, 1998, ტ. 101, გვ. 28-38.
92. Kordzadze A., Demetrashvili D. On a coupled sea-atmosphere regional numerical model. J. Georgian Geophys. Soc., 1999, v. 4b, pp. 3-14.
93. Kordzadze A., Demetrashvili D. About coupled regional modeling system the Black Sea-atmosphere. Journal of Environmental Protection and Ecology (JEPE), 2011, vol.12(1), p.317-327.

About current and future research activities of the Department of Mathematical Modeling of Geophysical and Ecological Processes in the Sea and Atmosphere of M. Nodia Institute of Geophysics of Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Avtandil A. Kordzadze

M. Nodia Institute of Geophysics of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, 1, M. Alexidze Str., 0160 Tbilisi, Georgia. E-mail: akordadze@yahoo.com

A n o t a t i o n

In the paper the researches concerning study of hydro and thermodynamical processes in the Black Sea and atmosphere using methods of mathematical modeling carried out at the Department of Mathematcal Modeling of Geophysical and Ecological Processes in the Sea and Atmosphere of M. Nodia Institute of Geophysics are reviewed briefly. The main achievement of the Department is development of the regional monitoring and forecasting system of the Black Sea state, which is one of the parts of the Black Sea basin-scale nowcasting/forecasting system.The farther research activity of the Department in the nearest future will be connected with improvement and expansion of the regional forecasting system with including of the ecological problems. Also, the main topic in the scientific activity of the Department will be the elaboration of the coupled hydrodynamic model of the natural environment of the Caucasus by association of dynamical models of the Black and Caspian seas and the atmosphere. The coupled model will be the base for development of the monitoring and forecasting system of the state of the Caucasus natural environment.

საქართველოს მდინარეთა წყლის მაქსიმალური ხარჯების დინამიკა და მათი განვითარების მასშტაბები

ბასილაშვილი ც.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

დედამიწაზე კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად იმატა წყალდიდობებმა და გაიზარდა მათგან მიყენებული ზარალი და მსხვერპლი. განსაკუთრებით დიდი საშიშროება იქმნება ამ მხრივ მთის მდინარეებზე, სადაც ტემპერატურის მომატებით გაიზარდა მუდმივი თოვლისა და მყინვარების დნობის ინტენსივობა. შედეგად ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში რამდენჯერმე განმეორდა კატასტროფები, რომლებმაც ქვეყნის ეკონომიკას და გარემოს დიდი ზიანი მიაყენა. საქართველოში ყველაზე მასშტაბური იყო 2005 წლის წყალდიდობა, როცა ზარალმა 500 მილიონ დოლარს გადააჭარბა. საქართველოს მდინარეებზე გავლილი წყალდიდობები და მათგან მიყენებული ზარალი ქრონოლოგიურად აღწერილია [1] შრომაში.

თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალურია ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების სიდიდეთა ცვალებადობის დინამიკის შესწავლა მათზე ანთროპოგენური ფაქტორებისა და კლიმატის გლობალური ცვლილების ზეგავლენის ფონზე. ადამიანთა და სხვა ფაქტორთა ზემოქმედებით ჰიდროლოგიურ პროცესებში XX საუკუნიდან შეიმჩნევა მათი ცვლილების გარკვეული (აღმავალი – მატების ან დაღმავალი – კლების) ტენდენციები. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს მდინარეთა წყლის მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური ცვლილება.

სადღეისოდ მეტად მნიშვნელოვანია მდინარეთა ჩამონადენის მრავალწლიური დინამიკის როგორც ხარისხობრივი, ისე მისი რაოდენობრივი განსაზღვრა, რაც გულისხმობს მათი ტრენდების შეფასებას. ეს ხდება მიახლოებით მათი წრფივი აპროქსიმაციის ამსახველი განტოლებით:

$$T = aN + b, \qquad (1)$$

სადაც T – ტრენდი საკვლევი ელემენტისა, რაც ჩვენ შემთხვევაში მდინარის ჩამონადენია მაქსიმალური ხარჯების (Q_m, მ^3/წმ) სახით; N – მონაცემთა რიგითი ნომერია საწყისი წლიდან, რომლისთვისაც N = 1, ყოველი შემდეგი (i) წლისათვის N = 1 + i ; a – განტოლების კოეფიციენტია, რომლის ნიშანი (+ ან –) უჩვენებს საკვლევი ელემენტის ცვლილების მიმართულებას, დადებითი (+) ნიშანი გამოხატავს მის მატებას ანუ აღმავალ ტენდენციას, ხოლო უარყოფითი (–) ნიშანი მიუთითებს საკვლევი ელემენტის კლებას ანუ დაღმავალ ტენდენციას. a – პარამეტრის რაოდენობრივი მნიშვნელობაა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი ელემენტის ცვლილების ინტენსივობას ანუ სიჩქარეს; b – განტოლების მუდმივაა.

საქართველოს მდინარეებზე წყლის ხარჯების გაზომვები დაიწყო XX საუკუნის 30-50-იანი წლებიდან და მიმდინარეობდა 1990 წლამდე. მას შემდეგ აღარ ხდება მდინარეთა წყლიანობის აღრიცხვა და მხოლოდ 20 ჰიდროკვეთზე მიმდინარეობს მდინარეთა წყლის დონეების გაზომვები. ამის გამო მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების დინამიკას ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ 1990 წლამდე არსებული მონაცემებით. აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ მდინარეთა წყლის ხარჯების გაზომვა აღდგა მხოლოდ რამდენიმე ჰიდროკვეთზე. აქ განიხილება ერთი ასეთი ჰიდროკვეთის მონაცემები მდ. ალაზანზე სოფ. შაქრიანთან 1933 წლიდან 2010 წლის ჩათვლით.

ნახ.1 და ნახ.2–ზე მოცემულია მაგალითები საქართველოს მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური ცვლილების ამსახველი გრაფიკებისა და მათი შესაბამისი ტრენდებისა. ცხრ. 1-ში კი მოცემულია ამ ტრენდების აპროქსი-მაციით მიღებული განტოლებების პარამეტრები a და b. ნახ. 1-ზე გამოსახულია მაგალითი მაქსიმალური ხარჯების აღმავალი (მატების) ტენდენციისა იმ მდინარეებზე, რომელთა სათავეებში არის

მუდმივი თოვლის საფარი და მყინვარები, ნახ.2-ზე კი მაგალითია დაღმავალი (კლების) ტენდენციისა მდინარეებზე, სადაც არ არის მყინვარები.



ნახ. 1. მდ. რიონის წყლის მაქსიმალური ხარჯების დინამიკა სოფ. საქოჩაკიძესთან 1928 – 1990 წწ.



ნახ. 2. მდ. ალაზნის მაქსიმალური ხარჯების დინამიკა სოფ. შაქრიანთან 1933 – 2010 წწ.

მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები გამოწვეულია იმით, რომ კლიმატის დათბობის შედეგად ზაფხულობით ინტენსიურად დნება მყინვარები და მუდმივი თოვლის საფარი, რის შედეგადაც იზრდება მდინარის ჩამონადენი. ასეთი პროცესი გამორიცხულია იმ მდინარეებზე სადაც არ არის მყინვარები. აქ თბილ სეზონში ტემპერატურის მომატებით იზრდება აუზის ზედაპირიდან აორთქლება და შესაბამისად მცირდება მდინარის წყლის ხარჯები.

განხილული მაგალითებიდან მაქსიმალური ხარჯების მატების ყველაზე მაღალი ინტენსივობა აღინიშნება მდ. რიონზე სოფ. საქოჩაკიძესთან (ნახ. 1), სადაც წყლის ხარჯებზე დაკვირვებათა რიგი მოიცავს 1928-1990 წლების პერიოდს. მათი მრავალწლიური ტრენდი გამოისახება განტოლებით:

$$T_Q = 35.47\ N + 827, \qquad (2)$$

სადაც N-ის ათვლა იწყება 1928 წლიდან, რომლისთვისაც N = 1.

მაქსიმალური ხარჯების კლების ყველაზე დიდი ინტენსივობა აღინიშნება მდ.აჭარისწყალზე სოფ. ქედასთან, სადაც განიხილება 1941-1990 წლების პერიოდი და საწყისი N = 1 შეესაბამება 1941 წ, ხოლო მისი ტრენდის ამსახველი განტოლება არის შემდეგი:

$$T_Q = -2.95\ N + 391 \qquad (3)$$

აღმოსავლეთ საქართველოში მდ. მტკვარზე ქ. თბილისთან მაქსიმალური ხარჯების მრავალწლიური დინამიკა შედგენილია 1924-1990 წლების მონაცემებით, რომლის ტრენდის წრფივი აპროქსიმაციით მიღებულია შემდეგი განტოლება:

$$T_Q = -0.759\,N + 1184, \qquad (4)$$

სადაც N წლის რიგითი ნომერი იწყება 1924 წლიდან (N = 1).

მდ. ალაზანზე სოფ. შაქრიანთან 1933-2010 წლების მაქსიმალური ხარჯების დინამიკის ტრენდი (ნახ. 2) გამოისახება განტოლებით:

$$T_Q = -1.18\,N + 348, \qquad (5)$$

სადაც N-ის ათვლა ხდება 1933 წლიდან (N = 1).

ცხრილი 1. მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების ტრენდების პარამეტრები a და b ფორმულაში $T_Q = a\,N + b$

მდინარე-პუნქტი	აუზის ფართი კმ^2	აუზის სიმაღლე მ.	პარამეტრები	
			a	b
კოდორი - ლათა	1420	1920	5,923	310
ენგური - ხაიში	2780	2320	8,500	319
რიონი - საქოჩაკიძე	13300	950	35,47	827
ყვირილა - ზესტაფონი	2490	960	0,832	504
ჭოროხი - ერგე	22000	–	- 0,800	1369
აჭარისწყალი - ქედა	1360	1470	- 2,95	391
მტკვარი - თბილისი	21100	–	- 0,759	1181
დიდი ლიახვი - კეხვი	924	2100	0,848	115
პ. ლიახვი - ვანათი	422	1940	- 0,431	62,1
ქსანი - კორინთა	461	1830	- 0,498	72,2
თ. არაგვი - ფასანაური	335	2140	0,562	45,61
ალაზანი - ბირკიანი	282	2200	- 1,079	98,48
ალაზანი - შაქრიანი	2190	1260	- 1,184	348

ცხრ. 1-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებზე, გარდა დიდი ლიახვისა და თეთრი არაგვისა, მოსალოდნელია მაქსიმალური ხარჯების შემცირება. ამის დასტურია აგრეთვე ცხრ. 2-ში ამ ტერიტორიაზე არსებულ მეტეოროლოგიურ სადგურებზე ატმოსფერული ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურის ცვლილების ამსახველი ტრენდების პარამეტრები. მათი ანალიზით ირკვევა, რომ აქ ყველგან მოსალოდნელია ნალექების შემცირება და ჰაერის ტემპერატურის გაზრდა.

საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების მიხედვით, კლიმატის გლობალური დათბობის შედეგად, მოსალოდნელია ტემპერატურის კვლავ მომატება [2], რაც ალბათ გამოიწვევს მყინვარებისა და თოვლის დნობის გაძლიერებას და შესაბამისად ამ ზონის მდინარეთა წყალდიდობების მომატებას, ხოლო იქ, სადაც არ არის მყინვარები, იქ გაიზრდება აორთქლება და შემცირდება წყალდიდობები და მათი მაქსიმალური ხარჯები.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში მდ. კოდორზე, ენგურზე, რიონზე და მათ ზოგიერთ შენაკადებზე, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში მდ. დიდ ლიახვსა და თეთრ არაგვზე, რომლებიც წლის თბილ სეზონში იკვებებიან კავკასიონის ქედზე არსებული მყინვარებისა და მუდმივი თოვლის ნადნობი წყლებით, მოსალოდნელია წყალდიდობებისა და მათი მაქსიმალური ხარჯების მატება, მანამ სანამ მათ სათავეებში იარსებებს მყინვარები.

საქართველოს დანარჩენ მდინარეებზე, რომელთა აუზებში არ არის მყინვარები, პირიქით ტემპერატურის მომატებით გაიზრდება აორთქლება და შემცირდება მდინარეთა ჩამონადენი, წყალდიდობები და მათი მაქსიმალური ხარჯები.

ცხრილი 2. ატმოსფერული ნალექებისა და ტემპერატურის ცვლილების პარამეტრები a და b ფორმულაში T = a N + b

მეტეო-სადგური	სიმა-ღლე მ.	ატმოსფერული ნალექები			ტემპერატურა		
		პარამეტრები		დისპერსია	პარამეტრები		დისპერსია
		a	b	R2	a	b	R2
სტეფანწმ.	3656	- 4,613	1865	0,080			
გუდაური	2194	- 1,934	1578	0,030	0,012	2,138	0,118
ბარისახო	1325	- 2,466	1150	0,076	0,001	6,96	0,001
ფასანაური	1070	- 1,358	928	0,034	0,007	7,95	0,035
თელავი	568	- 1,182	831	0,036	0,005	12,08	0,022
ლაგოდეხი	362	- 2,318	1086	0,059	0,767	301	0,052

აღსანიშნავია, რომ კლიმატის დათბობის შედეგად შესაძლებელია კავკასიონის ქედი მთლიანად განთავისუფლდეს მყინვარებისაგან, რასაც ვ. ცომაია უკვე 2150-2160 წლებში ვარაუდობს [1]. ასეთი პროცესი რეგიონში გამოიწვევს ალბათ წყლის რესურსების მკვეთრ შემცირებას, წყაროების დაშრობას, მოსავლიანობისა და წყალმომარაგების შემცირებას, აგრეთვე სხვა ნეგატიურ მოვლენებს, რაც მეტად უარყოფითად იმოქმედებს გარემოზე, საზოგადოებასა და ქვეყნის განვითარებაზე.

ჯერ-ჯერობით კლიმატის მიმდინარე ცვლილების ფონზე ხდება საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების გამძაფრება, იზრდება წყალმოვარდნების სიხშირე და მათგან მიყენებული ზარალი. ამის მიზეზი კლიმატის ცვლილებასთან ერთად არის მდინარეთა აუზებში ტყეებისა და მცენარეული საფარის შემცირება, მთის ფერდობების ათვისება, ეროზიული პროცესების გაძლიერება, მდინარეთა კალაპოტების გაუვალობა და სხვა.

მდინარეთა ჩამონადენის მდგრადობა მოცემული ლანდშაფტისათვის არ არის უცვლელი. მდინარეთა დონეები განსაკუთრებით დიდი რყევადობით გამოირჩევა გაზაფხულზე წყალდიდობის პერიოდში, როცა ადგილი აქვს ატმოსფერული ნალექებისა და ჰაერის ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას. ხშირად თავსხმა წვიმებს თანხვდება თოვლის ინტენსიური დნობაც, რომლის დროსაც მდინარეებზე წარმოიქმნება დიდი წყალმოვარდნები და ექსტრემალურ პირობებში გაივლის უდიდესი მაქსიმალური წყლის ხარჯები.

დღემდე არ არსებობს მეთოდი, რომელიც სრულყოფილად აღწერს მდინარის ჩამონადენის ცვალებადობას, რადგან ეს ცვლილება განპირობებულია არა მარტო ადგილობრივი ფაქტორებით, არამედ აგრეთვე ჰელიოსინოპტიკური პროცესებითაც, რომელთა გათვალისწინება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

მაქსიმალური ხარჯების ცვალებადობას წლიდან წლამდე იწვევს ძირითადად მაინც კლიმატური პირობების ცვალებადობა. განსაკუთრებით დიდი რყევადობა ახასიათებს მაქსიმალურ ხარჯებს მთის მცირე მდინარეებზე, რომლებიც საქართველოში მრავლადაა. ისინი ყოველ გაზაფხულზე თოვლის დნობისას და თავსხმა წვიმების დროს მძლავრ ნაკადებად მიედინებიან დაბლობებისაკენ და იწვევენ ნგრევას.

ცხრ. 3-ში მოცემულია საქართველოს მთავარ მდინარეებზე გავლილი უდიდესი მაქსიმალური ხარჯები (Q_m, $მ^3/წმ$) და მათი შეფარდებები საშუალო წლიურ (Q_o) ხარჯებთან (Q_m/Q_o), რომლებიც ცნობილია ე.წ. წყალმოვარდნების აქტივობის კოეფიციენტებად და გამოიყენება კლიმატის ცვლილების მოქმედების შესაფასებლად.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ 1990 წლამდე არსებული წყლის ხარჯების მონაცემებით მიღებული ამ კოეფიციენტების მნიშვნელობები (ცხრ. 3) ზოგიერთ მდინარეზე რამდენადმე აჭარბებს ადრე გ. ხმალაძის მიერ 1975 წლამდე არსებული მონაცემებით გამოთვლილ მნიშვნელობებს [3]. მაგ. მდ. ვერეზე ქ. თბილისთან ეს კოეფიციენტი იყო 61, 1982 წელს გავლილმა მაქსიმალურმა ხარჯმა (105 $მ^3/წმ$) ის გაზარდა 107-მდე (ცხრ. 3), მყივარული ზონის მდ. ჩხერზე დაბა სტეფანწმინდასთან (ყაზბეგი) ეს კოეფიციენტი იყო 19 და გახდა 174.

ცხრილი 3. საქართველოს მდინარეთა წყლის უდიდესი მაქსიმალური ხარჯების ($მ^3/წმ$) ალბათური მნიშვნელობები

მდინარე – პუნქტი	აუზის ფართი $კმ^2$	აუზის სიმაღლე მ.	უდიდესი ხარჯი $მ^3/წმ$	Q_m/Q_o	უზრუნველყოფა		
					1%	5%	10%
ბზიფი – ჯირხვა	1410	1690	1890	19.2	1315	844	669
კოდორი – ლათა	1420	1920	1240	13.4	1310	804	617
ენგური – ხაიში	2780	2320	1190	10.1	1590	984	783
რიონი – ალპანა	2830	1810	1470	14.3	1808	1134	880
რიონი – საქოჩაკიძე	13300	950	5500	13.8	4236	3236	2776
ყვირილა – ზესტაფონი	2490	960	1100	18.1	1070	807	732
ხანისწყალი – ბაღდათი	655	655	209	13.1	294	226	193
ცხენისწყალი – ხიდი	1950	1800	721	17.0	1156	797	650
სუფსა – ხიდმაღალა	1100	970	692	13.6	1219	839	702
ჭოროხი – ერგე	22000	–	3840	11.9	4803	3000	2392
აჭარისწყალი – ქედა	1360	1500	770	16.7	905	671	564
მტკვარი – ხერთვისი	4980	1470	742	22.9	950	565	450
მტკვარი – თბილისი	21100	–	2450	12.1	2550	1910	1760
ვერე – თბილისი	178	1060	105	107	240	115	63
დიდი ლიახვი – კეხვი	924	2100	330	12.2	470	200	134
ფშ. არაგვი – მაღაროსკარი	736	2060	338	17.3	340	245	200
თეთრი არაგვი – ფასანაური	335	2140	173	14.3	200	130	80
შავი არაგვი – შესართავი	235	2030	156	20.1	160	104	85
იორი – ლელოვანი	494	1640	427	35.6	520	315	248
ალაზანი – ბირკიანი	284	2200	365	26.3	350	170	122
ალაზანი – შაქრიანი	2190	1260	1160	26.7	1080	700	550
ფარავანი – ხერთვისი	2350	2120	437	23.2	188	140	120
ქცია ხრამი – ედიკილისა	544	2040	105	12.6	120	104	97

დადგენილია, რომ ეს კოეფიციენტები გაცილებით მეტია მცირე მდინარეებზე, ვიდრე დიდ მდინარეებზე, ნოტიო ჰავის პირობებში ისინი ნაკლებია, ვიდრე მშრალი ჰავის პირობებში, მთებში სიმაღლის მატებასთან ერთად მცირდება მათი მნიშვნელობა [4].

სამეურნეო ორგანიზაციებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მდინარეთა ჩამონადენის მოსალოდნელი ცვლილების გაანგარიშება, რისთვისაც გამოიყენება ალბათობის თეორიაში

ცნობილი ე.წ. "უზრუნველყოფის მრუდები", რომლებიც ჩვენ შემთხვევაში განსაღვრავენ წყალდიდობა-წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების მოსალოდნელი განვითარების მასშტაბებს.

უზრუნველყოფის მრუდის ასაგებად მაქსიმალური ხარჯების დაკვირვების მონაცემებს ვალაგებთ კლებად რიგზე უდიდესი მნიშვნელობიდან უმცირესობისაკენ. ეს არის განაწილების უმარტივესი სახე, რომელიც გვიჩვენებს, რომ მაქსიმალურ ხარჯს შეიძლება იმდენჯერ ჰქონდეს ადგილი დაკვირვების პერიოდის განმავლობაში, რამდენი წევრიცაა ამ მაქსიმალური ხარჯის ზევით კლებად რიგში.

უზრუნველყოფის მრუდის ძირითადი პარამეტრებია საშუალო არითმეტიკული სიდიდე და მისი ცვალებადობის კოეფიციენტები (ვარიაციის და ასიმეტრიის). უზრუნველყოფის მრუდების გასაანგარიშებლად ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა გ.ალექსეევის გრაფო-ანალიტიკური მეთოდი [5]. მიღებული მაქსიმალური ხარჯების ალბათური მნიშვნელობები 1, 5 და 10 %-იანი უზრუნველყოფით, რომლებიც შეესაბამება 100, 20 და 10 წლიანი განმეორებადობის ხარჯებს, მოცემულია ცხრ. 3-ში.

აღსანიშნავია, რომ მდ. მტკვრისათვის ქ. თბილისთან ვ. ცომაიას მიერ მიღებული 1 %-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 3222 $მ^3/წმ$-ს [1]. მაგრამ XX საუკუნის 80-იან წლებში მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების სპეციალისტის გ. როსტომოვის მიერ მიღებული ამ ხარჯის მნიშვნელობა შეადგენდა 2370 $მ^3/წმ$-ს [4]. ჩვენ მიერ 1990 წლამდე არსებული მონაცემების გათვალისწინებით მდ. მტკვარზე ქ. თბილისთან 1 %-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 2550 $მ^3/წმ$-ს (ცხრ. 3).

მაქსიმალური ხარჯების ალბათური მნიშვნელობები უშუალოდ პასუხობენ კითხვას, როგორია ნაგებობის ან რაიმე ღონისძიების უზრუნველყოფა მდინარის მაქსიმალური ხარჯის გარკვეული მნიშვნელობის დროს. განმეორებადობა კი გვიჩვენებს იმ წელთა რიცხვს, რომელთა დროს გაივლის შესაბამისი მაქსიმალური ხარჯი საშუალოდ ერთხელ მაინც.

მდინარეთა წყალდიდობა-წყალმოვარდნების უდიდესი მაქსიმალური ხარჯების მოსალოდნელი განვითარების მასშტაბები მეტად მნიშვნელოვანია პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისით სამეურნეო ორგანიზაციებში წყალსამეურნეო გაანგარიშებებისათვის, განსაკუთრებით ეხლა, როცა საქართველოში 1990 წლის შემდეგ აღარ ხდება მდინარეთა წყლიანობის აღრიცხვა.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ბასილაშვილი ც,. სალუქვაძე მ., ცომაია ვ., ხერხეულიძე გ., კატასტროფული წყალდიდობები, ღვარცოფები და თოვლის ზვავები საქართველოში და მათი უსაფრთხოება. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 244 გვ.
2. საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის. თბილისი 2009.
3. Сванидзе Г.Г., Хмаладзе Г.Н. Паводки и наводнения. Опасные гидрометеорологические явления на Кавказе. Ленинград, Гидрометеоиздат, 1983, 194-210
4. Водные ресурсы Закавказья. Под редакцией Сванидзе Г.Г., Цомая В.Ш. Ленинград, Гидрометеоиздат, 1988, 264.
5. Алексеев Г.А. Определение стандартных параметров логарифмически нормальной кривой распределения по трём опорным ординатам. Труды ГГИ, вып. 99, Ленинград, 1962.

საქართველოს მდინარეთა წყლის მაქსიმალური ხარჯების დინამიკა და მათი განვითარების მასშტაბები

ც. ბასილაშვილი

რეზიუმე

გაანგარიშებულია მთავარ მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების ალბათური მნიშვნელობები და შედგენილია მათი მრავალწლიური ცვლილების ტრენდები. მყინვარული საზრდოობის მდინარეებზე აღინიშნება მათი მატება, სხვა მდინარეებზე კი პირიქით, ისინი მცირდება.

DYNAMICS OF PEAK DISCHARGES ON GEORGIAN RIVERS AND THE SCOPE OF THEIR DEVELOPMENT

C. Basilashvili

Abstract

Probable indexes of maximum water expenditure of major rivers have been calculated and the trends of their changes over many years have been established. They significantly increase for the rivers feeding with glacier water while they decrease on all the others.

ДИНАМИКА МАКСИМАЛЬНЫХ РАСХОДОВ ВОДЫ РЕК ГРУЗИИ И МАСШТАБЫ ИХ РАЗВИТИЯ

Ц. Басилашвили

Резюме

Рассчитаны вероятностные величины максимальных расходов основных рек и составлены тренды их многолетнего изменения. На реках с ледниковым питанием отмечается их увеличение, а на остальных реках они уменьшаются.

მთის მდინარეთა წყალდიდობების პროგნოზირება ინფორმაციის უკმარისობის პირობებში

ბასილაშვილი ც.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

მდინარეთა ჩამონადენი, როგორც მეტად ხელმისაწვდომი და განახლების უნარის მქონე მტკნარი წყლის რესურსი, ფართოდ გამოიყენება მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. ამის გამო საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური განვითარება ბევრად არის დამოკიდებული წყლის რესურსების მართვის ეფექტურობაზე. გარდა ამისა, თანამედროვე პირობებში გახშირდა წყალდიდობები, რომელნიც მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ ქვეყნის ეკონომიკას, იწვევენ ნგრევას და ზოგჯერ მსხვერპლს.

წყალდიდობები მდინარეებზე ყოველ წელს აღირიცხება, მაგრამ ისინი ყოველთვის არ არიან დამანგრეველები, პირიქით მათ დიდი სარგებელიც მოაქვთ, რადგან სწორედ მათი წყლის ჩამონადენით ივსება საქართველოში არსებული 44 წყალსაცავი, რომელთა ბაზაზე მუშაობენ ენერგეტიკული და საირიგაციო სისტემები. წყალდიდობების რესურსების ხარჯზე ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება, მოსავლიანობის გაზრდა და მოსახლეობისა და საწარმო – სამეურნეო ობიექტების წყალმომარაგება.

ამრიგად წყალდიდობებს მოაქვთ როგორც დიდი ზიანი, ასევე დიდი სარგებელიც. წყალდიდობების წყლის რეგულირებისა და მათი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა მათი ჩამონადენის ყოველწლიური მნიშვნელობების პროგნოზირება.

პროგნოზირება ასევე აქტუალურია მიმდინარე გლობალური დათბობისა და გაუდაბნოების პირობებში, როდესაც იზრდება გარემოს დაჭუჭყიანება და მცირდება სუფთა წყლის მარაგი. ამიტომ საჭიროა წყლის რესურსების მოხმარების მკაცრი კონტროლი, წყალსამეურნეო სისტემების რაციონალური მართვა და წყლის ხარჯვის ოპტიმალური დაგეგმვა მისი მომავალი ოდენობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰიდროლოგიურ პროგნოზს, რომლის მომხმარებელს წარმოადგენს ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წყალმომარაგება, სარკინიგზო და საავტომობილო გზები. ამრიგად მდინარეთა ჩამონადენის საპროგნოზო მეთოდების დამუშავება არის მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც დიდი ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მოტანა შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ ჰიდროლოგიაში მთის მდინარეთა ჩამონადენის პროგნოზირება ითვლება ყველაზე რთულ პრობლემად. განსაკუთრებით რთულია საქართველოს მდინარეთა პროგნოზირება, რადგან აქ ცალკეული მდინარის აუზში ჩამონადენის მაფორმირებელი ფაქტორების ცვალებადობა სხვადასხვა ხასიათს ატარებს, როგორც დროში, ისე სივრცეში. ამიტომ მდინარეთა წყალდიდობები და მათი პიკები არ არის იდენტური და ხასიათდება გარკვეული ინდივიდუალურობით.

რთული მთიანი რელიეფის პირობებში, მდინარეთა ჩამონადენის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს აუზის ზედაპირის ვერტიკალური ზონალობა, რომელიც თითოეული მდინარის აუზში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. ამიტომ მათი ჩამონადენის განაწილება სივრცესა და დროში სხვადასხვა იქნება. ამის გამო ყოველი მდინარის აუზისათვის შემუშავებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური საპროგნოზო მეთოდიკა.

გაზაფხულზე მდინარეთა ჩამონადენი ფორმირდება თოვლისა და წვიმის წყლების შერეული საზრდოობით, სადაც ჭარბობს თოვლის წყლები, უფრო გვიან მაის - ივნისში კი ჩამონადენის ფორმირებაში წვიმის წყლები დომინირებენ. უკვე არსებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ თოვლის ნადნობი წყლების ჩამონადენის კოეფიციენტი წყალდიდობის დროს შეადგენს 0.30 – 0.65, ხოლო წვიმის წყლებით მიღებული ჩამონადენის კოეფიციენტი 0.15 – 0.25. ე.ი. თოვლის ნადნობი წყლები ხვდება მდინარეში 1.5-ჯერ ნაკლები

დანაკარგებით, ვიდრე წვიმის წყლები. ეს გამოწვეულია იმით, რომ თოვლისაგან გათავისუფლებულ დაბლობ რაიონებში მოსული წვიმის დიდი ნაწილი ჩაიჟონება ნიადაგში, ნაწილი კი უკვე მაღალი ტემპერატურის გამო ჰაერში ორთქლდება. ამიტომ წყალდიდობის ჩამონადენში თოვლის ნადნობი წყლების წილი დაახლოებით 60%-ია.

ამის გამო მდინარეთა წყლის ხარჯების პროგნოზირებისათვის უკეთესი იქნება თოვლის მარაგის მახასიათებლების გამოყენება, რაც მეტად ხელსაყრელია ოპერატიული პროგნოზების გაცემისათვის მარტში, როდესაც უკვე არსებობს თოვლის წყალშემცველობის მაქსიმალური მნიშვნელობები.

მდინარის ჩამონადენის პროგნოზირების საკითხი პირველ რიგში დამოკიდებულია ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის დაკვირვების პუნქტების რაოდენობაზე, მათ განლაგებაზე, დაკვირვების რიგზე, მის სისწორეზე და, რაც მთავარია, მათ ინფორმაციულობაზე. საპროგნოზოდ შეიძლება მხოლოდ იმ პუნქტების გამოყენება, რომლებიდანაც რეგულარულად მიიღება შესაბამისი ოპერატიული ინფორმაცია.

ვინაიდან გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს მდინარეებზე აღარ ხდება მდინარეთა წყლიანობის აღრიცხვა და აღარ იზომება მდინარეთა წყლის ხარჯები, ამიტომ წყალდიდობის პერიოდის ჩამონადენისა და მაქსიმალური ხარჯების მახასიათებლების, აგრეთვე მათი პროგნოზირებისათვის გამოყენებულ იქნა ჰიდრომეტეოროლოგიურ ფაქტორებზე 1990 წლამდე არსებული სადამკვირვებლო ქსელის სტანდარტულ დაკვირვებათა მრავალწლიური მონაცემები 40-60 წლიანი პარალელური რიგებით: მდინარეთა წყლის ხარჯებისა, ატმოსფერული ნალექებისა, ჰაერის ტემპერატურისა და თოვლის საფარისა. საკვლევ ობიექტებად შერჩეულ იქნა ჰიდროკვეთები მდინარეებზე, რომელთა ჰიდრორესურსები ფართოდ გამოიყენება ენერგეტიკაში და ირიგაციაში.

აღსანიშნავია, რომ არსებული საინფორმაციო მეტეოპუნქტების მონაცემები არ ახასიათებს მაღალმთიან პირობებს 2000 მ-ის ზევით. თუ გავითვალისწინებთ, რომ განსახილველ მდინარეთა აუზები მოიცავს უფრო მაღალი სიმაღლითი ზონების ვრცელ ტერიტორიებს, ინფორმაცია მეტეოროლოგიური ფაქტორებისა არსებული მეტეოპუნქტებიდან არ იქნება მახასიათებელი მდინარეთა აუზებში ჩამონადენის ფორმირების პირობებისა და ამიტომ რთული იქნება მათი გამოყენებით კარგი შეფასების პროგნოზების მიღება.

მაგალითად მდ. ენგურზე სოფ. ხაიშთან წყალშემკრები აუზის 700 მ-დან 5026 მ-მდე სიმაღლით დიაპაზონში მხოლოდ ერთი მეტეოროლოგიური სადგურის (მესტიას) მონაცემებია, რომელიც 1441 მ. სიმაღლეზე მდებარეობს, მაშინ როდესაც აუზის საშუალო სიმაღლე 2320 მ-ს შეადგენს. აქ თოვლ-აგეგმვის მარშრუტებიც არ აშუქებს ამ საშუალო სიმაღლეს.

მდ. არაგვის აუზის 79% მდებარეობს 1000 მ-ზე მაღლა, ინფორმაცია კი მიიღება მხოლოდ 1070 მ-ზე მდებარე მეტეოსადგურ ფასანაურიდან, სადაც განთავსებულია საპროგნოზო ჰიდროკვეთი თეთრი არაგვისათვის. აღსანიშნავია, რომ მდ. არაგვის აუზში ადრე მომქმედი მეტეოსადგურები იყო: ყაზბეგი (მაღალმთიანი) – 3653 მ, ჯვრის უღ. – 2400 მ, გუდაური – 2194 მ. და სხვა, რომელთა ინფორმაცია იყო რეპრე-ზენტატიული როგორც თვით არაგვის, ისე მეზობელი სხვა მდინარეებისა (ლიახვი, ქსანი, იორი) და აგრეთვე მდ. მტკვრის ჩამონადენის საპროგნოზოდ.

ამრიგად არსებული შეზღუდული ინფორმაციული მონაცემები არ ასახავს მდინარეთა ჩამონადენის ფორმირების რეალურ სურათს და ამიტომ არ არის ხელსაყრელი პროგნოზირებისათვის.

თანამედროვე ჰიდროლოგიურ საპროგნოზო მოდელების ზოგად ფიზიკურ საფუძველს წარმოადგენს წყლის ბალანსის განტოლების ამოხსნა საპროგნოზო პერიოდისათვის, რომელშიც მრავალი სხვადასხვა ელემენტი: ჩამონადენი, ნალექები, ჰაერის ტემპერატურა, აორთქლება, კონდენსაცია, ინფილტრაცია, ტრანსპირაცია და სხვა შედის. ასეთი საპროგნოზო მოდელების გამოყენება შესაძლებელია იქ, სადაც კარგად არის განვითარებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელი და რეგულარულად მიიღება სათანადო ინფორმაცია მდინარის აუზის სხვადასხვა სიმაღლითი ზონიდან, რითაც ხდება მდინარის ჩამონადენის ფორმირების რეალური პირობების აღრიცხვა.

ჩვენ შემთხვევაში მცირე, მეტად შეზღუდული ინფორმაციის გამო, ვერ ხერხდება განხილულ მდინარეთა ჩამონადენის ფორმირების კანონზომიერებათა დადგენა

ობიექტურად და მათ მიხედვით საპროგნოზოდ თანამედროვე რთული გენეტიკური სახის მოდელების გამოყენება.

ამრიგად მთის მდინარეთა აუზებში ჰიდროლოგიური პროცესების არათანაბრო-ბა, გამოწვეული გეოგრაფიული გარემოს არაერთგვაროვნებით და უკიდურესად შეზღუდული საწყისი ინფორმაცია, ქმნის დიდ სირთულეებს მრავალრიცხოვანი მომქმედი ფაქტორების ურთიერთკავშირის რთული პროცესების გარკვევაში და გვაიძულებს, ვეძებოთ მიახლოებითი დამოკიდებულებები, რომლებიც მხოლოდ ძირითად ფაქტორებს ითვალისწინებენ.

ამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნა ჩვენ მიერ შემუშავებული მრავალფაქტორიანი საპროგნოზო მოდელი [1, 2], რომელიც შეიცავს რეალურად არსებული ოპერატიული მონაცემების სათანადო ანალიზით შერჩეული პრედიქტორების ერთობლიობას. საპროგნოზო მეთოდიკების შესადგენად ყველა სახის გაანგარიშებები რეალიზებულ იქნა ავტორის მიერ შედგენილი ალგორითმებითა და მათი შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით [3].

არსებულ მონაცემთა მრავალმხრივი კვლევის შედეგად მიღებული საპროგნოზო დამოკიდებულებები მდინარეთა წყალდიდობის პერიოდის წყლის საშუალო ხარჯების გრძელვადიანი პროგნოზირებისათვის მოცემულია ცხრ. 1 -ში შესაბამის შეფასებათა კრიტერიუმებით. საპროგნოზო დამოკიდებულების შეფასების მთავარი კრიტერიუმი არის პროგნოზების საშუალო კვადრატული ცდომილების (s) შეფარდება წყლის ხარჯების ფაქტობრივი მნიშვნელობის გადახრაზე მისი ნორმიდან (σ). ეს შეფარდება (s / σ) ერთდროულად ახასიათებს საპროგნოზო მეთოდიკის საიმედოობას და მის ეფექტურობას [3]. თუ s / σ ≤ 0.50, მაშინ მეთოდიკა მიეკუთვნება კარგი კატეგორიის პროგნოზებს, როდესაც s / σ = 0.50 ÷ 0.80, მაშინ მეთოდიკა დამაკმაყოფილებელია, ხოლო როცა s / σ ≥ 0.80, მაშინ პროგნოზი არადამაკმაყოფილებელია და ის შეიძლება გაიცეს კონსულტაციის სახით.

პროგნოზი ითვლება გამართლებულად, როდესაც მისი გადახრა ფაქტობრივი მნიშვნელობიდან ნაკლებია დასაშვებ ცდომილებაზე. საპროგნოზო მეთოდიკის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაშვები ცდომილების უზრუნველყოფა (P%) 10%-ით აჭარბებს ნორმიდან გადახრის ალბათობის უზრუნველყოფას. როდესაც P = 0.60 ÷ 0.80% პროგნოზი არის დამაკმაყოფილებელი, ხოლო თუ P ≥ 82%, მაშინ პროგნოზი კარგ კატეგორიას მიეკუთვნება [4].

მათემატიკურ სტატისტიკაში ემპირიული კავშირის სიზუსტის მთავარ მახასიათებლად ითვლება კორელაციის კოეფიციენტი (r) ფაქტიურ და საპროგნოზო მნიშვნელობებს შორის.

როგორც ცხრ. 1-დან ჩანს, პროგნოზების შეფასების მთავარი კრიტერიუმის (s / σ) მიხედვით, ყველა შემუშავებული საპროგნოზო განტოლებებით შეიძლება გაიცეს დამაკმაყოფილებელი და ზოგჯერ კარგი შეფასების პროგნოზები. საპროგნოზო პერიოდის ხანგრძლივობა (დროულობა) 3 - 4 - 5 თვეა. საპროგნოზო განტოლებებში ძირითადად მონაწილეობენ მეტეოროლოგიური ფაქტორები: ატმოსფერული ნალექები (R, მმ), ჰაერის ტემპერატურა (θ, °C) და თოვლის საფარის წყალშემცველობა (W, მმ) ან მისი სისქე (d, სმ). მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გამოიყენება მდინარის წყლის ხარჯები, რომელიც მიახლოებით შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს მდინარის დონეების მიხედვით ხარჯების გრაფიკის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ყველა განტოლებით პროგნოზი შეიძლება გაიცეს ამინდის პროგნოზის გარეშე, რაც მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

თითოეული ჰიდროკვეთისათვის მიღებულია სხვადასხვა მონაცემების შემცველი საპროგნოზო განტოლებები, რაც საშუალებას იძლევა ოპერატიული პროგნოზების შედგენის დროს შეირჩეს ისინი არსებული ინფორმაციის, საჭირო წინსწრებისა (დროულობის) ან სიზუსტის მიხედვით.

ამრიგად შემუშავებულია საქართველოს მთავარ მდინარეთა წყალდიდობის პერიოდის წყლის ხარჯების საპროგნოზო მეთოდიკები, რომლებიც აუცილებელია ყოველწლიური ოპერატიული პროგნოზების შესადგენად ჰიდროელექტროსადგურების, წყალსაცავების, წყალმომარაგებისა და სარწყავი სისტემების ეფექტური და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის, მათი მუშაობის საფუძვლიანი დაგეგმარებისათვის, რათა არსებული

წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებით გაიზარდოს ელექტროენერგიის გამომუშავება, წყალმომარაგება და მცენარეთა მოსავლიანობა.

ცხრილი 1. წყალდიდობის პერიოდის საშუალო ხარჯების (Q, მ³/წმ) საპრონოზო განტოლებები და მათი შეფასებები

№	დასაშვ. ცდომ. δ მ³/წმ	საპროგნოზო განტოლებები	შეფასებათა კრიტერიუმები		
			S/δ	P%	r
1	2	3	4	5	6
მდ. ენგური – სოფ. ხაიში					
1	30,2	$Q_{IV-VIII} = 0,41R_{II} + 175$	0,72	66	0,71
2	30,2	$Q_{IV-VIII} = 0,36R_{II} + 0,39Q_{IX.2} + 136$	0,60	81	0,82
3	30,2	$Q_{IV-VIII} = 0,36R_{II} + 0,35Q_{IX.2} + 0,12R_{XI-I} + 111$	0,52	86	0,87
მდ. რიონი – სოფ. ალპანა					
4	17,1	$Q_{IV-VIII} = 0,15W_{1850} + 104$	0,65	69	0,70
5	20.4	$Q_{IV-VII} = 0,18WR_{1850} + 100$	0,62	72	0,76
6	30,6	$Q_{IV-V} = 0,25W_{1350} + 109$	0,50	82	0,86
მდ. ყვირილა – ქ. ზესტაფონი					
7	17,1	$Q_{III-VI} = 0,17R_{XII-II} + 36,1$	0,64	75	0,76
8	17,1	$Q_{III-VI} = 0,15W_{1750} + 51,9$	0,62	76	0,79
9	17,1	$Q_{III-VI} = 0,46d_{max} + 47,9$	0,57	79	0,82
მდ. ხანისწყალი – დაბა ბაღდათი					
10	5,55	$Q_{III-VI} = 0,09d_{max} + 6,13$	0,61	68	0,79
11	5,55	$Q_{III-VI} = 0,09R_{XII-II} + 1,43$	0,57	71	0,82
12	5,55	$Q_{III-VI} = 0,03W_{1650} + 5,06$	0,44	93	0,90
მდ. აჭარისწყალი – სოფ. ქედა					
13	13,0	$Q_{III-VI} = 0,05W_{28/II} + 34,16$	0,59	81	0,80
14	13,0	$Q_{III-VI} = 0,12R_{XII-II} + 14,75$	0,61	73	0,78
15	13,0	$Q_{III-VI} = 0,08W_{1650} + 39,63$	0,57	79	0,81
მდ. მტკვარი – ქ. თბილისი					
16	152	$Q_{IV-VI} = 0,92R_{XI-III} + 1,27Q_{XII-III} + 9,0$	0,62	78	0,80
მდ. დიდი ლიახვი – სოფ. კეხვი					
17	10,1	$Q_{IV-VII} = 0,078W_{2250} - 1,9\theta_{III} + 0,5R_{III} + 41,5$	0,90	58	0,52
მდ. პატარა ლიახვი – სოფ. ვანათი					
18	5,33	$Q_{IV-VI} = 0,07R_{XII-II} + 9,25$	0,76	70	0,66
19	5,33	$Q_{IV-VI} = 0,07R_{XII-II} + 0,16\theta_{XII-II} + 0,07R_{III} + 3,07$	0,65	73	0,78
მდ. თეთრი არაგვი – დაბა ფასანაური					
20	3,03	$Q_{IV-VI} = 0,02R_{XII-II} + 0,02R_{III} + 13,0$	0,76	64	0,66
21	3,03	$Q_{IV-VI} = 0,02R_{XII-II} + 0,02R_{III} + 1,0Q_{I} + 6,65$	0,69	65	0,74
მდ. შავი არაგვი – შესართავთან					
25	2,51	$Q_{IV-VI} = 0,025W_{1650} + 0,09R_{III} - 8,88$	0,60	69	0,81
26	2,51	$Q_{IV-VI} = 0,02W_{1650} - 0,09R_{III} + 0,01R_{XII-II} + 8,89$	0,52	77	0,83
მდ. ფშავის არაგვი – სოფ. მაღაროსკარი					
27	6,70	$Q_{IV-VI} = 0,08W_{1550} + 2,64Q_{II} + 8,91$	0,72	66	0,72
28	6,70	$Q_{IV-VI} = 0,09W_{1550} + 2,82Q_{II} + 0,12R_{III} + 4,56$	0,69	81	0,76
მდ. იორი – სოფ. ლელოვანი					
29	4,89	$Q_{IV-VI} = 2,48Q_{XII-III} + 7,35$	0,68	66	0,74
30	4,89	$Q_{IV-VI} = 2,46Q_{XII-III} + 0,02R_{XI-III} - 2,46$	0,59	74	0,83
მდ. ალაზანი – სოფ. ბირკიანი					
31	4,38	$Q_{IV-VI} = 0,04R_{I} + 1,18Q_{III} + 11,8$	0,71	70	0,72
32	4,38	$Q_{IV-VI} = 0,03R_{I} + 1,13Q_{III} + 0,1R_{II} + 11,1$	0,65	73	0,78
მდ. ალაზანი – სოფ. შაქრიანი					

33	12,9	$Q_{IV-VI} = 0,36R_{III} - 5,19\theta_{III} + 69,2$	0,79	63	0,65
34	12,9	$Q_{IV-VI} = 0,34R_{III} - 3,36\theta_{III} + 0,12W_{1250} - 58,4$	0,73	71	0,72
მდ. ქცია-ხრამი – წითელი ხიდი					
35	10,8	$Q_{IV-VI} = 0,79Q_X + 0,10R_{VIII-III} - 0,66Q_{III} + 9,5$	0,79	62	0,64

როდესაც პროგნოზით მოსალოდნელია მაღალი წყალდიდობა და შეიძლება მოხდეს მდინარეთა სანაპირო ზოლის დატბორვა, ზარალის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარება. მეორე მხრივ, მაღალი წყალდიდობის პროგნოზი მიუთითებს მდინარეთა წყლის გამოყენების ფართო შესაძლებლობაზე სავეგეტაციო პერიოდში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავად. მოსალოდნელი მცირე წყლიანობის შემთხვევაში საჭიროა წყლის დაგროვება წყალსაცავებში და წყალსატევებში, მათი მომავალი გამოყენების მიზნით რაციონალურად: სარწყავად, წყალმომარაგებისა და ჰიდროელექტროსადგურების შეუფერხებელი ექსპლუატაციისათვის.

ასეთი ანალიზი ყოველ წელს ყველა მდინარისათვის უნდა გაკეთდეს მარტის თვეში, როდესაც გაიცემა წყალდიდობის ჩამონადენის ოპერატიული პროგნოზები, რათა დროულად მომზადდეს სიტუაცია მოსალოდნელი საშიშროების დასაძლევად.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Basilashvili Ts. The Method of Working-out Hydrological Prognosis in Conditions of Limited Information. Bulletin of the Georgian Academy of Science. Vol. 162, № 1, Tbilisi, 2000, pp. 110-112.
2. ბასილაშვილი ც. მრავალფაქტორიანი სტატისტიკური მეთოდოლოგია წყალდიდობა-წყალმოვარდნების პროგნოზირებისათვის. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2012.
3. Басилашвили Ц.З. Определение многофакторных зависимостей с развёртыванием уравнения, оценка их качества и расчёт вероятностных прогнозов. Аннотированный перечень новых поступлений в ОФАП Госкомгидромета ВНИИГМИ – МЦД, Обнинск, 1985, вып. 4, с. 21.
4. Наставление по службе прогнозов. Раздел 3, часть 1, Ленинград, Гидрометеоиздат, 1962.

მთის მდინარეთა წყალდიდობების პროგნოზირება ინფორმაციის უკმარისობის პირობებში

ც. ბასილაშვილი

რეზიუმე

შედგენილია საქართველოს მდინარეთა წყალდიდობების ჩამონადენის გრძელვადიანი (3-5 თვის დროულიბის) საპროგნოზო მეთოდიკები ყოველწლიური ოპერატიული პროგნოზების გასაცემად სამეურნეო დანიშნულების ჰიდროობიექტების მომსახურებისათვის.

FORECASTING OF MOUNTAIN RIVER HIGH WATER FLOES WHEN HAVING INADEQUATE INFORMATION

C. Basilashvili

Abstract

Long-term (from 3 to 5 months) forecast methodology for high water periods of Georgian rivers have been worked out. The methodology can be used to make yearly and timely forecasts and be utilized by hydrological entities.

ПРОГНОЗИРОВАНИЕ СТОКА ПОЛОВОДЬЯ ГОРНЫХ РЕК ПРИ НЕДОСТАТОЧНОЙ ИНФОРМАЦИИ

Ц. Басилашвили

Резюме

Составлены методики долгосрочных прогнозов стока половодья рек Грузии (с заблаговременностью 3-5 месяцев) для составления ежегодных оперативных прогнозов в целях обслуживания хозяйственных гидрообьектов.

აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგები და მათი გეოეკოლოგიური თავისებურებანი

ურუშაძე თ., ქვრივიშვილი თ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტე, თბილისი, საქართველო

აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგურ საფარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუხი-ყავისფერ და მდელოს რუხ-ყავისფერ ნიადაგებს. ეს ნიადაგები ფორმირდებიან ზომიერად მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. საშუალო წლიური ტემპერატურა არის 12-13°. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 300-500 მმ. საშუალო წლიური დატენიანების კოეფიციენტი უდრის 0,4-0,6. რელიეფი წარმოდგენილია ვაკეებით, მთისწინებით და დაბალმთიანეთით. ნიადაგწარმომქმნელი ქანები კი პროლუვიური, ალუვიური, ელუვიურ-დელუვიური ნაფენებით. მცენარეულობა მშრალ-სტეპურია, რომელსაც მიეკუთვნებიან უროიანი, ვაციწვერიანი, ავშნიანი და ნაირბალახოვანი დაჯგუფებები. რუხი-ყავისფერი ნიადაგების გენეზისი მიმდინარეობს წლის ხანგრძლივი დროის მანძილზე ტენის მკვეთრი დეფიციტის პირობებში, რაც იწვევს მცენარეული ნარჩენების და ახლადწარმოქმნილი ჰუმუსის ინტენსიურ მინერალიზაციას. კლიმატური პირობები (მაღალი ტემპერატურა, დატენიანების ხანმოკლე პერიოდი) განსაზღვრავენ თიხების შიდანიადაგურ გამოფიტვას, რკინის ჰიდროქსიდების, კარბონატების დაგროვებას [1]. მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების წარმოქმნისა და განვითარების პროცესში განსაკუთრებულ როლს ჰიდროლოგიური პირობები ასრულებს. მდელოს ტიპის ნიადაგწარმოქმნაზე გავლენას ახდენს გრუნტის წყალი [1,2].

ნიადაგების ფაო-ს კლასიფიკაციის თანახმად, რუხი-ყავისფერი ნიადაგები შეიძლება გაერთიანდეს კაშტანაზიომების ჯგუფში. ფორმირებისა და გავრცელების ადგილის (მშრალი სტეპის რეგიონი) გარდა, რუხ-ყავისფერ ნიადაგებს და კაშტანოზიომებს აერთიანებს შემდეგი მახასიათებლები: კარბონატულობა, ჰუმუსოვანი ჰორიზონტების შედარებით ნაკლები სისქე და ჰუმუსის შედარებით მცირე რაოდენობა, ტუტე რეაქცია, ფუძეებით მაძღრობა. ნიადაგებს გააჩნიათ მუქი-რუხი ყავისფერი (10YR3/1) და მუქი მორუხო-ყავისფერი (10YR3/3 ან 10YR3/2) შეფერილობის, კოშტოვანი და 12-18 სმ სისქის ჰუმუსოვანი ჰორიზონტები. პროფილის სიღრმეში, ზემოდან ქვემოთ იცვლება (ბაცდება) ფერი, რაც დაკავშირებულია ჰუმუსის შემცველობის შემცირებასთან და კარბონატების გამოვლენასთან [3]. არეს რეაქცია ტუტეა (ცხრილი1). მიუხედავად მცირე ჰუმუსიანობისა, პროფილში ის თანდათანობით მცირდება და საკმაოდ ღრმად ვრცელდება. ჰუმუსის ამგვარი განაწილების გამო ნიადაგებს ახასიათებთ ღრმა ჰუმუსირებული პროფილი. პროფილში სიღრმით მატება ახასიათებს კარბონატებს. მშთანთქავი კომპლექსის შედგენილობის მიხედვით ნიადაგები ფუძეებით მაძღარია. შთანთქმული კათიონების უმეტესი ნაწილი კალციუმზე მოდის. შთანთქმული კათიონების ჯამი მაღალია, რაც შეიძლება აიხსნას წვრილდისპერსიული ნაწილის დიდი რაოდენობითა და ჰუმუსის თვისებრივი შედგენილობით-ჰუმატურობით [3]. ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მსუბუქი თიხა მექანიკური შედგენილობა (ცხრილი 2). გათიხების პროცესი წვრილდისპერსიული ფრაქციების რაოდენობრივი გადიდებით არის გამოხატული. B ჰორიზონტებში, ფიზიკური თიხის რაოდენობასთან ერთად, გათიხების მაღალ ინტენსივობაზე მიუთითებს ლექის ფრაქციის მაღალი შემცველობა.

ცხრილი 1.

ნიადაგების ზოგადი მაჩვენებლები

ჭრ. №	ადგილმდებარეობა, ნიადაგი	ჰორიზონტი, სიღრმე სმ	pH (H_2O)	$CaCO_3$%	$C_{ორგ.}$ %	ჯემუსი %	შთანთქმული ფუძეები მგ.ექვ.100გ. ნიადაგში				
							Ca^{2+}	Mg^{2+}	ჯამი	Ca %	Mg %
7	რუხი-ყავისფერი	A - 0-18	7,8	6,20	1,48	2,55	32,08	8,74	40,82	78	22
		B_1 - 18-40	8,05	6,65	1,25	2,15	27,22	10,69	37,91	72	28
		B_2 - 40-58	8,0	7,89	0,75	1,3	28,51	9,72	38,23	75	25
		BC - 58-73	8,15	9,78	0,52	0,9	24,95	8,16	33,65	75	25
		C - 73-90	8,3	12,22	0,52	0,9	22,68	8,42	31,10	73	27
8	მდელოს რუხი-ყავისფერი	Aსახ. - 0-20	7,95	1,33	1,65	2,85	27,22	9,72	36,94	74	26
		AB - 20-38	8,15	4,44	1,45	2,5	24,95	8,10	33,05	75	25
		B1 - 38-55	8,15	5,33	1,04	1,8	32,40	6,48	38,88	83	17
		B2 - 55-65	8,2	6,22	0,84	1,45	27,22	7,77	34,99	78	22
		BC - 65-80	8,25	8,8	0,55	0,95	24,30	9,40	33,70	72	28
9	მდელოს რუხი-ყავისფერი	A - 0-20	7,35	2,6	1,83	3,15	30,78	8,42	39,20	78	22
		AB - 20-36	7,45	3,8	1,74	3,0	32,08	9,39	41,47	77	23
		B1 - 36-55	7,7	3,11	0,75	1,3	30,78	7,78	38,56	80	20
		B2 - 55-71	7,8	3,11	0,72	1,25	26,89	9,4	36,29	74	26
		BC - 71-85	7,9	4,00	0,43	0,75	24,30	8,42	32,72	74	26
10	მდელოს-რუხი-ყავისფერი	A - 0-20	7,05	-	1,97	3,4	29,16	10,37	39,53	74	26
		AB - 20-37	7,55	-	1,74	3,0	31,75	9,07	40,82	78	22
		B -37-54	7,4	0,88	1,59	2,75	29,16	9,4	38,65	76	24
		BC - 54-66	7,6	1,33	1,01	1,75	26,57	8,42	34,99	76	24
		C -66-85	8,0	1,33	0,99	1,70	22,03	8,1	30,13	73	27
11	რუხი-ყავისფერი	A -0-15	7,7	6,22	2,44	4,20	25,60	6,80	32,40	79	21
		B - 15-25	7,7	6,67	2,15	3,70	23,65	9,72	33,37	71	29
		BC1 -25-39	7,9	8,89	0,96	1,65	23,33	9,07	32,40	72	28
		BC2 - 39-55	8,0	9,78	0,58	1,00	22,68	7,78	30,46	74	26
		C - 55-70	8,1	12,00	0,58	1,00	21,06	7,78	28,84	73	27
12	რუხი-ყავისფერი	A - 0-12	8,4	5,33	2,58	4,45	22,03	7,78	29,81	74	26
		B1 -12-36	8,45	11,11	1,59	2,72	25,92	9,72	35,64	73	27
		B2 -36-56	8,50	11,11	0,70	1,20	25,27	6,81	32,08	79	21
		BC -56-70	8,55	12,00	0,61	1,05	20,74	6,80	27,54	75	25
		C > 70	8,6	11,56	0,52	0,90	20,74	8,74	29,48	70	30

ნიადაგების პროფილის შენებაში მონაწილეობენ კამბიკ B ჰორიზონტები- მეტამორფული გათიხების ჰორიზონტები. კამბიკ ჰორიზონტებში არ ფიქსირდება თიხიანი კუტანები, რაც ნიშნავს, რომ თიხის ილუვიაციას ადგილი არა აქვს. ნიადაგებისთვის დამახასიათებელია ქრომიკ დიაგნოსტიკური ნიშან-თვისება, რომელიც მიუთითებს, რომ ნიადაგის ზედაპირიდან (ჭრ.11 და ჭრ.12) 150 სმ საზღვრებში არსებობს 30 სმ-ზე არანაკლები სისქის ფენა, რომლის უმეტესი ნაწილის ელფერი არის 7,5YR და ფერის ინტენსივობა კი 4-ზე დაბალი არ არის [4]. ნიადაგებში გამოვლინდა ჰუმიკ და კალკარიკ დიაგნოსტიკური გამნსაზღვრელები, ჰუმიკ განმსაზღვრელი აღნიშნავს 50 სმ სიღრმემდე ორგანული ნახშირბადის > 1% შემცველობას. კალკარიკ განმსაზღვრელი გულისხმობს ნიადაგის ზედაპირიდან, მინიმუმ 20-50 სმ სიღრმეებს შორის, კარბონატული ნივთიერების არსებობას [4,5].

ცხრილი 2.

მექანიკური შედგენილობის მონაცემები

ჭრ. №, ადგილმდებ. ნიადაგი	ჰორიზონტი სიღრმე სმ.	მექანიკური ფრაქციები (მმ) %						
		1 – 0,25	0,25 – 0,05	0,05 – 0,01	0,01-0,005	0,005-0,001	< 0,001	< 0,01
7 რუხი-ყავისფერი	A -0-12	1	9	21	17	22	30	69
	B_1-12-36	0	8	20	15	22	35	72
	B_2 -36-56	0	10	16	19	23	32	74
	BC-56-70	1	9	18	18	24	30	72
	C >70	1	11	18	16	25	29	70
8 მდელოს რუხი-ყავისფერი	A -0-20	0	10	20	9	14	47	70
	AB-20-38	0	9	18	10	13	50	73
	B_1-38-55	0	7	16	7	19	51	77
	B_2-55-65	1	10	13	10	13	53	76
	BC -65-80	1	5	20	12	13	49	74
9 მდელოს რუხი-ყავისფერი	A -0-20	0	10	22	13	17	38	68
	AB-20-36	0	8	22	11	14	45	70
	B_1-36-55	0	12	18	10	18	42	70
	B_2-55-71	1	9	18	15	12	45	72
	BC-71-85	0	15	20	9	16	40	65
10 მდელოს რუხი-ყავისფერი	A -0-20	0	12	18	7	19	44	70
	AB-20-37	1	9	19	11	20	40	71
	B -37-54	0	5	18	13	18	46	77
	BC-54-66	1	9	22	11	15	42	68
	C -66-85	0	13	23	9	20	35	64

ფაო-ს კლასიფიკაციის მიხედვით, მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების შუა ჰორიზონტები, რომლებშიც ფიქსირდება შედარებით ინტენსიური გამოფიტვის მოვლენა, არიან კამბიკ ჰორიზონტები. მათი დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია მძიმე მექანიკური შედგენილობა და თიხის მაღალი შემცველობა ქვედა ჰორიზონტებთან შედარებით [6,7]. კამბიკ ჰორიზონტების დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს, თიხის შემცველობის გარდა, მიეკუთვნებიან კარგად განვითარებული სტრუქტურა და კარბონატების გამოტანის მაჩვენებელი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კამბიკ ჰორიზონტი კარბონატს ყოველთვის უფრო მცირე რაოდენობით შეიცავს, ვიდრე მის ქვევით მდებარე ჰორიზონტი [5,6]. ნიადაგების ზედა ნაწილი უკარბონატოა ან შეიცავს კარბონატების მხოლოდ მცირე რაოდენობას. ქვედა ნაწილში pH სიდიდე და $CaCO_3$ შემცველობა იზრდება, რაც აიხსნება პირველადი (საწყისი) მასალის in situ გამოტანით (ჩარეცხვით) [8]. მდელოს რუხი-ყავისფერი ნიადაგების პროფილები, მათ შენებაში გამოვლენილი კამბიკ ჰორიზონტების გამო, კლასიფიცირდებიან კამბისოლებად. ნიადაგებში დაფიქსირდა კალკარიკ განმსაზღვრელი. ასევე გამოვლინდა გლეიკ კვალიფიკატორი და ვერტიკ თვისებები. გლეიკ განმსაზღვრელი გულისხმობს გლეიკ თვისებების არსებობას ნიადაგის ზედაპირიდან 100 სმ სისქის საზღვრებში [6]. აღდგენითი პირობების შედეგი გამოხატულია გლეიკ ფერის ნიშნით. გალებების ნიშნები საკვლევ ნიადაგებში, რომლის მაჩვენებელია მუქი მომწვანო-რუხი ფერები (Gley 14/10y), შეიმჩნევა >50 სმ სიღრმეზე. აღდგენითი თვისებების მქონე ჰორიზონტებში ფიქსირდება ჟანგიანი ფერები. ვერტიკ თვისებები აიხსნება ლექის ფრაქციის 30%-ზე არანაკლები შემცველობით (სულ მცირე 15 სმ სიღრმეში) და

გაპრიალებული ზედაპირიანი აგრეგატების – „სლიქენსაიდების" არსებობით [4]. ნიადაგებს ახასიათებთ A-AB-B_1-B_2-BC ან $A_{სახ}$-AB-B-BC-C შენება. ზედაპირიდან მუქი რუხი-ყავისფერი (10YR2/2; 10YR3/1; 10YR3,5/1) შეფერილობა იცვლება და გადადის ყავისფერში (10YR4/3). ნიადაგების რეაქცია სუსტად ტუტე ან ტუტეა (ცხრილი1). კარბონატების შემცველობა ზედაპირიდან სიღრმითი ჰორიზონტებისკენ მეტნაკლებად განიცდის მატებას. ნიადაგები ფუძეებით მაძღარია, შთანთქმის ტევადობა მაღალი. მშთანთქავ კომპლექსში გაცვლითი კათიონებიდან კალციუმი ჭარბობს მაგნიუმს. ნიადაგებში ჰუმუსი მცირე რაოდენობითაა. მისი შემცველობა პროფილში თანდათანობით მცირდება. . ნიადაგებში დაფიქსირდა ჰუმიკ კრიტერიუმი (ჭრ.8 და ჭრ.10). ნიადაგები, გრანულომეტრული შედგენილობის მიხედვით, მსუბუქ და საშუალო თიხებს მიეკუთვნებიან (ცხრილი 2). გათიხება ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს პროფილის შუა ნაწილში აღწევს.

ამრიგად, იდენტურ გეოეკოლოგიურ პირობებში ფორმირებული რუხი-ყავისფერი და მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგები შეიძლება გაერთიანდნენ სხვადასხვა ნიადაგურ ჯგუფებში. შესაბამისად, ისინი მიეკუთვნებიან კაშტანაზიომებსა და კამბისოლებს.

ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. თ.ურუშაძე - საქართველოს ძირითადი ნიადაგები. გამომც.: "მეცნიერება", თბილისი, 1997, 267 გვ.
2. საქართველოს ნიადაგები. გამომც.: "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1983, 354 გვ.
3. Генетические типы почв субтропиков Закавказья. Изд-во.: «Наука», Москва 1979, 265 с.
4. World .Reference Base for Soil Resources. Rome, 2006. 128 pp.
5. Мировая коррелятивная база почвенных ресурсов: основа для международной классификации и корреляции почв. Изд-во:. КМК, Москва 2007. 278 с
6. ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზა, №84; თბილისი, 2005, 126 გვ .
7. Sen-Po Wu, Zueng-Sang Chen. Characteristics and genesis of Inceptisols with plasic horizons in the Subalpane forest soils of Taiwan. Geoderma 125, 2005, pp. 331-341.
8. Andrzej Keprzak, Arkadiusz Derkowski. Cambisols developed from cover-beds in the Piening Mts. (Southern Poland) and their mineral composition. Catena 71, 2007, pp. 292-297.

აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგები და მათი გეოეკოლოგიური თავისებურებანი

ურუშაძე თ., ქვრივიშვილი თ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტე, თბილისი, საქართველო

აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი სტეპის ზონაში გავრცელებული რუხი-ყავისფერი და მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგები მიეკუთვნებიან კაშტანაზიომებსა და კამბისოლებს. ნიადაგებში გამოვლინდა კამბიკ ჰორიზონტები, ჰუმიკ, კალკარიკ, გლეიკ და ვერტიკ დიაგნოსტიკური განმსაზღვრელები.

ПОЧВЫ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ И ИХ ГЕОЭКОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ

Т.Ф. Урушадзе, Т.О. Кврившвили

Грузинский аграрный университет, Институт почвоведения, агрохимии и мелиорации Михаила Сабашвили, Тбилиси. Грузия

Распространенные в сухой степной зоне Восточной Грузии серо-коричневые и лугово-серо-коричневые почвы относятся к каштаноземам и камбисолям. В почвах выявлены камбик горизонты, гумик, калькарик, глейк и вертик диагностические квалификаторы.

SOILS OF EAST GEORGIA AND THEIR GEOECOLOGIC PECULIARITIES

T.F. Urushadze, T.O. Kvrivishvili

Agricultural University of Georgia, Mikheil Sabashvili Institute of Soil Science, Agrichemistry and Melioration, Tbilisi, Georgia

Grey- Cinnamonic soils and Meadow-Grey-Cinnamonic soils are spread in the dry steppe subtropical zone of East Georgia. Grey-Cinnamonic soils by WRB are corresponding Kastanazems and Meadow-Grey-Cinnamonic soils are according Cambisols. In the profiles of these soils have shown Cambic diagnostic horizons, also following qualifiers : Humic, Calcaric, Gleyic and Vertic.

სათბურის ეფექტი და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები

ნანა ბერძენიშვილი

გეოგრაფიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწოფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო დეპარტამენტი, თელავი, საქართველო

ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად აჭუჭყიანებს ატმოსფერულ ჰაერს, რაც თავის მხრივ უარყოფითად უბრუნდება თვით ადამიანს. გარემოს დაბინძურების წყაროებს შორის პირველ ადგილზეა ნახშირბადების წიაღისეული. მათ მიეკუთვნება ნახშირი, ნავთობი და აირი. მათი წვის შედეგად გამოყოფილი ნარჩენები აჭუჭყიანებენ ატმოსფეროს და უარყოფით გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე. ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების თვალსაზრისით ახდენენ ფიზიკურ და ქიმიურ ზემოქმედებას. ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს რადიაქტიური ნივთიერებები, სითბური გაჭუჭყიანება(ტემპერატურის გაზრდა), ხმაური და დაბალსიხშირიანი ვიბრაციები. ქიმიურ ზემოქმედებას ახდენს თხევადი ნახშირწყალბადები, სარეცხი საშუალებები, პლასტმასები, პესტიციდები და სხვა სინთეთიკური ნივთიერებები, აზოტის და გოგირდის ნარჩენები, მძიმე მეტალები, ფტორის შენაერთები, მყარი მინარევები, ორგანული ნივთიერებები. წარმოშობის მიხედვით ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები იყოფა ბუნებრივი და ხელოვნური (ანტროპოგენური) წარმოშობის მინარევებად. ბუნებრივი წარმოშობის მინარევები ატმოსფეროში ხვდება ვულკანური მოქმედების, ნიადაგისა და მთის ქანების გამოფიტვის, ტყეების ხანძრის, მეტეორიტების წვის შედეგად. ანტროპოგენური წარმოშობის მინარევები წარმოიქმნება უპირველეს ყოვლისა საწვავის წვის პროცესში – შიდა წვის ძრავებში, თბოელექტრო სადგურებში, გამათბობელ სის ტემებში და აგრეთვე სამრეწველო და ყოფითი ნარჩენების წვის, ბირთვული აფეთქებების და სხვ. შედეგად. ერთ წელიწადში ატმოსფეროში მოხვედრილი მსოფლიო სამრეწველო ყოფითი გამონაბოლქვების საერთო მასა დაახლოვებით 600 გეგა ტონას შეადგენს. გასული საუკუნის განმავლობაში ატმოსფეროში მოხვდა 1,35 მეგა ტ კრემნიუმი, 1,5 მეგა ტ მიშიაკი, 1მეგა ტ-ზე მეტი ნიკელი 0,6 მეგა ტ ცინკი. შემადგენლობის მხრივ ატმოსფეროში მოხვედრილ მინარევებს შორის განასხვავებენ აიროვანს, მყარს და თხევადს. ამასთან აიროვან ნივთიერებათა წილზე 90% მოდის. მას მიეკუთვნება ნახშირბადის ოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, ნახშირწყალბადები. მყარ მინარევებზე-მტვერი, მძიმე მეტალები,მინერალები და ორგანული შენაერთები, რადიაქტიური ნივთიერებები მოდის დაახლოვებით 10%. თხევადი მინარევების მასა (გოგირდმჟავა) აიროვან და მყარ მინარევებს შორის ძალზე მცირეა. ატმოსფეროს ყველაზე გავრცელებული აირია ნახშირბადის ოქსიდი (CO). მისი ძირითადი მასა წარმოიქმნება სათბობის წვის შედეგად, ხოლო ძირითადი წყარო შიდა წვის ძრავაა. აშშ-ი ავტომანქანები ყოველწლიურად გამოაბოლქვებენ 120 მეგა ტონა ნახშირბადის ოქსიდს. მისი მაქსიმალური მნიშვნელობა წარმოიქმნება ძრავას გახურების პროცესში. მეორე, მასის სიდიდით, ატმოსფეროს გამაჭუჭყიანაბელ ნივთიერებათა შორის გოგირდის დიოქსიდია(SO2). ის ძირითადად წარმოიქმნება ნახშირის წვის შედეგად. გამოთვლების თანახმად ყოველწლიურად ატმოსფეროში ხვდება 145 მეგა ტონა გოგირდის დიოქსიდისა. ამავე დროს ამ გამონაბოლქვების 70% წარმოიქმნება ნახშირის, ხოლო 16%-თხევადი სათბობის, ძირითადად მაზუთის წვის შედეგად. SO2-ის დაშლა ატმოსფეროში ხდება მასზე ულტრაიისფერი რადიაციის მოქმედების შედეგად, რაც განაპირობებს გოგირდის ანგიდრიდის(SO3) წარმოქმნას. გაჭუჭყიანებულ ნოტიო ატმოსფეროში რეაქციების შედეგად წარმოიქმნება აგრეთვე გოგირდმჟავა(H2SO4).

ატმოსფეროში ხვდება აგრეთვე გოგირდწყალბადი(H2S), რომელიც წარმოიქმნება ნიადაგის მიკროორგანიზმებში და ზღვის გარემოში. ბენზინისა და დიზელის წვის შედეგად შიდა წვის ძრავებში წარმოიქმნება აზოტის ოქსიდი და დიოქსიდი. აზოტის დიოქსიდი ატმოსფეროში რჩება დაახლოვებით 3 დღეღამის განმავლობაში. წყლის ორთქლთან რეაქციის შედეგად ის გარდაიქმნება აზოტმჟავად და სხვა ნიტრატებად, რომლებიც, ნალექებთან ერთად, უბრუნდებიან ნიადაგს. აზოტის დიოქსიდი იშლება აგრეთვე ულტრაიისფერი რადიაციის ზემოქმედებად და გარდაიქმნება NO–დ. მისი დაშლა ხდება აგრეთვე მაღალი ტემპერატურების (600-ზე მეტი) დროს. ნახშირწყალბადის წარმოქმნის ძირითადი წყარო მცენარეებია, ანტროპოგენური წყარო-ავტოტრანსპორტი. ნახშირწყალბადებს მიეკუთვნება ნახშირბადის და აზოტის ოქსიდები. ატმოსფეროში, როგორც ბუნებრივი, ისე ანტროპოგენური პროცესების შედეგად ხვდება აგრეთვე მყარი ნაწილაკები, ანუ აეროზოლები. მათ განსხვავებული ფორმები აქვთ. გაჭუჭყიანების ძირითადი წყაროა საშენი მასალების მოპოვებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული მრეწველობა. კერძოდ ქანების ხერხვა კარიერებში, ცემენტის დამზადება და სხვა. მყარი ნაწილაკების დიდ რაოდენობას-ცინკს, სპილენძს, ტყვიას და ალუმინს გამოაბოლქვებს ფერადი მეტალურგია. ავტოტრანსპორტის და ავიაციის განვითარებამ არსებითად გაზარდა მათგან გამონაბოლქვი აირების წილი ატმოსფეროში. შეფასებები გვიჩვენებს, რომ საშუალო რაოდენობის მოსახლეობის სამრეწველო ქალაქში ავტოტრანსპორტის წილზე მოდის გამონაბოლქვის საერთო მასის 30-70%. ამერიკის შეერთებულ შტატებში დამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების 40% მოდის მოძრავი წყაროების გამონაბოლქვზე, მათ შორის სატვირთო და სამგზავრო ავტომობილებზე, ორთქმავლებზე და საჰაერო ტრანსპორტზე. ძირითადი წილი მოძრავი წყაროებიდან ატმოსფეროს დაბინძურებაში მოდის ბენზინზე მომუშავე ავტომობილებზე. ა.შ.შ.-ში მათი ხვედრითი წილი შეადგენს 75%-ს, თვითმფრინავების გამონაბოლქვისა _ 5% და ა.შ. ძირითადი გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებებია ნახშირბადის ოქსიდი, ნახშირწყალბადები და აზოტის ოქსიდები. ნახშირწყალბადებისა და ნახშირბადის ოქსიდის უდიდესი გამონაბოლქვი აღინიშნება ავტოტრანსპორტის დამუხრუჭებისა და თავისუფალი სვლის დროს, ხოლო აზოტის ოქსიდისა შეესაბამება დიდ სიჩქარეებს. საერთოდ ავტომობილები ძლიერ აჭუჭყიანებენ ჰაერს გაჩერებისა და დაძვრის დროს. დიზელის ძრავები შედარებით ეკონომიურია და გამოაბოლქვებენ ზოგიერთი ნივთიერების შედარებით ნაკლებ რაოდენობას, მაგრამ დიზელის ძრავა დიდი რაოდენობით გამოაბოლქვებს დაუწვავ ნახშირბადს, ამიტომ ისინი უფრო მეტად აჭუჭყიანებენ გარემოს და უფრო ცუდად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. თვითმფრინავის გამონაბოლქვები ნაკლებად მოქმედებენ ქალაქის ჰაერზე, ის ძირითად გავლენას ახდენს ჰაერის გაჭუჭყიანებაზე მხოლოდ აეროპორტის რაიონში. შეფასებულია, რომ საწვავის 42% იხარჯება თვითმფრინავის გამოყვანაზე ასაფრენ ბილიკამდე და შეყვანაზე მისი დაჯდომის შემდეგ. ამ დროს დაუწვავი და ატმოსფეროში გამონაბოლქვი საწვავი გაცილებით მეტია ვიდრე მთელი ფრენის განმავლობაში. ზოგიერთი სიჩქარის თვითმფრინავები და კოსმოსური ხომალდები აჭუჭყიანებენ სტრატოსფეროს აზოტისა და გოგირდმჟავას მოქმედებით, აგრეთვე ალუმინის ოქსიდის ნაწილაკებით. ისინი უარყოფითად მოქმედებენ ოზონის ფენაზე და ჰაერის გლობალურ ტემპერატურაზე. ქლორ-ფტორ მეთანები, ფრეონი 11, ფრეონი 12, ისინი წარმოადგენენ აირს, რომლებიც წარმოიქმნებიან იმ აეროზოლური პრეპარატების აორთქლებისას, რომლებიც გამოიყენება თმების შესაღებად. აღნიშნული აირები ვრცელდებიან და ხანგრძლივად არსებობენ ტროპოსფეროში. ფრეონები აძლიერებენ სათბურის ეფექტს, გამოთვლების თანახმად დაახლოებით 2030 წელს ფრეონების გავლენის შედეგად ოზონის საერთო რაოდენობა შემცირდება 18%-ით, ხოლო ქვედა სტრატოსფეროში 40 %-ით. ყოველივე ამის საბოლოო შედეგად, გლობალური მიწისპირა ტემპერატურა გაიზარდა 12-21C-ით. ატმოსფეროს მავნე გამჭუჭყიანებელთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ხმაური, ის გამაღიზიანებლად მოქმედებს ადამიანზე, მისი გავლენა დამოკიდებულია მის ინტენსივობაზე, მის სპექტრალურ შედგენილობაზე და მოქმედების ხანგრძლივობაზე. ადამიანზე განსაკუთრებით მოქმედებს ხმაური 3000-5000 ჰერცი სიხშირის დიაპაზონით. ხმაური დამღუპველად მოქმედებს სასმენ აპარატზე, ცენტრალურ და ვეგეტატურ ნერვულ სისტემაზე და გულის მუშაობაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზებგერითი თვითმფრინავების ხმაური, იგი იწვევს ხმის ტალღის დარტყმას და ვიბრაციებს აეროპორტის ახლოს განლაგებულ ბინებში. თანამედროვე ზებგერითი თვითმფრინავები გამოსცემენ ხმას, რომლის ინტენსივობაც გაცილებით აღემატება დასაშვებ ნორმებს.

ახლო მომავალში ტრანსპორტისათვის საწვავად წყალბადის გამოყენება შესაძლებელია იქცეს გადაწყვეტად დიდი ქალაქების უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემისა – გარემოს, პირველ რიგში კი საჰაერო აუზის, დაბინძურებისა. საკმაოდ იაფი წყალბადის საწარმოებლად, რომელიც გამოყენებული იქნება საწვავად, აუცილებელია იაფი ელექტროენერგიის წყარო.ეკოლოგიურად სუფთა განახლებადი მზის სხივების ენერგია დედამიწის ზედაპირზე 1 კვტ/მ2 სიმკვრივით აღწევს. მისი წყალობით არსებობს სიცოცხლე დედამიწაზე, მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გარდაქმნით არის ეკოლოგიურად სუფთა წყლისა და ქარის ენერგიები წარმოქმნილი. აღნიშნული ენერგიის აკუმულირებასა და ფართომასშტაბიან გამოყენებას ელექტრული ენერგიისა და ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის საწვავის სახით მთლიანად შეუძლია კაცობრიობის მზარდი ენერგეტიკული მოთხოვნოლების დაკმაყოფილება.წყალბადის წარმოება შესაძლებელია წყლის თერმული დაშლის მეშვეობით, რომლისათვისაც სითბოს წყაროდ შეიძლება გამოყენებილ იქნას მზის ენერგია. სითბოს მიღება სარკეებისა და კონცენტრატების დახმარებით გაცილებით უფრო იაფი და ეფექტურია, ვიდრე ელექტროენერგიის მიღება ნახევარგამტარული გარდამქმნელების საშუალებით. წყლის თერმოქიმიური დაშლა და ამ გზით წყალბადის მიღება საბოლოოდ შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრად უფრო ხელმისაწვდომი.

ატმოსფეროში მოხვედრილი ნივთიერებათა უმრავლესობა უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ისინი ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში სასუნთქი ორგანოებიდან. ნაწილაკების 50% აღწევს ფილტვებში და ილექება. ორგანიზმში შეღწეული ნივთიერებები იწვევენ ტოქსიკურ ეფექტს. დადგენილია საკმაოდ კარგი სტატისტიკური კავშირი ჰაერის დაჭუჭყიანების დონესა და ისეთ დაავადებათა შორის, როგორებიც არის ზედა სასუნთქი ორგანოების დაავადება, გულის უკმარისობა, ბრონქიტი, ასთმა, პნევმონია, ფილტვების ემფიზემა და სხვა. ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთი მავნე ნივთიერებების უშუალო გავლენის შედეგებს ცოცხალ ორგანიზმებზე. CO ნახშირბადის ოქსიდის მაღალი კონცენტრაცია რომელიც აღემატება დასაშვებ ზღვარს იწვევს ადამიანის ორგანიზმში ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, ხოლო ზოგჯერ სიკვდილსაც. ეს აიხსნება იმით, რომ CO ადვილად უერთდება ჰემოგლობინს. ამ შეერთების დროს წარმოიქმნება კარბოქსილგემოგლობინი, რაც იწვევს მხედველობის დაქვეითებას, გულის და ფილტვების მოქმედების გაუარესებას, თავის ტკივილს, სპაზმებს, სუნთქვის დარღვევასა და სიკვდილს. CO-ს გავლენა ორგანიზმზე ფასდება არა მხოლოდ მისი კონცენტრაციით, არამედ მისი მოქმედების ხანგრძლივობით ანუ ექსპოზიციით. კარბოკსილგემოგლობინის წარმოქმნის პროცესი შექცევადია. აირის შესუნთქვის შეჩერების შემდეგ იწყება მისი თანდათანობითი გამოსვლა სისხლიდან. განსაკუთრებით მავნე გავლენას ადამიანებზე და ცოცხალ ორგანიზმებზე ახდენს SO2 და SO3. მათი მოქმედებით აღინიშნება დაავადებულთა და სიკვდილიანობის სწრაფი ზრდა, მცენარეთა ფოთლების დაზიანება და სხვა. მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე უარყოფით გავლენას ახდენს რადიაქტიური ნივთიერებანი, ისინი დაშლის შედეგად მასაში კლებულობენ და უსასრულოდ დიდი დროის შემდეგ თეორიულად უნდა გაქრნენ. იმ დროს, რომლის განმავლობაშიც რადიაქტიური ელემენტის მასა მცირდება 2-ჯერ, ნახევარდაშლის პერიოდს უწოდებენ. სხვადასხვა ნივთიერების ნახევარდაშლის პერიოდი სხვადასხვაა და იცვლება რამდენიმე საათიდან, რამდენიმე მილიარდ წლამდე. განსაკუთრებით საშიშია ისეთი რადიაქტიური ნივთიერებანი, რომელთა ნახევარდაშლის პერიოდი რამდენიმე კვირიდან რამდენიმე წლამდეა. ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ რადიაციამ შეაღწიოს მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმში. კვების პროდუქტების საშუალებით რადიაქტიური ნივთიერებები ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში, გროვდებიან და გარკვეული დოზის მიღწევის შემდეგ ზიანს აყენებენ მის ჯანმრთელობას. რადიაციით დასხივების სიმძიმე დამოკიდებულია ორგანიზმის მიერ შთანთქმულ ენერგიაზე. ამ ენერგიის ერთეულად მიღებულია 1 რადი. ის წარმოადგენს დასხივების დოზას, როდესაც

ცოცხალი ნივთიერების ერთი გრამი შთანთქავს 10- ჯ ენერგიას. დადგენილია, რომ თუ ადამიანი მიიღებს დოზას _ 1000 რადს, იგი იღუპება. 700 რადის შემთხვევაში სასიკვდილო შედეგია 90%, 200 რადის დროს 10%-ია, ხოლო 100 რადის შემთხვევაში ადამიანი ცოცხალი რჩება, მაგრამ მნიშვნელოვნად იზრდება მისი კიბოთი დაავადების და სრული პარალიზების ალბათობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალფენიძე მ., ელიზბარაშვილი ე., ხარაძე კ – ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია, ISBN 99940-20-90-0, თბილისი, 2003, გვ,155, 411.
2. ელიზბარაშვილი ე., სულხანიშვილი ნ – გლობალური ეკოლოგია, INSB 978–9941–0–1587–8, თბილისი, 2009, გვ, 23.

სათბურის ეფექტი და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები

ნ. ბერძენიშვილი

რეზიუმე

ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად აჭუჭყიანებს ატმოსფერულ ჰაერს, რაც თავის მხრივ უარყოფითად უბრუნდება თვით ადამიანს. გარემოს დაბინძურების წყაროებს შორის პირველ ადგილზეა ნახშირბადების წიაღისეული. მათ მიეკუთვნება ნახშირი, ნავთობი და აირი. მათი წვის შედეგად გამოყოფილი ნარჩენები აჭუჭყიანებენ ატმოსფეროს და უარყოფით გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე. ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების თვალსაზრისით ახდენენ ფიზიკურ და ქიმიურ ზემოქმედებას. ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები იყოფა ბუნებრივი და ხელოვნური (ანტროპოგენური) წარმოშობის მინარევებად. ბუნებრივი წარმოშობის მინარევები ატმოსფეროში ხვდება ვულკანური მოქმედების, ნიადაგისა და მთის ქანების გამოფიტვის, ტყეების ხანძრის, მეტეორიტების წვის შედეგად. ანტროპოგენური წარმოშობის მინარევები წარმოიქმნება უპირველეს ყოვლისა საწვავის წვის პროცესში – შიდა წვის ძრავებში, თბოელექტრო სადგურებში, გამათბობელ სის ტემებში და აგრეთვე სამრეწველო და ყოფითი ნარჩენების წვის, ბირთვული აფეთქებების და სხვ. შედეგად.

Greenhous effect and related environmental Problems

N. Berdzenishvili

Abstract

People as a result of its economic activities achuchqianebs air, which in turn negatively returned to the people. Fossil carbon sources of environmental pollution in the first place . These include coal, oil and gas . The combustion residues separated achuchqianeben atmosphere and can affect a human body . Gamachuchqianebeli atmosphere substances in the human body operate in terms of their physical and chemical effects . Ambient air gamachuchqianebeli substances are divided into natural and man-made (anthropogenic) origin dross . Impurities in the atmosphere are naturally occurring volcanic activity , weathering of soil and rocks , forest fires , burning of meteorites . Anthropogenic origin primarily arise from impurities in the fuel combustion process - internal combustion engines , thermal power stations, heating systems and also in industrial and domestic waste burning temeb , nuclear explosions, and so forth.

Парниковый эффект и связанной с окружающей Проблемы

Н. Бердзенишвили

Резюме

Люди в результате его хозяйственной деятельности achuchqianebs воздуха, что в свою очередь негативно вернулся к людям . Ископаемого углерода источниками загрязнения окружающей среды , в первую очередь . К ним относятся уголь, нефть и газ. Остатки сгорания отделена achuchqianeben атмосфере и может повлиять на человеческое тело . Gamachuchqianebeli атмосфера вещества в организме человека работают с точки зрения их физических и химических воздействий . Окружающего воздуха gamachuchqianebeli вещества подразделяются на естественном и искусственном (антропогенного) происхождения отбросов . Примеси в атмосфере естественным вулканической активности , выветривание почвы и горных пород , лесные пожары, сжигание метеоритов . Антропогенного происхождения в основном вызваны примесей в процессе сгорания топлива - двигателей внутреннего сгорания, тепловых электростанций , отопительных систем , а также в промышленных и бытовых отходов горения temeb , ядерных взрывов , и так далее.

ეკოლოგიური პრობლემები ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების პირობებში

გუნია გარი

არასამთავრობო ორგანიზაცია "დრო და მემკვიდრეობა", სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო. (ნაშრომი შესრულებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით არასამთავრობო ორგანიზაციის „დრო და მემკვიდრეობის" პროექტზე FR/138/9-280/12)

შესავალი

საქართველოს ბუნებრივი გარემო, რომელიც რთული ოროგრაფიითა და კლიმატური პირობების ნაირსახეობით გამოირჩევა, ანთროპოგენური გავლენის მონიტორინგის რიგი საკითხების დამუშავებას მოითხოვს, კერძოდ: გარემოს ცალკეული კომპონენტების ეკოლოგიური მდგომარეობის ხარისხობროვი და რაოდენობრივი მახასიათებელი პარამეტრების შეფასებასა და მათი მოსალოდნელი ცვლილებების ტენდენციების გამოვლენას. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა დაიგეგმოს და განხორციელდეს გარემოზე მავნე ზეგავლენის შედეგების თავიდან აცილების პრაქტიკული ღონისძიებები [1]. ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებები ენერგეტიკულ რესურსებში, სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროდუქციებში თავის კვალს აჩენენ და ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივი და სოციალური გარემოს მდგომარეობაზე. ხშირად აღნიშნულის შეუფასებლობა ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის საფრთხის შექმნის მიზეზი ხდება. ეს კი, ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე, ცოცხალ ორგანიზმებზე, და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე გაუთვალისწინებელ უარყოფით, რიგ შემთხვევებში კი, შეუქცევად და გამანადგურებელ ზემოქმედებას იწვევს. გარემოს ცალკეულ კომპონენტზე (ატმოსფერო, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ნიადაგი) ტექნოგენური დატვირთვის საშიში დონის განსაზღვრა მოითხოვს პროფესიულ მიდგომას, რადგან ხშირად ეს გარემოება თავიდან ცხადად არ შეიგრძნობა და მხოლოდ შემდგომ ხდება გარემოზე განსაკუთრებით საშიში ზემოქმედების საფუძველი.

მდგრადი განვითარების ზოგიერთი ძირითადი კონცეპტუალური საკითხები

ქვეყანაში გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების არსებული დონე, მისი ზრდის ტენდენცია აქტუალურს ხდის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას სახელმწიფო და საერთაშორისო მასშტაბებით. ამისათვის საჭიროა საერთაშორისო პრაქტიკით რეკომენდებული მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნების დაცვა.

ამასთან, "მდგრადი განვითარების" ქვეშ იგულისხმება საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას – ისარგებლონ შეუქცევადი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო ურთიერთობებით აღიარებულ პრინციპთა უცილობელ დაცვას, მათ შორის ისეთებისა,

როგორებიცაა [2]: - ადამიანების უფლება ჰქონდეთ ჯანსაღი და ნაყოფიერი სიცოცხლე ბუნებასთან ჰარმონიულობის პირობებში; - სახელმწიფოების სუვერენული უფლება გამოიყენონ საკუთარი რესურსები თავისი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური პოლიტიკის მიხედვით. ამასთან ისინი პასუხისმგებელნი არიან იმისათვის, რომ მათ კონტროლს დაქვემდებარებულმა საქმიანობამ ზიანი არ მიაყენოს ბუნებრივ გარემოს სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე;

- განვითარების უფლების რეალიზაცია ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა სამართლიანი დაკმაყოფილება ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის სფეროებში;

- მდგრადი განვითარების პროცესში, გარემოს დაცვის საქმიანობის განვითარების აუცილებელ, განუყოფელ ნაწილად მიჩნევა და არა მისგან მოწყვეტით განხილვა. მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა - სიღარიბის აღმოფხვრა და სხ. აღნიშნულ პირობებში ეკონომიკური განვითარების პოლიტიკისა და ეფექტური ეკოლოგიური მართვის წარმატებით რეალიზაციისათვის აუცილებელია ვიქონიოთ უტყუარი, მაქსიმალურად სრული და დროული ინფორმაცია: - ბუნებრივი რესურსების არსებობისა და მდგომარეობის შესახებ; - ბუნებრივი გარემოს ხარისხზე და მის ტექნოგენურ დატვირთვაზე; - წარმოქმნილი არახელსაყრელი და საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების და უბედურებების მიზეზებზე და შედეგებზე.

საზოგადოების მდგრადი განვითარების ძირითადი მდგენელებია: ენერგეტიკა (ენერგორესურსები, მრეწველობის ეფექტურობა), ეკოლოგია, ცხოვრების ხარისხი და საზოგადოების ინფორმაციული უზრუნველყოფა.

საქართველოში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა უბანზე მთლიანად არაა აღიარებული მდგრადი განვითარების პრინციპები. ამ მიმართულებით სუსტად მიმდინარეობს მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება, რომელთა მასშტაბებიც უნდა მოიცავდნენ პრობლემათა როგორც ლოკალურ, ისე რეგიონულ და გლობალურ ხასიათებს.

ეკო-მეტეოროლოგიური პრობლემები საქართველოს ენერგეტიკის სფეროში

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების კონტექსტში, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, საქართველოში ფართოდ მიმდინარეობს სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებენ რიგი წყალსაცავების კასკადების დაგეგმარებასა და აშენებას, მათ შორის მდ.ენგურის აუზში: გალის, ჯვრის, ხუდონის და სხვა წყალსაცავებისა. ამან, კი, უნდა გამოიწვიოს კლიმატის შემქმნელ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის – დედამიწისპირა ჰაერის ფენის არსებული თვისებების ცვლილება. ეს ფაქტი კი, ბუნებრივ გარემოზე თანამედროვე ნეგატიურ ანთროპოგენურ ზემოქმედებათა რიგში, ხელოვნური წყალსაცავების მიერ წარმოქმნილი უარყოფითი ეფექტების განხილვის აუცილებლობას ითხოვს. კვლევები გვიჩვენებენ, რომ ჰიდროელექტროსადგურების ენერგოეფექტურობისა და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასებებში მათი გათვალისწინებაა აუცილებელი [3].

ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხელოვნური წყალსაცავების აშენების შედეგად მთის ეკოსისტემები, რომლებიც მაღალი არამდგრადობით გამოირჩევიან, განიცდიან ძლიერ მადესტაბილიზირებელ ფაქტორების ზემოქმედებას.

მიუხედავად იმისა, რომ, ამჟამად კარგადაა შესამჩნევი ლოკალური კლიმატის ანთროპოგენური ცვლილებები, დღეისათვის არაა შეფასებული, თუ კლიმატის შემქმნელი პროცესების ელემენტების რა დონის ცვლილებებია საკმარისი, ამა თუ იმ მასშტაბის კლიმატზე ზემოქმედებისათვის. ჩვენთან, ამ საკითხის შესწავლას, აქამდე, მცირე ყურადღება ეთმობოდა და იგი განიხილებოდა მხოლოდ ზოგადად, გლობალური და მაკრომასშტაბური პროცესების შესწავლის კონტექსტში. ვინაიდან სპეციალური ექსპერიმენტების ჩატარება ვერ მოხერხდა, გადავწყვიტეთ, გაგვეხილა რიგი მეტეოროლოგიური ელემენტის საშუალო წლიური მნიშვნელობების ცვალებადობა დროის საკმაოდ დიდ პერიოდში (1971–1990წწ), რომელიც მოიცავს როგორც წყალსაცავის არსებობას ამ რეგიონში (1981–1990წწ), ასევე პერიოდს მის აშენებამდე (1971–1980წწ).

მეტეოროლოგიური პარამეტრების მრავალწლიური სვლის სტატისტიკურ შეფასებებთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტისას, მიღებული ინფორმაციის შესაბამისობა რეალურად არსებულთან, დაკვირვების სადგურების სწორი შერჩევითაა განსაზღვრული.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს და, მთლიანად, კავკასიის ტერიტორიის ინდივიდუალურ თავისებურებებს, უკანასკნელი პირობა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საკვლევ რეგიონში გლობალური და რეგიონული დონეების მეტეოროლოგიური სადგურების განლაგების შერჩევისას.

აქედან გამომდინარე, მდ. ენგურის აუზში შევარჩიეთ გარემოს ეროვნული სააგენტოს ქსელის 5 მეტეოროლოგიური სადგური: – ზუგდიდი, გალი, ჯვარი, ხაიში და მესტია, ხოლო მეტეოროლოგიური პარამეტრებიდან: ჰაერისა და ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურები; ფარდობითი ტენიანობა; ატმოსფერული ნალექები; ქარის მიმართულება და სიჩქარე.

სადგურების ასეთ ფართო დიაპაზონში შერჩევა საშუალებას მოგვცემდა გამოგვეყო მეზოკლიმატურ ფონზე მიკროკლიმატური მოვლენები, რომლებიც განპირობებული იქნებოდა ადგილობრივი ეფექტების, კერძოდ, ჯვრის წყალსაცავის გავლენით. გარდა ამისა, განსახილველი პერიოდის მეტეოელემენტების საშუალო წლიური მნიშვნელობების ნორმირება ამ ელემენტების ნორმებად მიღებულ მნიშვნელობებზე კლიმატური ცნობარებიდან, როგორც ეს ჩემს მიერ შემუშავებულ ფორმულა (1)-შია მოცემული, რიგი პირობებით გამოწვეული მონაცემთა არაერთგვაროვნების აღმოფხვრისა და მიღებული შედეგების უფრო თვალსაჩინოდ და დასაბუთებულად წარმოდგენის საშუალებას იძლევა [1, 4]:

$$K_{ij} = \frac{\square q_{ij}}{\square q_{ai}}, \qquad (1)$$

სადაც K_{ij} – საკვლევ j-პუნქტზე, i -მეტეოელემენტის ნორმირებული კლიმატური მახასიათებელია, $\square q_{ij}$ ამ პუნქტზე, შესაბამისი მეტეოელემენტის საშუალო წლიური მნიშვნელობა, ხოლო $\square q_{ai}$ – მოცემულ პუნქტზე i - მეტეოელემენტის საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობაა.

ამ ფორმულის დახმარებით მიღებულ მონაცემებს შემთხვევითი რხევებისკენ ნაკლები მიდრეკილება გააჩნია, ხოლო კვლევის შედეგები მაღალი საიმედობით ხასიათდება. გარდა ამისა, უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით, მეტეოპარამეტრების საშუალო წლიური მნიშვნელობათა ცვლიებების გამომსახველი წრფის განტოლებისა და ამ ცვლილებათა ტენდენციების განსაზღვრა არის შესაძლებელი. ამასთან, უკანასკნელის გამოსათვლელ ფორმულას, რომელიც ხუთწლიან ციკლში პირველ წელთან შედარებით ბოლო წლის ცვლილების შეფასების საშუალებას იძლევა, შეიძლება შემდეგი სახე მივცეთ [1]:

$$M = \frac{1}{10K_1}\,[(2K_5 + K_4) - (2K_1 + K_2)]\cdot 100\%, \quad (2)$$

სადაც M – მოცემული მეტეოპარამეტრის ნორმირებული მახასიათებლების საშუალო წლიური მნიშვნელობათა ცვლილებების ტენდენციაა, პროცენტებში, ხოლო $_1$ – $_5$ – მათი ნორმირებული საშუალო წლიური მნიშვნელობებია 1 - მე-5-ე წლებში.

ჩვენს მიერ შემუშავებული, ზემოაღნიშნული მიდგომით შესრულებული კვლევის შედეგები მეტყველებენ წყალსაცავის მნიშვნელოვან, არაერთგვაროვან გავლენაზე მიმდებარე ტერიტორიის ეკო-ტექნოგენურ დატვირთვაზე. მაგალითად, ნახ.1-ის გრაფიკებზე ნაჩვენებია ჰაერის საშუალო წლიური ნორმირებული ტემპერატურების განაწილება განსახილველ პუნქტებზე. როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, 1971–1980წწ პერიოდში, მიუხედავად ცალკეულ წლებში მათი საშუალო წლიური მნიშვნელობების ნორმიდან შესამჩნევად გადახრისა, მთლიანად თავიანთი ნორმების ფარგლებშია. ხოლო 1981 წლიდან მესტიასა და ხაიშში შეინიშნება საშუალო წლიური ტემპერატურის საკმაოდ შესამჩნევი გადახრები ნორმიდან. დანარჩენ პუნქტებზე კი, საერთო ტენდენცია ინარჩუნებს თავის პირველად სვლას. ამასთან, 1981–1990წწ პერიოდში მესტიაში აღინიშნება ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა, დაახლოებით, 10%-ით, ხოლო ხაიშში შეიმჩნევა ამ მაჩვენებლის ცვლილების ტენდენცია შემცირებისკენ, დაახლოებით, 5 %-ით. მიწის ზედაპირის ფენის ტემპერატურაზე დაკვირვებათა მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზუგდიდსა და გალში, მათი საშუალო მრავალწლიური სიდიდეები განსახილველ პერიოდში, პრაქტიკულად, თავიანთ ნორმებს შეესაბამებიან. დანარჩენ სამ პუნქტზე კი, ეს ელემენტი შესამჩნევ ცვლილებებს განიცდის. მაგალითად, 1981–1990წწ მისი ნორმირებული

მნიშვნელობების წლიური ცვალებადობის ამპლიტუდა მკვეთრად მატულობს, ხოლო მათი აბსოლუტური მნიშვნელობები შემცირებას განიცდიან.



ნახ.1. ჰაერის ნორმირებული საშუალო წლიური ტემპერატურის განაწილება წლების მიხედვით

გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ 1981–1990წწ განმავლობაში, 1971–1980წწ შედარებით, მიწის ზედაპირის ტემპერატურა მესტიაში, ხაიშსა და ჯვარში შემცირდა, შესაბამისად, დაახლოებით, 2, 10 და 4 %-ით. თავიანთ ნორმებთან შედარებით ეს ცვლილებები უფრო მნიშვნელოვან სიდიდეებს აღწევენ.

ატმოსფერული ჰაერის ტენიანობის ცვლილებების კვლევის მიზნით, ჩვენს მიერ იქნა გათვლილი და გაანალიზებული საკვლევ პერიოდში ფარდობით ტენიანობაზე ჩატარებული დაკვირვებათა მასალა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ გალში ეს პარამეტრი მოცემულ პერიოდში არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს. ხოლო დანარჩენ პუნქტებზე მას აქვს ზრდის ტენდენცია - ზუგდიდში, ხაიშსა და მესტიაში, საშუალოდ, 3 %-ით. განსაკუთრებით თვალნათლივ ეს გამოიხატება 1981–1990 წლების პერიოდში. ჯვარში აღნიშნული ტენდენცია უფრო მკაფიოდაა გამოხატული და უდრის 10%-ს, რაც, უთუოდ, გამოწვეულია წყალსაცავის სიახლოვით, საიდანაც ნოტიო ჰაერი გამოედინება, აქ გაბატონებული, ჩრდილოეთის მიმართულების ქარების მეშვეობით. აღნიშნულთან ერთად, მოსული ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური მნიშვნელობების ცვალებადობის ტენდენციის დეტალური კვლევის შედეგად, ძირითადად, მთელს განსახილველ რეგიონში აღნიშნულია ამ ელემენტის მატების ტენდენცია მოცემული პერიოდის 20 წლის განმავლობაში. მათ შორის, მესტიასა და ჯვარში, 5 %-ით, ხოლო ზუგდიდსა და გალში, საშუალოდ, 15 %-ით.

წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატისა და მეტეოროლოგიური რეჟიმის შესწავლისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სითბური ბალანსის შემადგენელი ნაწილების ცვლილებების კანონზომიერების დადგენას. ამან განაპირობა ის, რომ საკვლევ რეგიონში ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილებების გათვალისწინებით, სამეცნიერო შრომებში [4,5,6], მიღებული შედეგების გამოყენებით, იქნა გაანგარიშებული ქვეფენილი ზედაპირის სითბური ბალანსის ცალკეული მდგენელები, როგორც ჯვრის წყალსაცავის არსებობის პირობებში, ისე მის აშენებამდე. კვლევის შედეგები ცხადყოფენ, რომ, წყალსაცავის შექმნით $15კმ^2$ ფართობზე, მკვეთრად მცირდება ქვეფენილი ზედაპირის ალბედო, საშუალოდ, დაახლოებით, 50 %-ით. ხოლო ქვეფენილი ზედაპირის ტემპერატურისა (შემცირება, საშუალოდ, 15 %-ით) და წყლის ორთქლის დრეკადობის (მატება, საშუალოდ, 8 %-ით წელიწადში) ერთობლივი ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედება იწვევს წყალსაცავის ზედაპირის ეფექტური გამოსხივების შემცირებას, დაახლოებით, 2 %-ით წელიწადში და წყალსაცავის ზედაპირის რადიაციული ბალანსის მატებას, დაახლოებით, 15–25 %-ით. გამოთვლები, აგრეთვე, ცხადყოფენ, რომ ამ მეტეოელემენტის მნიშვნელობები წელიწადის სხვადასხვა პერიოდებში, მკვეთრად განსხვავდებიან. მაგალითად, ზამთრის პერიოდში, წყალსაცავის შექმნის შემდეგ, ამ

ტერიტორიაზე რადიაციული ბალანსის მნიშვნელობა მატულობს, საშუალოდ, 90%-ით, გარდამავალ პერიოდებში – 40 %-ით, ზაფხულში, დაახლოებით, 20 %-ით, ხოლო მთელი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 30 %-ით. ეს სიდიდეები წარმოადგენენ, საკმაოდ მაღალ რიცხვებს და წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის მეტეოროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების არსებობაზე მეტყველებენ.

დასკვნა

ამრიგად, ეკოლოგიური უსაფრთხოების სისტემა – კანონმდებლობის, ტექნიკური, მმართველობითი, გეოფიზიკური და ჰიდრომეტეოროლოგიურიი ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომლებიც მიმართული არიან მდგრადი განვითარების მისაღწევად.
იგი მიიღწევა ღონისძიებათა სისტემით (პროგნოზირება, დაგეგმარება, მმართველობა და სხ.), რომლებიც, მრეწველობის, კომუნიკაციების, სოფლის მეურნეობის განვითარების საკმარისი ტემპების შენარჩუნებასთან ერთად, ადამიანზე და ბუნებრივ გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების მინიმალურ დონეს უზრუნველყოფენ.

ჯვრის წყალსაცავის გავლენით, ჩვენ გვაქვს ჰაერისა და ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურების, ტენიანობის და რადიაციული რეჟიმების მკვეთრი ცვლილებები. მათი შედეგები, გლობალური ეფექტებისაგან განსხვავებით, შედარებით სწრაფად აისახებიან შესაბამის მასშტაბის კლიმატზე და უკვე ამ ცვლილებებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტები ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთებას იწვევენ. ჩატარებული კვლევები გვიჩვენებენ, რომ აღნიშნულ ცვლილებებს აქვთ მატების ტენდენცია. უდავოა, რომ საკვლევ რაიონში წყალსაცავების ახალი კასკადების აგება გამოიწვევს ადგილობრივი მიკროკლიმატის უფრო ფართომასშტაბურ ნეგატიურ ცვლილებებს, რომლებმაც შესაძლოა იქონიონ შეუქცევადი ხასიათი.

გლობალური კლიმატის ცვლილების შეფასებებში ამ ეფექტების უგულებელყოფა მნიშვნელოვან უზუსტობას იწვევს და მცდარი დასკვნების მიზეზი ხდება.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გუნია გ. ატმოსფეროს ეკოლოგიური მონიტორინგის მეტეოროლოგიური ასპექტები. - თბ., საქ.მეცნ.აკად., ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, 2005, 265გვ.
2. გუნია გ., სვანიძე ზ., გერსამია ა. - ეკოლოგიური პრობლემები საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების პირობებში. ვ.ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2013, №5(84), გვ.220-222.
3. Gunia G.S., Tskvitinidze Z.I. - Features of Influence of Water Basins in Mountain Regions on Microclimate of Adjoining Areas on the Background of Modern Effects of Global Climate Change – In: Proceedings of the 10-th Baku International Congress “Energy, Ecology, Economy”, Baku, Azerbaijan Republic – 23-25 September, 2009, pp. 218-223.
4. Гуния Г.С. Вопросы мониторинга загрязнения атмосферного воздуха на территории Грузинской ССР. - Л., Гидрометеоиздат, 1985,84 с.
5. Рекомендации по расчёту изменении температуры и влажности воздуха на побережье водоёмов. 1981, - Л., ГГО, 16 стр.
6. Русин Н. П. Прикладная актинометрия. Л., Гидрометеоиздат, 1979, 235 стр.

ეკოლოგიური პრობლემები ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების პირობებში

გ. გუნია

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია მდგრადი ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხების დამუშავების შედეგები. გამოთქმულია აზრი, რომ საქართველოს ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის პირობებში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დაკმაყოფილდეს საერთაშორისო ვალდებულებებითა და ქვეყნის

კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში, რაც მნიშვნელოვანი გარანტიაა საყოველთაოდ მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების გასატარებლად ცხოვრებაში. მოცემულია, რომ "მდგრადი განვითარება" არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას.

ჩატარებული კვლევები მიუთითებენ ხელოვნური წყალსაცავების გავლენაზე მათ მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე. ამასთან, ნაჩვენებია, რომ მდ.ენგურის აუზში მდებარე, ჯვრის წყალსაცავის გავლენა მიმდებარე ტერიტორიის რიგი მეტეოროლოგიური პარამეტრის მნიშვნელოვანი ცვლილებებით გამოიხატება. გამოთქმულია აზრი, რომ საკვლევ რაიონში წყალსაცავების ახალი კასკადების აგება გამოიწვევს ადგილობრივი მიკროკლიმატის უფრო ფართომასშტაბურ ნეგატიურ ცვლილებებს, რომლებმაც შესაძლოა შეუქცევადი ხასიათი იქონიონ.

ОБ ЭКОЛОГИЧЕСКИХ ПРОБЛЕМАХ В УСЛОВИЯХ УСТОЙЧИВОГО ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ СТРАНЫ

Гуния Г.С.

Резюме

В статье представлены некоторые результаты проработки концептуальных вопросов устойчивого экономического развития страны, с учетом современных экологических проблем.

Показано, что в современных условиях Грузии, прежде всего, необходимо удовлетворение требований, установленных международными обязательствами и государственным законодательством в сфере охраны природной среды, что является значительной гарантией проведения в жизнь общепринятых принципов устойчивого экономического развития страны.

При этом принято, что «Устойчивое развитие» это такая система, которая совмещением интересов экономического развития общества и охраны природы обеспечивает рост качества уровня жизни населения. Кроме того показано, что в бассейне реки Ингури, полностью охватывающей территорию с очень сложной орографией, под влиянием Джварского водохранилища отмечаются заметные изменения ряда метеорологических параметров. Указанные изменения имеют тенденцию роста и при строительстве новых каскадов водохранилищ, могут вызвать необратимые процессы негативных крупномасштабных изменений местного климата.

ABOUT ENVIRONMENTAL PROBLEMS IN THE CONDITIONS OF SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY

Gunia G.

Summary

This article presents some of the results of the elaboration of the conceptual issues of the sustainable development of the country, in the light of modern environmental problems.

It is shown that in modern conditions of Georgia, first of all, **you** need to meet the requirements established by national legislation and international commitments in the sphere of protection of the natural environment, which is a significant guarantee for the implementation of the generally accepted principles of sustainable economic development of the country. "Sustainable development" is a system that reconciling the interests of economic development of society and nature protection provides the quality growth of the standard of living of the population. In addition, it is shown that in the basin of the river Inguri, completely covering the very complex orography**,** under the influence of Dzhvari water reservoir there are noticeable changes in the average annual values of meteorological parameters. These changes have a tendency of growth and in the construction of new reservoirs, can cause irreversible negative processes of large-scale changes in the local climate.

ЗНАЧЕНИЕ АНТРОПОГЕННЫХ ФАКТОРОВ НА ФОРМИРОВАНИЕ СУКЦЕССИЙ ГОРНЫХ ФИТОЦЕНОЗОВ

Салуквадзе Е.Д., Иванишвили Н.И*., Гогебашвили М.Э*.

Институт географии им.В.Багратиони тбилисского государственного
университета им.Ив.Джавахишвили, Тбилиси, Грузия
*Институт радиологии и экологии грузинского аграрного университета, Тбилиси, Грузия

Антропогенное воздействие, значительно усилившееся в последние десятилетия, привело к серьезной трансформации растительного покрова, деградации или уничтожению многих коренных зональных сообществ, замене их на вторичные фитоценозы, упрощению ярусной структуры и падению биологической продуктивности всей экосистемы. [1,2]. При антропогенном загрязнении биосферы нарушаются не только естественно сложившиеся фитоценозы, но и нормальные процессы органогенеза, появляются специфические тератологические изменения у растений различных систематических групп [3]. Существенную опасность представляет также отсутствие каких-либо визуальных признаков поражения растений при опасных уровнях воздействия различных физико-химических факторов [3,4]. При этом пагубное воздействие на фитоценозы становиться явным только тогда когда принятие эффективных мер предотвращения уже невозможно. Известно, что многие фитоценозы испытывают значительную антропогенную нагрузку, в основном вблизи дорог, в зоне влияния промышленных предприятий, вблизи населённых пунктов и.т.д. и влияние различных факторов здесь часто перекрывает допустимые нормы [5,6]. В связи с этим особую актуальность приобретают исследования, направленные на изучение последствий загрязнения окружающей среды на растительную компоненту экосистем и возможности диагностики последствий этого воздействия.

Среди многочисленных форм антропогенных воздействий значительное место занимает возросшая в последнее время нагрузка на экосистемы различных физико-химических факторов [3,7]. Выявление и количественный учет таких факторов, способных инициировать процессы, ухудшающие экологическое состояние биоценозов природных экосистем, является базовой фундаментальной проблемой экологической науки. Вместе с тем изучение многих аспектов воздействия таких факторов сопряжено с определенными методологическими трудностями, так как весь процесс занимает многие месяцы, годы и даже столетия. К таким процессам относится сукцессия фитоценозов. Еще более затрудняет исследование воздействия антропогенных факторов физико-химической природы при изучении горных фитоценозов, где антропогенная форма сукцессии часто прерывается катастрофической сукцессией [8,9,10,11]. Исходя из вышеизложенного, целью наших исследований является изучение специфических особенностей формирования сукцессий в условиях горных фитоценозов.

Объект и методы исследований

Объектом исследований служили многолетние древесные (*Quercus iberica,L., Fagus orientalis Lipsky*) и модельные однолетние растения (*Helianthus annus L., Glycine max L).* При проведении экспериментального полевого мониторинга был использован дерновый покров, который перед высадкой в природные условия, выращивался в условиях хронического гамма-облучения (4-5 сГр). Модельные растения при изучении интенсивности потребления влаги и глубины залегания корневой системы облучали гамма-радиацией (источником излучения служил изотоп ^{137}Cs) в интервале доз до 100Гр. Уровень транспирации определяли общепринятым методом [12]. При исследовании действия тяжелых металлов была использована водная аэрозоль ионов свинца и меди в концентрации до 10 мг/л.

Результаты и обсуждение.

Известно, что фитоценоз как биологическая система не может существовать вечно и рано или поздно он сменяется другим фитоценозом. При этом не исключено что до того времени уничтожается

1. კუტალაძე ნ., მეგრელიძე ლ., დეკანოზიშვილი ნ., ელიზბარაშვილი მ., 2011: ექსტრემალური კლიმატური მოვლენების ცვლილებების სამომავლო სცენარები საქართველოს პირობებისთვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 117, თბილისი, გვ. 64-66.
2. Alexander, L.V., X. Zhang, T.C. Peterson, J. Caesar, B. Gleason, A.M.G. Klein Tank, M. Haylock, D. Collins, B. Trewin, F. Rahimzadeh, A. Tagipour, P. Ambenje, K. Rupa Kumar, J. Revadekar and G. Griffiths, 2006: Global observed changes in daily climate extremes of temperature and precipitation. *J. Geophys. Res.*, 111 (D05109), DOI:10.1029/2005JD006290.
3. Gilleland, E. and Katz, R.W., 2006: Analyzing seasonal to interannual extreme weather and climate variability with the Extremes Toolkit (extRemes). Preprints: 18th Conference on Climate Variability and Change, 86th *American Meteorological Society* (AMS) Annual Meeting, 29 January–2 February 2006, Atlanta, Georgia. P2.15.
4. Wijngaard, J.B., A.M.G. Klein Tank and G.P. Können, 2003: Homogeneity of 20th century European daily temperature and precipitation series. *Int. J. Climatol.*, 23, 679–692.

კლიმატური ექსტრემუმების მიმდინარე ცვლილების ტენდენციების დადგენა საქართველოში კლიმატის ცვლილების ინდიკატორების გამოყენებით.

მეგრელიძე ლ. ქართველიშვილი ლ.

რეზიუმე

საქართველოში კლიმატის მიმდინარე ცვლილების შეფასების მიზნით საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის 20 სადგურის უკანასკნელი 50-წლიანი პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა კლიმატური ელემენტების ექსტრემალური მნიშვნელობების სტატისტიკური ანალიზი. გამოთვლილი იქნა ექსტრემალური კლიმატური ინდექსები და სხვადასხვა უზრუნველყოფის ტემპერატურული სიდიდეები, რომელთა საშუალებითაც დადგენილი იქნა ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ექსტრემალური მნიშვნელობების სიდიდის, სიხშირისა და ინტენსივობის ცვლილების კანონზომიერებები წლიური და სეზონური მნიშვნელობის მიხედვით. მიღებული შედეგების საიმედოობის გაზრდის მიზნით აღნიშნული პარამეტრები შეფასებული იქნა ორი მეთოდით, თითოეული პარამეტრისათვის გამოვლენილი იქნა წრფივი ტრენდები, შეფასებებული იქნა მათი სტატისტიკური საიმედოობა და ასევე, განხორციელდა ორი 25-წლიანი პერიოდის შესაბამისი მნიშვნელობების შედარება.

Assessment of Climate Extremes Current Tendencies in Georgia Revealed by Climate Change Indicators.

Megrelidze L., Qartvelishvili L.

Abstract

For the assessment of current climate change in Georgia climate extremes statistical analysis has been done based on the last 50-yaers period data of Georgian hydrometeorological network 20 stations. Extreme climate indices as well temperature return values have been calculated and regularities of annual and seasonal tendencies of air temperature and atmospheric precipitation extremes magnitude, frequency and intensity have been defined. For the improvement of reliability of the obtained results the mentioned parameters have been estimated by two methods, for each parameter linear trends has been revealed and their statistical significance has been estimated as well comparison of two 25-years periods corresponding values has been carried out.

Оценка текущих тенденций климатических экстремумов в Грузии выявленная индикаторами изменения климата.

Мегрелидзе Л. Картвелишвили Л.

Резюме

Для оценки текущего изменения климата в Грузии был проведен статистический анализ экстремальных климатических значений на основе данных последнего 50-летнего периода 20 станций Грузинской гидрометеорологической сети. Были рассчитаны экстремальные климатические индексы, также как значения температур различной вероятности и определены закономерности тенденций годовых и сезонных величин, частоты и интенсивности температуры атмосферного воздуха и осадков. Для повышения надежности полученных результатов указанные параметры были оценены двумя способами, для каждого параметра были выявлены линейные тренды и оценена их статистическая значимость также как было проведено сравнение соответствующих значений двух 25-летних периодов.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოთა აღდგენის საკითხისათვის

ბერიტაშვილი ბ.შ., კაპანაძე ნ.ი., ცინცაძე თ.ნ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

სტიქიურ კლიმატურ მოვლენებს შორის გვალვას გამორჩეული ადგილი უჭირავს. ეს განპირობებულია ამ კატასტროფული მოვლენის როგორც ფართო მასშტაბებით, ისე მისი ხანგრძლივობითაც. ისტორიაში ცნობილია ფაქტები, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გამეფებულ გვალვებს ცივილიზაციების ნგრევა მოჰყოლია (მაიას ცივილიზაცია ცენტრალურ ამერიკაში, შუამდინარეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ანგკორის ცივილიზაციები). ტექნოლოგიების განვითარების ამჟამინდელ პერიოდშიც კი გვალვა სერიოზულ პრობლემებს უქმნის დიდ რეგიონებს აფრიკის, ავსტრალიისა და ჩრდილო ამერიკის კონტინენტებზე.

შავი ზღვისა და კავკასიონის მძლავრი მთიანი სისტემის სიახლოვის გამო საქართველო, საბედნიეროდ, ასეთი დამანგრეველი გვალვებისაგან დაცულია, თუმცა აქაც ზოგჯერ ადგილი აქვს 1-2 თვის ხანგრძლივობის გვალვებს დასავლეთ საქართველოში და 3 თვემდე გაგრძელებულ გვალვას აღმოსავლეთ საქართველოში [1,2].

როგორც ცნობილია, გვალვას იწვევს რამდენიმე კვირის და მეტი ხნის მანძილზე გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში ატმოსფერული ნალექების არარსებობა ან მათი უმნიშვნელო რაოდენობა. ეს განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდში, თუმცა მეტად უარყოფითი შედეგები მოაქვს ზამთრის გვალვასაც, რომლის დროსაც არ ხდება ტენის დაგროვება მიწაში, თოვლის საფარს მოკლებული ნიადაგის ზედა ფენა იყინება ან ძლიერი ქარის დროს განიცდის ქარისმიერ ეროზიას. ამავე დროს, გაზაფხულზე არ ხდება წყალსატევების შევსება გამდნარი თოვლით, რაც ამცირებს მათ საირიგაციო და ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს.

გვალვის შედეგებთან საბრძოლველად ადამიანი უხსოვარი დროიდან წვიმიან პერიოდში აგროვებდა წყალს ხელმისაწვდომ რეზერვუარებში და შემდგომში იყენებდა მას გვალვის შედეგების შესარბილებლად. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, ამ ტრადიციულ ტექნოლოგიასთან ერთად, მთელ რიგ ქვეყნებში დაიწყო ნალექთა ხელოვნური გაზრდის (ნხგ) ტექნოლოგიის დანერგვა, რომელიც ემყარება ღრუბლებში მიმდინარე ნალექწარმომქმნელ პროცესებზე ხელოვნურ ზემოქმედებას, ანუ ამ პროცესების მოდიფიკაციას.

საქართველოში ნალექთა ხელოვნური გაზრდის გზები სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოებთან შედარებით მოგვიანებით დაიწყო. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საკავშირო მასშტაბით მევენახეობისა და მეღვინეობის წამყვან რესპუბლიკაში, ვაზის კულტურისათვის მიყენებული ზარალის გათვალისწინებით, 1960-იანი წლებიდან სეტყვასთან ბრძოლა პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა მიჩნეული. თუმცა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისთვის მიყენებული ზარალის მხედველობაში მიღებით, 1970-იანი წლების მეორე ნახევარში ჩვენში სათანადო ყურადღება ნხგ სამუშაოებსაც დაეთმო. კერძოდ, 1977 წელს აკად. გ. სვანიძის ინიციატივით რესპუბლიკაში მიღებულ იქნა სამთავრობო დადგენილება, რომლის თანახმად სეტყვასთან ბრძოლის გასამხედროებულ სამსახურს დაევალა ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობით სიონის წყალსაცავის აუზში ნალექთა ხელოვნური გაზრდის საცდელ-საწარმოო სამუშაოთა ჩატარება. ეს გადაწყვეტილება გარკვეულწილად გამყარებული იყო იმითაც, რომ 1973 წლიდან ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით, სევანის ტბის აუზში დაიწყო ნალექთა ხელოვნური გაზრდის საკავშირო პროექტის განხორციელება, რომლის შესრულება დაევალა საბჭოთა კავშირში ამ დარგის წამყვან სამეცნიერო ორგანიზაციებს.

სიონის წყალსაცავის აუზში მოწყობილ იორის პოლიგონზე 1990 წლამდე წლის თბილ პერიოდში, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში შემუშავებული მეთოდიკის საფუძველზე, სისტემატურად წარმოებდა ზემოქმედება კონვექციურ ღრუბლებზე მათგან დამატებითი ნალექის მისაღებად.

ანალოგიური სამუშაოები ტარდებოდა ფარავნის ტბის აუზში და გასამხედროებული სამსახურის ყველა ქვედანაყოფში. გარდა ამისა, წლის ცივ პერიოდში ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი თვითმფრინავის გამოყენებით ფენა ღრუბლებიდან ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოებს ატარებდა სევანის ტბის აუზში.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს რელიეფი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოთა ეფექტური წარმოებისთვის. ხეობები და ტაფობები მათში განლაგებული ტბებითა და წყალსაცავებით საშუალებას იძლევა დამატებითი ნალექი წლის ნებისმიერ დროს იქნას აკუმულირებული და სხვადასხვა მიზნებისთვის გამოყენებული.

საქართველოს 11 ძირითადი წყალსაცავიდან 8 აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს (ცხრ.1.)

ცხრილი 1. საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში არსებული მთავარი წყალსატევები [3,4]

№	წყალსაცავის დასახელება	მდინარე	მოცულობა, მლნ.მ^3	სარკის ფართობი, კმ^2	წყალშემკრების ფართობი, კმ^2	გამოყენება
1	ზონკარის	პატ.ლიახვი	40.0	1.4	86	ი,თ,რ,წ.
2	ჟინვალის	არაგვი	520	11.5	1900	ე,ი,წ,თ,რ,კ.
3	სიონის	იორი	325	14.4	587	ე,ი,წ,თ,რ.
4	ბირკიანის	ალაზანი	175	12.0	282	ი,თ,წ,რ.
5	თბილისის (სამგორის)	იორი, არაგვი	308	11.8	439	ი,კ,თ,რ.
6	დალის	იორი	140	8.0	4556	ი,თ.
7	წალკის	ქცია-ხრამი	312	34.0	1080	ე,წ,თ,რ.
8	ალგეთის	ალგეთი	65	2.3	450	ი,თ,რ.
9	ფარავნის ტბა	ფარავანი	90.8	37.5	530	თ,ე.
10	საღამოს ტბა	ფარავანი	7.7	4.8		ე.

პირობითი აღნიშვნები: (ი)-ირიგაცია, (ე)-ენერგეტიკა, (წ)–წყალმოვარდნის პრევენცია, (თ)-მეთევზეობა, (კ)-კომუნალური წყალმომარაგება, (რ)-რეკრეაცია.

თუ ამას დავუმატებთ ფარავნის ტბასაც მის მიმდებარე საღამოს ტბასთან ერთად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველო საკმაო პოტენციალს ფლობს ხელოვნური ნალექების დასაგროვებლად მდინარეების ლიახვის, არაგვის, ფარავნის, ხრამის, ალგეთის, ალაზნისა და იორის აუზებში (ნახ.1).



ნახ.1 აღმოსავლეთ საქართველოს წყალსატევები და მათი წყალშემკრები აუზები (ნუმერაცია იხ. ცხრ.1)

იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთ საქართველოში ნალექთა წლიური რაოდენობა (ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე 1300-1500 მმ) 2-3-ჯერ აღემატება აღმოსავლეთ საქართველოს იმავე მაჩვენებელს (500-600 მმ), დასავლეთ საქართველოში გარემოს

ზედმეტი დატენიანების თავიდან ასაცილებლად ნხგ სამუშაოთა ჩატარება ამ რეგიონში მიზანშეწონილად არ უნდა ჩაითვალოს. სამაგიეროდ, აღმოსავლეთში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურები სავეგეტაციო პერიოდში განიცდის წყლის დეფიციტს (რომელიც გვალვიან პერიოდში კატასტროფულ ხასიათს ღებულობს), ნხგ სამუშაოთა წარმოება დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. გარდა ამისა, ამ პირობებში ფერმერს ექმნება თავისი შრომის დაცულობის გრძნობა, რაც სტიმულს იძლევა წარმოების გასაფართოებლად და ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. რასაკვირველია, ყოველივე ეს გამართლებულია მხოლოდ მოწესრიგებული და ოპტიმალურად აგებული საირიგაციო სისტემის არსებობის პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს ხელოვნურად მიღებული დამატებითი წყლის რესურსის რაციონალურად გამოყენებას. ამ რესურსების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მოხმარება კიდევ უფრო ამაღლებს ნხგ სამუშაოთა ეკონომიკურ ეფექტურობას.

1990-იანი წლების დასაწყისიდან ნალექთა ხელოვნური გაზრდის, ისევე როგორც სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოები, საქართველოში შეწყდა. 80-იან წლებში სიონის წყალსაცავისა და ფარავნის ტბის აუზებში ჩატარებული ნხგ სამუშაოების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ ამ საცდელი ტერიტორიების საკმაოდ განსხვავებულ კლიმატურ პირობებში წლის თბილ პერიოდში კონვექციურ ღრუბლებზე ზემოქმედების შედეგად შესაძლებელია ნალექთა სეზონური ჯამების გაზრდა 10-30%-ით და ეკონომიკური ეფექტურობის (რენტაბელობის) მიღწევა 1:5-დან 1:10-მდე.

ამვე დროს აღსანიშნავია, რომ ნხგ დარგში აღმოსავლეთ საქართველოს პოტენციალის გათვალისწინებით, ხსენებულ ათწლედში ჩატარებული ნხგ სამუშაოები მხოლოდ საწყის ფაზად, ანუ „საპილოტო პროექტად“ შეიძლება ჩაითვალოს [5]. ამის საფუძველს იძლევა შემდეგი მოსაზრებები:

- საცდელ-საწარმოო სამუშაოებით მოცული იყო მხოლოდ 2 წყალსატევის და, შესაბამისად, 2 მდინარის (იორი და ფარავანი) აუზი;
- ზემოქმედება წარმოებდა მხოლოდ წლის თბილ პერიოდში კონვექციურ ღრუბლებზე და არ მოიცავდა ცივი პერიოდის ფენა-გროვა საღრუბლო სისტემებს, რომლებიც წყლის დიდ მარაგს შეიცავს;
- კონვექციურ ღრუბლებზე ზემოქმედებისთვის გამოიყენებოდა ოპერაციების მართვისა და კონტროლის ამჟამად მოძველებული ტექნოლოგიები, რომელთა შეცვლა კომპიუტერიზებული სისტემებით არსებითად აამაღლებს ზემოქმედების ეფექტურობას;
- ზამთრის საღრუბლო სისტემებზე ზემოქმედებისთვის მიწისპირა სააეროზოლო კომპლექსების გამოყენება საგრძნობ წვლილს შეიტანს მთებში თოვლის მარაგის გაზრდაში და შესაბამისი წყალსაცავების საირიგაციო და ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ამაღლებაში;
- ზამთრის საღრუბლო სისტემებზე ზემოქმედებისთვის თვითმფრინავის გამოყენება შესაძლებელს გახდის გაიზარდოს თოვლის საფარი აღმოსავლეთ საქართველოს ვაკე რაიონებში, რაც გააუმჯობესებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოზამთრების პირობებს და უზრუნველყოფს გაზაფხულზე ნიადაგს დამატებითი ტენით;
- წლის თბილ პერიოდში ნხგ პროგრამით ზემოქმედების ჩატარება კონვექციურ ღრუბლებზე გარკვეულ წვლილს შეიტანს სეტყვისაგან ტერიტორიების დაცვაში, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ნალექის მომცემი ზემოქმედებაქმნილი ღრუბელი აღარ გადადის სეტყვასაშიშ სტადიაში და იშლება დისიპაციის ბუნებრივი პროცესის შედეგად.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები იძლევა საფუძველს დაისვას საკითხი აღმოსავლეთ საქართველოში ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოთა თანამედროვე დონეზე აღდგენის შესახებ, რის ზოგად დასაბუთებასაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. არველაძე ღ. გვალვების განვითარების კომპლექსური შეფასებისათვის. ჰმი შრომათა კრებული, 2002, ტ. 107, გვ. 89-93.

2. ბეგალიშვილი ნ.ა., ცინცაძე თ. და სხვ. საქართველოს ტერიტორიის დარაიონება გვალვის ინტენსივობის შეფასების საფუძველზე. ჰმი შრომათა კრებული, 2008, ტ.115, გვ. 808-312.
3. Водные ресурсы Закавказья. т. 9, вып. 1. Под редакцией В.Ш. Цомая. Л., Гидрометеоиздат, 1974, с.529-565.
4. ხმალაძე გ. საქართველოს წყლის რესურსები. თსუ, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2009.
5. სვანიძე გ., ბეგალიშვილი ნ., ბერიტაშვილი ბ. აღმოსავლეთ საქარველოში ნალექთა ხელოვნური გაზრდის პროექტის შესრულების შედეგები. თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული. „მეცნიერება“, თბილისი, 1997, გვ. 51-58.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოთა აღდგენის საკითხისათვის

ბ. ბერიტაშვილი, ნ. კაპანაძე, თ. ცინცაძე

რეზიუმე

მოკლედ განხილულია აღმოსავლეთ საქართველოში ნალექთა ხელოვნური გაზრდის (ნხგ) სამუშაოთა განვითარების ისტორია. აღნიშნულია ამ სამუშაოთა გაშლის საქმეში 1977 წელს იორის პოლიგონის ორგანიზაციის გადამწყვეტი როლი. მოყვანილია 1979-1990 წლებში ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით წარმოებულ სამუშაოთა ეფექტურობის მონაცემები. ნაჩვენებია ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობა მდ. ლიახვზე, არაგვზე, ხრამზე, ალგეთზე, ალაზანსა და იორზე არსებული წყალსაცავებისა და ფარავნის ტბის აუზებში, აგრეთვე ვაკე რაიონებში სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტების, ავიაციისა და მიწისპირა სააეროზოლო გენერატორების გამოყენებით ნხგ სამუშაოთა გაშლის ხარჯზე.

ON THE REHABILITATION OF PRECIPITATION ENHANCEMENT ACTIVITIES IN EAST GEORGIA.

B.Beritashvili, N. Kapanadze, T. Tsintsadze

Abstract

The history of precipitation enhancement (PE) activities in East Georgia is briefly reviewed. The decisive role of the establishment in 1977 of Iori testing ground in the development of PE activities is outlined. Data on the efficiency of these works carried out in 1979-1990 under the guidance of the Institute of Hydrometeorology are presented. The possibility of efficiency increase due to the extension of PE activities in the basins of existing reservoirs at rivers Liakhvi, Aragvi, Khrami, Algeti, Alazani, Iori and Lake Paravani as well as over plains using anti-hail rockets, airplanes and surface aerosol generators is argued.

К ВОПРОСУ О ВОССТАНОВЛЕНИИ РАБОТ ПО ИСКУССТВЕННОМУ УВЕЛИЧЕНИЮ ОСАДКОВ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ.

БЕРИТАШВИЛИ Б. Ш., КАПАНАДЗЕ Н.И., ЦИНЦАДЗЕ Т.Н

Резюме

Вкратце рассмотрена история развития работ по искусственному увеличению осадков (ИУО) в Восточной Грузии. Отмечена решающая роль организации в 1977 году Иорского полигона в развертывании этих работ в различных районах указанного региона. Приведены данные об эффективности работ, которые велись под руководством Института гидрометеорологии в 1979-1990 гг. Показана возможность повышения эффективности за счет расширения работ по ИУО в бассейнах имеющихся водохранилищ на рр. Лиахви, Арагви, Храми, Алгети, Алазани и Иори, в бассейне оз. Паравани, а также над равнинными районами с применением противоградовых ракет, авиации и наземных генераторов.

წყალსატევებში ზვირთცემის ნაკადის პარამეტრების დადგენა

წივწივაძე ნ.*, ხატიაშვილი ე., ბაღაშვილი ზ.**, კავთუაშვილი ნ.**, ასკურავა ზ.****
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
**ასოციაცია "ჰიდროსფერო", თბილისი, საქართველო.

დახრილ ფერდობებზე ტალღის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ზვირთცემის ნაკადის გავრცელების პროცესის გავრცელების პროცესის მკაცრი ჰიდროდინამიური ამონახსნების მიღება მნიშვნელოვან, ზოგიერთ შემთხვევაში გადაუწყვეტელ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამ გარემოების გამო, ქვემოთ მოგვყავს ამოცანის გადაწყვეტის მიახლოებითი ჰიდრავლიკური ამოხსნა, რომელიც მიუხედავად ზოგიერთი დაშვებისა, სრულიად აკმაყოფილებს პრაქტიკულ-საინჟინრო მოთხოვნებს.

როგორც წესი ზვირთცემის ნაკადის ფერდობებზე გავრცელებისას ადგილი აქვს დამოკიდებულებას:

$$h^* = l^* Sin\alpha \qquad (1)$$

h^* - ნაკადის ფერდობზე ასვლის სიმაღლეა, l^* - ზვირთცემის ნაკადის გავრცელების მაქსიმალური სიგრძე, α - ფერდობის დახრის კუთხეა, x- ღერძი მიმართულია ფერდობის გასწვრივ.

მეჩხერი წყლის შემთხვევაში, რასაც ადგილი აქვს ჩვენი ამოცანის პირობებში l^* სიგრძის განსაზღვრისათვის განვიხილოთ ზვირთცემის ტალრის ფრონტის გავრცელება ფერდობზე, რომლის ზღვრული მდებარეობა განისაზღვრება h^* და l^* სიდიდეებით.

ზვირთცემის ტალღის ფრონტის გავრცელების სიჩქარისთვის, რომელშიც უგულებელყოფილია წყლის გადატანითი სიჩქარის მდგენელი ფაზურ სიჩქარესთან შედარებით, გვაქვს:

$$\tilde{c} = \frac{dx}{dt}, \qquad (2)$$

დამსხვრევის ფაზისათვის ტალღის ფრონტის სიჩქარე $\tilde{c}$ ცვლადია ფერდობის გასწვრივ [1] და გამოისახება დამოკიდებულებით:

$$\tilde{c} = \sqrt{\frac{g}{k_*} thk_* H_*} \left(1 - \frac{x}{l^*}\right)^p \cos\alpha , \qquad (3)$$

სადაც P - ხარისხის მაჩვენებელია, რომელიც ცხადია დადებითია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში $\tilde{c}$ არ შემცირდება ფერდის გასწვრივ. გარდა ამისა, როგორც ქვემოთ მოყვანილი გათვლებიდანაა ცხადი $P < 1$; $k_* = \frac{2\pi}{\lambda_*}$ - ტალღური რიცხვია.

მე-(3)-ის გათვალისწინებით ვღებულობთ:

$$\frac{dx}{dt} = \sqrt{\frac{g}{k_*} thk_* H_*} \left(1 - \frac{x}{l^*}\right)^p \cos\alpha \qquad (4)$$

მიღებული განტოლების ინტეგრების შედეგად, საწყისი პირობების, როცა $t = 0, x = 0$,(4) გათვალისწინებით ვღებულობთ

$$\frac{1}{1-P}\left[\left(1 - \frac{x}{l^*}\right)^{1-P} - 1\right] = -\frac{t}{l^*}\sqrt{\frac{g}{k_*} thk_* H_*} \cos\alpha \qquad (5)$$

l^*-ის განსასაზღვრავად თუ (6)-ში შევიტანთ, რომ როცა $t=\frac{\tau}{4}$ (τ პერიოდია) მაშინ $x=l^*$, მივიღებთ

$$l^*=\frac{1-P}{4}\tau\sqrt{\frac{g}{k_*}thk_*H_*}\cos\alpha=\frac{1-P}{4}\tau\tilde{c}_*\cos\alpha \qquad (6)$$

შემოვიტანოთ აღნიშვნა $\beta=\frac{\tilde{c}_*}{\tilde{c}_{კრ}}$ და გადავწეროთ (6) შემდეგი სახით:

$$l^*=\frac{1-P}{4}\frac{\lambda_\infty}{\tilde{c}_\infty}c_{კრ}\beta\cos\alpha \qquad (7)$$

ამ დროს ვითვალისწინებთ, რომ ფერდისაგან მოშორებით $\tau=\tau_\infty=\frac{\lambda_\infty}{c_\infty}$

ტალღური მოძრაობის პერიოდების მუდმივობის პირობიდან $\tau_x=\tau_{კრ}$, გამომდინარეობს:

$$\frac{\lambda_x}{c_x}=\frac{\lambda_{კრ}}{\tilde{c}_{კრ}} \qquad (8)$$

სადაც ნიშნაკი x მიგვანიშნებს სიდიდეების მიკუთვნებას ფერდობის იმ კვეთისადმი, რომელიც საკმაოდ დაშორებულია ტალრების დამსხვრევის კვეთიდან ე.ი. დამსხვრევის კვეთიდან სიღრმით $H_{კრ}$.

ზოგადი შემთხვევისათვის (ვითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი შემთხვევისათვის $KH=\frac{2\pi H}{\lambda}$) და იმის გათვალისწინებით, რომ დამსხვრევის კვეთში ფაზური სიჩქარე ახლოსაა გრძელი ტალღების სიჩქარესთან მე-(8) დამოკიდებულება ჩაიწერება შემდეგი სახით [2]:

$$\lambda_{კრ}=\sqrt{g\,H_{კრ}}\,\frac{\lambda}{\sqrt{\frac{g\lambda_\infty}{2\pi}th\frac{2\pi H_\infty}{\lambda_\infty}}} \qquad (9)$$

მე-(8) და (9) დამოკიდებულების გამოყენებით მე-(7) მიიღებს სახეს:

$$l^*=\frac{1-P}{4}\beta\sqrt{\frac{2\pi H_{კრ}\lambda_\infty}{thk_\infty H_\infty}}\cos\alpha \qquad (10)$$

β - სიდიდის დასადგენად გვიხდება ფენომენოლოგიური მეთოდების გამოყენება.

კერძოდ, ცხადია, რომ გრძელი ტალღების სანაპირო ზოლთან მოსვლისას l^* არ უნდა იყოს დამოკიდებული მოსული ტალღების სიგრძესთან.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ნაპირს უახლოვდებიან მოკლე დისპერსიული ტალღები, ზვირთცემის ტალღა ფაქტიურად წარმოადგენს ფერდობზე მოსული ტალღების დეფორმირებულ სახეს და ამიტომ მე-(10) დამოკიდებულება მიახლოებით სამართლიანი უნდა იყოს იმ ტალღებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ "გრძნობენ" ფსკერს. ამასთან l^* სიგრძე მიახლოებით შეიძლება შეიცვალოს $\frac{\lambda}{4}$-ის სიგრძით, რადგან l^* შეესაბამება ტალღური მოძრაობის მეოთხედ პერიოდს, როდესაც $P\approx 0$.

ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ ორივე ეს ზღვრული შემთხვევა (მითუმეტეს შუალედურებიც) დაკმაყოფილდება თუ მივიღებთ, რომ

$\beta=thk_\infty H_\infty$

ასეთ შემთხვევაში მე-(10) დამოკიდებულება მიიღებს სახეს:

$$l^*=\frac{1-P}{4}\sqrt{2\pi H_{კრ}\lambda_\infty thk_\infty H_\infty}\cos\alpha \qquad (11)$$

გრძელი ტალღების შემთხვევაში $thk_\infty H_\infty \approx k_\infty H_\infty$ და (11) ჩაიწერება შეწმდეგი სახით:

$$l^* = \pi \frac{1-P}{2} \sqrt{H_{\text{კრ}} H_\infty} \cos\alpha \qquad (12)$$

ამ დროს ცხადია l^* აღარაა დამოკიდებული ტალღის სიგრძეზე.
მოკლე ტალღების შემთხვევაში, ნაპირთან მოსვლისას $thk_\infty H_\infty = 1,\ P = 0,\ \cos\alpha \approx 1$ და

$$l^* = \frac{1}{4} \sqrt{2\pi H_{\text{კრ}} \lambda_\infty} \qquad (13)$$

ამრიგად l^* - ნაკადის სიგრძე უკვე დამოკიდებულია მოსული ტალღის სიგრძეზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ დამსხვრევის კრიტიკული სიღრმე $H_{\text{კრ}} \approx \tilde{h}$, მაშინ ზედაპირული ზღვრულად მოკლე ტალღებისათვის $\frac{\lambda_\infty}{\tilde{h}} = 2\pi$ (რომლებიც შეესაბამებიან ტალღის პროფილის სტოქსის ზღვრულ მდგრადობას) გვექნება:

$$l^* = \frac{\lambda_\infty}{4} \qquad (14)$$

ხარისხის მაჩვენებელი P ასახავს ნაპირთან მოსული ტალღის ხახუნის ძალების გავლენის ინტენსივობას, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ცხადია მცირდება, რაც უფრო ახლოა P ერთთან მით უფრო ინტენსიურად მცირდება ტალღების სიჩქარე ფერდის ზედაპირთან დამსხვრეული ნაკადის ხახუნის გამო და ამიტომ მით უფრო მოკლეა l^* სიგრძე და დაბალია სიმაღლე h^*. ამიტომ პირობა $P \square 1$, რომლის დროსაც გამოსახულება $h^* = l^* \sin\alpha$ შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$h^* = l^* \sin\alpha = \frac{1}{8} \sqrt{2\pi H_{\text{კრ}} \lambda_\infty thk_\infty H_\infty} \sin 2\alpha \qquad (15)$$

ეს უკანასკნელი პასუხობს ხახუნის არამქონე ფერდობზე ტალღის დამსხვრევის შემთხვევას.

პირიქით, როდესაც P ახლოა ერთთან, საქმე გვაქვს ისეთ ფერდობთან, რომელზეც ხახუნი ძალზე დიდია (მაგალითად დამსხვრეული ქვებით აგებულ ფერდთან) ზემოაღნიშნული თავისებურებების გამო h^*-ის დამოკიდებულებას შეიძლება მივცეთ ენერგეტიკული ახსნა თუ მას ჩავწერთ შემდეგი სახით:

$$h^* = h_0^* - h_W^* \qquad (16)$$

სადაც h_0^* - პასუხობს ზღვრულ ხვედრით პოტენციალურ ენერგიას, ე.ი. საქმე გვაქვს პრაქტიკულად იდეალურ სითხესთან, ხოლო h_W^* კი არის ხახუნით გამოწვეული ენერგიის დანაკარგი

$$h_W^* = \frac{P}{8} \sqrt{2\pi H_{\text{კრ}} \lambda_\infty thk_\infty H_\infty} \sin 2\alpha \qquad (17)$$

გამოვსახოთ ენერგიის დანაკარგები ჰიდრავლიკური სახით შეზი-მანინგის მიხედვით [3]:

$$h_W^* = \frac{V^2 l^*}{c_W^2 H} = \frac{\overline{V}^2 n^2 l^*}{H^{1.33}} \qquad (18)$$

და მივიღოთ მიახლოებით, რომ

$$\overline{V} = \tilde{c}_{\text{საშ}} \sqrt{\frac{g}{k} thk\overline{H}} \qquad (19)$$

სადაც $\overline{H}$ - ტალღური ნაკადის საშუალო სიღრმეა დამსხვრევის ზონაში, მიღებულია, რომ იგი ტოლია 0.25 $H_{კრ}$.

თუ გავითვალისწინებთ, რომ როცა $k\overline{H} \ll 1$, $thk\overline{H} = k\overline{H}$ გვექნება

$$\overline{V} = \sqrt{g\overline{H}} = 0.5\sqrt{gH_{კრ}} \qquad (20)$$

და შესაბამისად

$$\overline{H}^{1.33} \cong 0.16H_{კრ}^{1.33}$$

ასე რომ გვექნება

$$h_w^* \cong 1.5\frac{gn^2 l^*}{\sqrt[3]{H_{კრ}}} \qquad (21)$$

თუ ერთმანეთს გავუტოლებთ მე-(17) და მე-(18) დამოკიდებულებების მარჯვენა მხარეებს და გავითვალისწინებთ მე-(11)-ეს, მივიღებთ:

$$1.5\frac{gn^2}{\sqrt[3]{H_{კრ}}}\frac{1-P}{4}\sqrt{2\pi H_{კრ}\lambda thkH}\sin\alpha\cos\alpha = \frac{P}{4}\sqrt{2\pi H_{კრ}\lambda thkH}\sin\alpha\cos\alpha$$

საიდანაც ვიღებთ

$$P=\frac{1.5gn^2}{\sqrt[3]{H_{კრ}}+1.5gn^2} \qquad (22)$$

ამრიგად დამსხვრეულია ტალღის ნაკადის სიმაღლის გამოსათვლელად ვღებულობთ შემდეგ საანგარიშო დამოკიდებულებას,

$$h^* = 0.25\sqrt{2\pi H_{კრ}\lambda_\infty thk_\infty H_\infty}\frac{\sqrt[3]{H_{კრ}}\sin\alpha\cos\alpha}{\sqrt[3]{H_{კრ}}+1.5gn^2} \qquad (23)$$

რომელშიც არ შედის არავითარი ექსპერიმენტული მუდმივა და წარმოადგენს მხოლოდ მიღებული თეორიული მიდგომის შედეგს.

სიმქისის კოეფიციენტი n (განგლიე-კუტერის ცხრილის მიხედვით) უნდა აღებულ იქნეს სრიბნის მიხედვით. მსხვილნამსხვრევიანი კაშხლებისათვის $n = 0.15 \div 0.20$.

ამრიგად, დამსხვრეული ტალღის ნაკადის უდიდესი სიმაღლე განისაზღვრება (21) დამოკიდებულებით, ხოლო ნაკადის სიგრძე ფერდობის გასწვრივ დამოკიდებულებით:

$$l^* = \frac{h^*}{\sin\alpha} \qquad (24)$$

l^* - სიგრძის ზონაში დამსხვრევის ტალღის ნაკადის ფრონტის გადაადგილების სიჩქარის შემცირება ხდება (3) დამოკიდებულების მიხედვით, რომელიც შეიძლება ასეც ჩაიწეროს:

$$\tilde{c} = \sqrt{gH_{კრ}}\left(1-\frac{x}{l^*}\right)^P\cos\alpha\ , \qquad (25)$$

რომელშიც P განისაზღვრება (22)-ის მიხედვით, ხოლო l^* კი (21) დამოკიდებულებით.

(25)-ე დამოკიდებულების თანახმად, დამსხვრეული ტალღების ფრონტის გადაადგილების სიჩქარე კლებულობს წყლის მშვიდი ზედაპირის შემდგომ.

დამსხვრეული ტალღის ნაკადის სიმაღლე l^* სიგრძის ზონაში შეიძლება მიღებული იქნეს, როგორც წრფივი, ამიტომ

$$h_H = H_*\left(1-\frac{x}{l^*}\right) \qquad (26)$$

სადაც H_*=0.67 $H_{კრ}$- წარმოადგენს ტალღის სიმაღლეს მისი დამსხვრევის შემდგომ.

კაშხალზე ან ფერდობზე დამსხვრეული ტალღური ნაკადის გადადინების შემთხვევაში, გადადინებული წყლის ხარჯი კი გამოითვლება შემდეგი დამოკიდებულებით [4]:

$$q = 0.67H_{კრ}\sqrt{gH_{კრ}}\left(1-\frac{l_{ფერ}}{110l^*}\right)\left(1-\frac{l_{ფერ}}{l^*}\right)^P \qquad (27)$$

ლიტერატურა
1. Пышкин Б.А. «Динамика берегов водохранилищ». Изд. «Науково думка», Киев. 1973.стр.413
2.Гуди А.Дж. и Девис Т.В. «Теория симметричных гравитационных волн конечной амплитуды». Теория поверхностных волн. Сборник переводов. Под ред. Красносельского М.А и Моисеева Н.Н. М. Иностранная лит - ра 1959г. стр. 119- 137.
3.Богомолов А.И., Михаилов К.А. «Гидравлика», Стройиздат,М. 1972, стр.648
4.Гуди А.Дж. и Девис Т.В. «Установившиеся, симметричные, периодические волны в канале конечной глубины». Теоря поверхностных волн. Изд. ИЛ,М. Теория поверхностных волн. Сборник переводов. Под ред. Красносельского М.А и Моисеева Н.Н. М. Иностранная лит - ра 1959г. стр.223-248.

წყალსატევებში ზვირთცემის ნაკადის პარამეტრების დადგენა

წივწივაძე ნ., ხატიაშვილი ე., ბაღაშვილი ზ., კავთუაშვილი ნ., ასკურავა ზ.

რეზიუმე

განიხილება წყალსატევის ფერდობებზე და კაშხალზე კატასტროფული მოვლენებით გამოწვეული დამსხვრეული ტალღების და ზვირთცემის ნაკადის პარამეტრების დადგენის მეთოდიკა.

დასმული ამოცანა, მისი სირთულის გამო, გადაწყვეტილია ჰიდრავლიკური აპარატის გამოყენებით, რომელიც მიუხედავად ზოგიერთი დაშვებისა, სრულიად აკმაყოფილებს პრაქტიკულ-საინჟინრო მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ ხახუნის ძალების ზეგავლენა მიმდინარე მოვლენებზე და შესაბამისად ენერგიის დანაკარგები გამოითვლება შეზი-მანინგის მიხედვით. სიმქისის კოეფიციენტი აიღება განგლიე-კუტერის მიხედვით.

მიღებულია დამოკიდებულებები, რომლებითაც განისაზღვრება წყალსაცავის ფერდობებზე ზვირთცემის ნაკადის ფრონტის გავრცელების სიჩქარე, დამსხვრეული ტალღის ნაკადის სიმაღლე, ფერდობზე ასული ნაკადის სიგრძე, კაშხალზე ან ფერდობზე გადადინებული წყლის ხარჯი.

მიღებულია დამოკიდებულებები, რომლებიც ვარგისია ზვირთცემის ნაკადის პარამეტრების გასაანგარიშებლად როგორც გრძელი, ასევე მოკლე ტალღების აღძვრის შემთხვევაში.

Расчет Параметров Прибойного Потоко в Водоемах

Цивцивадзе Н. Хатиашвили Е. Багашвили З. Кавтуашвили Н. Аскурава З.

Резюме

В работе рассматривается методика расчета параметров обрушенных волн и прибойного потока на откосе и плотине водоема, вызванных катастрофическими явлениями. Ввиду сложности поставленная задача решена с применением гидравлического аппарата, который несмотря на ряд допущений, полностью отвечает практическим инженерным требованиям.

Следует отметить, что воздействие сил трения на текущие явления и соответветственно потери энергии расчитываются согласно Шези-Манинга, а коэффициент шероховатости берется согласно Ганглие- Кутеру.

Получены зависимости с помощью которых рассчитываются скорость распространения прибойного потока на откосе водоема, высота обрушенного волнового потока, длина заплеска на откосе, расход перелившейся воды через откос или плотину. Эти зависимости могут быть применены при расчетах параметров прибойных потоков, как в случае генерировании длинных, так и коротких волн.

Calculation of Surf Parameters in Reservoirs

Tsivtsivadze N. Khatiashvil E. Bagashvili Z. Kavtuashvili N. Askurava Z.

Summary

The paper considers the method of calculation of broken waves and surf parameters on the reservoir slope and dam, caused by catastrophic events. In view of the task complexity it is solved with the use of a hydraulic apparatus, that despite a number of assumptions, fully meets the practical engineering requirements.

It should be noted that the effect of frictional forces on the current problem and energy losses are calculated according to the Chézy-Maning, roughness coefficient is taken according to Ganglie-Kuter.

The relations of calculation of the surf flow speed propagation on a slope, the height of the broken wave, the length of the flow rolling on a slope, the discharge of water flow over the slope or the dam are received. These relations can be used in the case of generating both long-and short-wave.

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის შრომები
Материалы научной конференции Посвященный 80 – летию со дня основания Института геофизики
Reports, presented on the Scientific Conference "80 years of the M. Nodia Institute of Geophysics"

ГЛАВНЕЙШИЕ РАСТВОРИМЫЕ СОЛИ В ПОЧВАХ, ГРУНТОВЫХ И ДРЕНАЖНЫХ ВОДАХ АЛАЗАНСКОЙ ДОЛИНЫ

Джорбенадзе Л. Т.
Институт почвоведения, агрохимии и мелиорации им. М.С Сабашвили при Грузинском аграрном университете, Тбилиси, Грузия

Под воздействием мелиоративных мероприятии, бесплодные пустинные пронстранства, засоленные земли, солончаки и соланцы становятся высокоплодородними.

Основным источником засоления почв является неблогоприятные гидрогеологические условия, заключающиеся в слишком медленном горизонтальном передвижении верхных слоев грунтовых вод, при котором за счет испорения и транспирации пройсходит накопление солей сначала в грунтовых водах, а затем и в почвах. При этом засоление почвы пройсходит чем быстрее, чем скорее и в больших количествах по капиллярам грунтовая вада будет передвигатся в корнеобитаемую зону.

В районах недостаточного увложнения избыточное орошение, как правило, сопроваждается подьемом грунтовых вод и развитием востановительных процессов, что определяет необходимост создание дренажа, улучщающего водно-воздушным и солевой режима орашаемых почв.

В мелиоративном почвоведении наибольшее значение придается изучению физических и фызико-химических своиств почв, а также их режимов-водного, воздушного, солевого и окислительно-востоновительных процесов при дренаже и без него, при разных режимах орашения, при проведение промивок засоленных почв и применении различных комплексов мелиоративных мероприятий. При этом особое значенние приобретает выявление положительных и отрицательных своиств почв, возникающих в результате орасительных мелиораций.

До введения орошения в новоорашаемых районах Шигнит-Кахети-на правобережье Алазанской равнине, где полив производился без дренажа солонцовый и содончаковый процессы здесь обусловились резким поднятием уровня грунтовых вод с содержанием 5-8 г/л солей залеганием на глубине 4-5 м, а спустя 3-4 года, под влиянием поливов без дренажа, при капиллярно-грунтовом типе увложнения, поднялись до 1,5-1,7м от поверхности количество же солей в растворе достигло 15-20-28 г/л. Смыкание поливных и грунтовых вод, повышение их уровня и усиление непосредственно испорения, при слабом оттоке, привело к усиилению соленакопления в почвах и грунтовых водах.

Изучение нами водно-солевого режима почво-грунтов и грунтовых вод на балансовых участках показало, что на Алазанской равнине грунтовые воды сильно засоляется с глубины 1,8-2,2м. Поэтому этот уровень следует принять за критический, выше него в почво-грунтах и подземных водах происходит интенсивное соленакопление.

Основными приомами мелиорации засоленных почв является дренаж и промывка. Одноко на пути их эффективного осущствления практика орошаемого земледелия часто встречается труднопреодолимые препятствия. Дело в том, что вытеснение солевого раствора вадой из пористого тела глинистых почв с сильно выраженной адсорбцией в связи с их огромной удельной поверхностью, в значительной мере не достигается. Это требует длительного время, малопроизводительных расходов оросительной вады. В этих условиях промывка водой не обеспечивает вынос основной части имеющихся в почве солей,так как солевые расворы, находящиеся в агрегатных порах, при этом почти не участвуют в нисходящем движении промывных вод.

Одним из таких кардинальных приомов повышения скорости и увеличения находящего тока промывных вод, является предворительная химическая мелиорация и глубокое рыхление почв. Слабая эффективность промывки этих почв в полевых условиях является результатом блиского залегания и напорности грунтовых вод.

Целью исследования являлось устоновление оптимальных параметров закрытого горизонтального дренажа, обеспечивающие рассоления лугово-солончаковых солонцов при капитальных промывках, а также изучение россоления почвогрунтов с применением химических мелиорантов-гажи и железный купарос. Изучение изминения режима уровня и минерализации грунтовых вод и динамики солей в почвогрунтах на фоне дренажа при различных междренных расстояниях.

Опыт заложен на Цнорском опытном участке Груз.НИИПАМ, на площади 6-га. Опыт состоит из-4-х вариантной схемы закрытого дренажа с междреньями 50-100-150 и 200 м, глубина дрен 3м, на каждом междреньи заложен опыт по следующей схеме:

1. Промывка-промывная норма вады - 15 тыс.м3/га
2. .Промывка-(норма вады 15 тыс.м3)+CaSO4 (гажа) 40Т/га
3. .Промывка-(норма вады 15 тыс.м3)+FeSO4 7H2O 40 Т/га

Солевые и гидрогеологические сьемки уровней грунтовых вод проводили круглый год на площади междрений 50,100,150 и 200 м.

Сопоставление динамики уровней грунтовых вод в отдельных междреньях показывает следующее: В междренья 50м средногодовое значение глубины состовляет 2,9м, в период промывки-2,4-1,5м.

В междренья 100м среднегодовое значение глубины составляет 2,8-2,5м в период промывки 2,2-1,5.

В междренья 150м средногодовое значение глубины составляет 2,2м, в период промывки.1,5-0,9м.

В междренья 200м среднегодовое значение глубины состовляет1,9м, в период промывки 1,1м-0,7

Таким образом, на всех междреньях отмечено снижение уровня грунтовых вод и можно обеспечить поддержание уровня грунтовых вод на глубине исключающей засоление почвогрунтов. Однако лучший эффект показывает междренья 50 и 100м .

В первый период работы дренажа т. е. до начала промывки существенных изминений в минерализации грунтовых и дренажных вод не было. Так на участки междренье-50 средневзвешенная по площади минерализация грунтовых вод состовила 11,42 г/л, а через два года 12,07 г/л. На участке междренье 100м средневзвешенная по площади минерализация грунтовых вод соответственно - 15,87 г/л иг/л. 17,94 . На участке междренье 150м средневзвешенная по площади минерализация грунтовых вод-24,04г/л и 27,82г/л и на участке междренье 200м средневзвешенная по площади минерализация грунтовых вод - 27,73г/л и 28,83г/л.

Процесс россоления солончаковых солонцов Алазанской равнины осуществлялся тремя этапамы: первый - подготовка почвы, второй - химическая мелиорация и промывка, третий - сельскохозяйственное освоение мелиорированных земель.

На контрольном варианте опыта (без химических мелиорантов) провадились непреривные промывки с промиывной нормой 15 тыс.м^3/га. Из-за плохих фильтрационнх свойств солончаковых солонцов непреривные промывки не дают существенных изменений в солевом профиле означенных почв. После промывки содержание солей (по плотному остатку) уменьшилось мало по сравнению с исходным состоянием почвы до мелиорации.

Как показали опыты, и при гипсовании солеудоление протекает поэтапно. Вымывание солей по сравнению с контрольным вариантом лучше, а с другим мелиорантом-железным купоросом немного понижено.

При гипсовании по сравнению с контрольным вариантом удалено в метровом слое около 33 т/га солей. Величина плотного остатка меняется от 1,12 до 1,60. Правда, в верхней метровой талще нейтрализована щелочность, но почва содержит много хлоридов натрия и магния. Вымыто из двухметрового слоя по данным анализа одных вытяжек около 131т/га солей. В процессе промивок образовались вторичные соли а из них больше всего сульфат натрия.

При химической мелиорации засоленных почв широкое применение имеет сернокислое железо [1,4,5,8,9,10,11,12] Теоретической основой его применения является то, что оно в водном растворе в результате гидролиза образует серную кислоту и гидрозакись железа. В результате обменных реакций почва обагащается растворами вторичных солей натрия и магния, которые вымываются из почвы и удаляются дренажным стоком. Сульфаты кальция и магния, образующиеся в результате

взаимодействия сернокислого железа с карбонатами почвы, в свою очередь, вступают в реакцию с почвой и рассолонцовывают ее.

В результате промывки во всех вариантах опыта двухметровые слои почвы значительно рассолены и рассолонцованы [2,3,5,6,8,9,12,13].

Таблица

Изминение некоторых водно—физических свойств солончаковых солонцов Алазанской равнины

Варианты	Глубина взя.образца в см	Обиомная масса г/см3%	Общая порозност %	Влажность завид.%	Общая влагоемкость%	Диапазон активнойвлагы %	Оценка прод.влажносты	Влж. полной навух.% почвы	Поры аерации%
Контроль	0----50	1,36	50,06	18,95	43,45	17,54	72,43 зап. хорошие	51,78	12,89
	50-100	1,62	44,40	26,95	32,25	10,92	плохие	49,20	6,68
	0--100	1,67	44,23	27,53	30,51	2,98	очень плохие	43,20	6,48
Промывка +гажа	0—50	1,27	51,45	15,97	38,88	22,91	78,56 хорошие	49,97	16,61
	50-100	1,46	44,90	25,85	30,79	11,69	хорошие	45,59	5,96
	0-100	1,49	44,19	27,00	29,53	3,68	удовлетв орительние	42,06	5,40
Промывка +желехный купорос	0—50	1,24	52,65	14,98	38,74	23,76	101,03 .0-20 зап.хорошие	51,46	16,96
	50-100	1,52	46,00	20,33	32,78	17,58	запасы хорошие	5121	9,45
	0-100	1,54	42,19	25,59	30,00	4,56	запасы хорошие	45,33	7,21

После промывок этих почв железным купоросом в метровом и двухметровом слое почвы сумма солей уменьшилась значительно. 131-197 т/г. Уменьшилос и содержание нормальной и двууглекислой соды, произощло интенсивное уменьшение содержания сульфатов и хлоридов натрия. А в двухметровом слое почвы концентрация солей уменьшается по сравнению с вариантом до мелиорации 197 т/га полностью нейтрализуется сода, происходит интенсивный вынос сульфатов и хлоридов магния.

Под влиянием химической мелиорации при промывках в этих почвах идет не только интенсивное рассоление, но и рассолонцевание [1,4,7,8,9,10] На контрольном варианте опыта почва вновь остается солонцеватой. В составе обменных оснований поглощенный натрий в почвенных слоях составляет 10-11% от общей суммы. Фильтрационная способность почвы слабо проявяется и промывка идет очень медленно. Благодаря протекающим обменным реакциям, содержание обменного натрия резко уменьшается и состовляет лишь 3-7% от овщей суммы.

Как отмечалось выше, солончаковые-солонцы Алазанской равнины характеризуются отрицательным водно-физическим свойством. После внесения химических мелиорантов физические свойства почв улучшаются, что является важнейшим показателем их оздаравления. (табл.) [2,3,5,13].

Выводы

Глубокая мелиоратывная обработка(на глубине 40 см и подпочвенное рыхление 0-80см) имическая мелиорация железным купоросом 40 т/г и промывка 15 тыс.м3/га на фоне глубокого горизонтального дренажа с междреньем 50 и 100м, улучшает химическое свойства почвы, снижает степень засоления и солонцеватосты и переводит солончаковые солонцы в категорию солончаковых слобо-солонцеватых почв.

Выявлено,что при мелиорации солончаковых солонцов Алазанской равнины сравнительно лучший мелиоративный эффект дает сернокислое железо.В метровом и двухметровом слое почвы сумма солей уменьшилась от 131-197 т/га, полностью нейтрализуется карбонат и бикарбонат магния,содержание хлоридов и сульфатов натрия уменьшается до допустимого предела,образуются сульфаты кальция и магния.

ЛИТЕРАТУРА– REFERENCES

1. Джорбенадзе Л.Т. Применение омагниченной вады при рассолении засоленных почв Алазанской равнины//Известия Национального Аграрного университета Армении 3-2013, С . 60-63.
2. Джорбенадзе Л. Т. Изучения общей и дифференциальной порозности Лугово-солончаковых солонцов Алазанской равнини/ / Материали юбилеиной международной н/практической комфференции посвяшшщеной 100-летию Батумского Ботанического сада, Батуми, Грузия 2013,.С.286-288.
3. Джорбенадзе Л.Т. Изучение , оценка и регулирование гидрологических констант Лугово-солончаковых солонцов Алазанской равнины, //Тб.Гос, Университет...,Биоекономика и устоичивое развития с/х культур 2 международная п/к. С 582-586.
4. Джорбенадзе Л.Т. Снижение плодородия почв Грузии при неправильном их иссползовании и орашении. Тез. докладов 7създа Украинскых Почвоведов и Агрохимиков, Харков 2006. С.226-227.
5. Джорбенадзе Л. Т. Влияние минерализации грунтовых вод на процессы засоления почв Алазанской равнины. Сборник нау. Тру.Груз..НИПАМ. Т-40. Тбилиси 2008. С261-267.
6. Джорбенадзе Л.Т. Мелиоративное состояние орашаемых почв Васточной Грузии //Международная н/п комфференция. Гос. Университет Акакия Церетели. Иновационые технологии. .Кутаиси 2013. С.279-280.
7. Дзадзамия Т. Д.Влияние последействия химических мелиорантов на микрофлору засоленных почв Алазанской равнины в условях лизиметрических опитов.Труды Груз. НИИПАМ, т29, Тбилиси 2006 С. 5-40
8. Манукян Р.Р., Папинян В.А., Элоян Л.Ш. Использование промишленных отходов для мелиорации содовых солонцов-солончаков Араратской равнины. Известия ГАУА-Ереван.2009,№3 С. 35-39.
9. Папинян В .А. , Манукян Р.Р. Мелиоративно-экологическое состояние мелиоративных солонцов-солончаков Араратской равнины при химической мелиорации.//Известия Араратской науки.-Тбилиси,2008Т.6 №4. С.19-22.
10. Самойлова Э. М.,Гогоберидзе И.В.,Чинчаладзе И.А.,ТугушиН.К. Засоленные и солонцовые почвы Грузии и их мелиорация и орошение почв равнинного Кавказа. Наука. Москва1986. С128-168.
11. Смирнова Л.Г., Мурванидзе Ч.Н. Опыт мелиорации тяжолых засоленных почв на примере опытно-дренажного участка в Алазанской долине. Почвоведение,1982,№5С.11-19.
12. Чхиквишвили В.И. Провлема мелиорации и с/х освоение засоленных почв Грузии.Материали Н/с посвяшеной 30-летию основания института.Груз.НИИПАМ. Тбилиси.1976 .С.47-65.
13. Шеин Э.В.,Щеглов Д.И., Москвин В.В. Моделирование процесса вадопроницаемости черназомов коменной степи.Факултет почвоведения МГУ имМ.В.Ломоносова, 119991,Москва, Ленинские гори Быолого-почвенный факультет ВГУ. 2011. С. 648-657.

უმთავრესი ხსნადი მარილები ალაზნის ველის ნიადაგებში, გრუნტის და სადრენაჟო წყლებში

ლ. ჯორბენაძე

რეზიუმე

ნიადაგის მელიორაციული დამუშავება (0-40 სმ სიღრმეზე და გაფხვიერება 0.80 სმ-ზე), ქიმიური მელიორაცია რკინის ძაღით 40 ტ/ჰა-ზე და ჩარეცხვები 15000 მ^3/ჰა-ზე ღრმა

ჰორიზონტალური დრენაჟის ფონზე, დრენთა შორის 50-100 მ-ზე, აუმჯობესებს ნიადაგის ქიმიურ თვისებებს, ამცირებს დამლაშებას და ბიცობიანობას; მლაშობი ბიცობი ნიადაგი გადაყავს სუსტად საშუალოდ დამლაშებული ნიადაგის კატეგორიაში.

გამოვლენილია, რომ ალაზნის ველის მდელოს მლაშობი ბიცობი ნიადაგების მელიორაციისას შედარებით უკეთეს ეფექტს იძლევა რკინის ძაღა. ნიადაგის მეტრიან და ორმეტრიან ფენაში მარილების ჯამი 132-197 ტ/ჰა-მდე მცრდება, მთლიანად ნეიტრალიზებულია მაგნიუმის კარბონატები და ბიკარბონატები, ქლორიდები და სულფატები შემცირებულია დასაშვებ ზღვრამდე, წარმოიქმნა კალციუმის და მაგნიუმის სულფატები.

ГЛАВНЕЙШИЕ РАСТВОРИМЫЕ СОЛИ В ПОЧВАХ, ГРУНТОВЫХ И ДРЕНАЖНЫХ ВОДАХ АЛАЗАНСКОЙ ДОЛИНЫ

Джорбенадзе Л. Т.

Резюме

Глубокая мелиоративная обработка (на глубине 40 см и подпочвенное рыхление 0-80 см) химическая мелиорация железным купоросом 40 т/га и промывка 15 тыс $м^3$ /га на фоне глубокого горизонтального дренажа с междреньем 50 и 100 м улучшает химическое свойство почвы,снижает степень засоления и солонцеватости и переводит солончаковые солонцы в категорию солончаковых слабо-солонцеватых почв.

Выявлено,что при мелиорации солончаковых солонцов Алазанской равнины сравнительно лучший мелиоративный эффект дает сернокислое железо.В метровом и двухметровом слое почвы сумма солей уменьшилась от 131-197 т/га, полностью нейтрализуется карбонат и бикарбонат магния,содержание хлоридов и сульфатов натрия уменьшается до допустимого предела,образуются сульфаты кальция и магния.

რეგიონის მიკროკლიმატური პარამეტრებით ლოკალური ქარის რეჟიმის განსაზღვრა, ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში

ზ.ხვედელიძე, დ. ჯანეზაშვილი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University; Professor, Doctor of Sciences of Physics-Mathematics;
Tel.: 260-65-24; E-mail: zurab.khvedelidze@tsu.ge D. Djanezashvili – TSU Undergraduate
E-mail: djanezashvili@gmail.com

შესავალი

ატმოსფერული პროცესების ჩასახვის, განვითარების და კვდომის სტრუქტურის კვლევა იყო, არის და იქნება მსოფლიო მეცნიერ მეტეოროლოგთა აქტუალური ინტერესის სფერო.

დღევანდელ პირობებში მრავალი, გლობალური თვისებების მქონე, ატმოსფერული მოვლენების პროგნოზირება საკმარისად კარგად არის გადაწყვეტილი. ასევე შესწავლილია ფართომასშტაბიან პროცესებზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა, მათი პროგნოზირების ეფექტიურობის გაზრდის მიზნით. ამ მიმართულებით არც ამიერკავკასიის რეგიონი არის გამონაკლისი. მისი რთული ფიზიკურ - გეოგრაფიული რელიეფის და სხვა ლოკალური ფაქტორების გავლენა თითქმის დეტალურად არის გაანალიზირებული, როგორც თეორიულად ასევე მოდელური თვალსაზრისით.(1-7)

რაც შეეხება ლოკალურ - რეგიონალურ და არაორდინალურ ატმოსფერულ პროცესებს, ამ სფეროში მრავალი საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს მეცნიერულად დამუშავებას. ლოკალურ მოვლენების შესწავლისას აუცილებელი ხდება მიკრო ატმოსფერული პროცესების; გეოლოგიური სტრუქტურის, მიწისპირა ფენის თავისებურებებია გაანალიზირება და მათი ცვალებადობის გავლენის გათვალისწინება პროგნოზურ სქემებში.აღნიშნული გარემოებანი მეტად აქტუალურს ხდის იმ მრავალსახა ლოკალური პროცესებია შესწავლას, რომლებიც დაიკვირვება ამიერკავკასიის ცალკეულ რეგიონებში, კერძოდ საქართველოე ტერიტორიაზე.

ამოცანის თეორიული დასმა

აღიარებულია, რომ ფართომასშტაბიან ატმოსფერულ პროცესების ფონზე წარმოიქმნება მცირე მასშტაბიანი მოვლენები, რომელთა შორის აღსანიშნავია „საშუალო სინოპტიკური" და მეზო მასშტაბური, რომელთა მახასიათებელი სიგრძეა (10-50)კმ, სწორეთ ასეთი ზომის პროცესებს შეაქვთ გადამწყვეტი როლი ცალკეული რეგიონების ამინდისა და მოკროკლიმატის ფორმირებაში. ამ ფიზიკური პროცესების მათემატიკური ასახვისათვის გამოიყენება ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა შემდეგი სისტემა {1,4,6,7},

$$\frac{du}{dt} = -\frac{\partial \phi}{\partial x} + \ell v + k_1 \Delta u + \frac{\partial}{\partial z}(k \frac{\partial u}{\partial z}) \qquad (1);$$

$$\frac{dv}{dt} = -\frac{\partial \phi}{\partial y} + \ell u + k_1 \Delta v + \frac{\partial}{\partial z}(k \frac{\partial v}{\partial z}) \qquad (2);$$

$$\frac{dW}{dt} = -\frac{\partial \phi}{\partial z} + \beta \bar{T} + k_1 \Delta W + \frac{\partial}{\partial z}(k \frac{\partial W}{\partial z}) \qquad (3);$$

$$\frac{\partial U}{\partial x} + \frac{\partial V}{\partial y} + \frac{\partial W}{\partial z} = \sigma W \qquad (4);$$

$$\frac{dT}{dt}+(\gamma_{a}-\overline{\gamma})W=\frac{\varepsilon_{l}+\varepsilon_{\phi}}{c_{\rho}\rho}+k_{1}\Delta T+\frac{\partial}{\partial z}(k\frac{\partial T}{\partial z}) \quad (5);$$

$$\frac{dq}{dt}-\overline{\gamma}_{q}W=\frac{\varepsilon_{\phi}}{\rho}+k_{1}\Delta q+\frac{\partial}{\partial z}(k\frac{\partial q}{\partial z}) \ (6);$$

სადაც u, v, w არის ქარის სიჩქარის მდგენელები საკოორდინატო ox,oy,oz ღერძების მიმართ; t დრო; $\phi=R\overline{T}\frac{p^{1}}{\overline{p}}$, R -გაზების უნივერსალური მუდმივა; C_{ρ} კუთრისითბოტევადობა მუდმივი წნევის დროს

$\sigma=\frac{g-R\overline{\gamma}}{R\overline{T}}$; $T^{1}=T_{0}$ (x,y,z,t)- $\overline{T}$

ტემპერატურის საშუალო ფონური მნიშვნელობიდან გადახრა; γ_{T} ემპერატურის ადიაბატური გრადიენტი; $\overline{\gamma}$; $\overline{\gamma}_{q}$ ტემპერაყურისა და ტენიანობის ვერტიკალური გრადიენტებია; q ჰაერის ხვედრითი ტენიანობა; β შეტივტივების პარამეტრი; p^{1} - წნევის შეშფოთებული სიდიდე.

ბუნებრივი ქარის სრული სიჩქარე წარმოდგება ორი შესაკრების ჯამის სახით:

$\vec{V}=\vec{V}_{0}+\vec{V}'$ (7);

სადაც $\vec{V}_{\bar{0}}$ არის ეგ.წ. ფონური მნიშვნელობა, ხოლო $\vec{V}'$ შეშფოთება გამოწვეული ლოკალური ტერიტორიის ფიზიკური თვისებებით.გავითვალისწინოთ მე(87-რე და (1)-(3) განტოლებებიდან განსაზღვროთ რეალური ქარი, გვექნება:

$$U^{1}=-\frac{\partial\phi}{\partial y}-U_{0}+\frac{k_{1}}{\ell}\Delta V+\frac{1}{\ell}\frac{\partial}{\partial z}(k\frac{\partial V}{\partial z})-\frac{1}{\ell}\frac{dV}{dt} \quad (8);$$

$$V^{1}=\frac{1}{\ell}\frac{\partial\phi}{\partial x}-V_{0}-\frac{k_{1}}{\ell}\Delta U-\frac{1}{\ell}\frac{\partial}{\partial z}(k\frac{\partial U}{\partial z})-\frac{1}{\ell}\frac{dU}{dt} \quad (9);$$

$$w^{1}=\frac{1}{\sigma}(\frac{\partial U}{\partial x}+\frac{\partial V}{\partial y}+\frac{\partial W}{\partial z}) \quad (10);$$

(8)-(!0)- დან ჩანს, რომ ქარის ფონური მნიშვნელობიდან გადახრის სიდიდე დამოკიდებულია :

1) ნაწილაკის აჩქარებაზე;2) გარემოს ტურბულენტობაზე;3) ϕ სიდიდის ჰორიზონტალურ გრადიენტზე;

სიჩქარის ვერტიკალური მდგენელისათვის გვექნება [3,6,7]:

$$V_{H}=\sqrt{[-\frac{dV}{ldt}+\frac{\partial}{l\partial z}(k\frac{\partial V}{\partial z})]^{2}+[-\frac{dU}{ldt}+\frac{\partial}{l\partial z}(k\frac{\partial U}{\partial z})]^{2}} \quad (11);$$

9. Kharchilava J., Chikhladze V., Chochishvili K., Chkhaidze G. – Changeability of Surface Ozone Concentration in Tbilisi in 1984-2010. Proc. Of Int. Conf. “Environment and Global Warming”, Dedicated to the 100th Birthday Anniversary of Academician F. Davitaya, Collected Papers New Series, N 3(82), ISSN 2333-3347, Tbilisi, 2011, pp. 111-116.
10. Senik I.A., Elansky N.F.- Surface Ozone Concentration Measurements at the Kislovodsk High-Altitude Scientific Station: Temporal Variations and Trend. ФАО, 2001, Vol.17, Suppl.1, pp. S110-S119
11. Hwang K.-C., Ma C.-J. – Scavenging Properties of Atmospheric Carbon by Precipitation. Proc. 16th Int. Conf. on Nucleation&Atmospheric Aerosols, Kyoto, Japan, 26-30 July 2004, pp. 702-705.
12. Харчилава Дж.Ф. – Изменчивость концентрации приземного озона в городских и сельских условиях в зависимости от сезона и погодных условий. Тр. Ин-та геофизики им. М.З. Нодиа, ISSN 1512-1135, том. 60, Тбилиси, 2008, с. 270-276.
13. Харчилава Д.Ф., Джинчарадзе А.Х. – Озоногенератор для градуировки озонометрических приборов. Тр. 6-го Всес. Симп., Ленинград, 15-17 мая 1985, Л., Гидрометеоиздат, 1987, с. 63-65.
14. Amiranashvili A., Bliadze T., Chikhladze V. - Air Pollution in Tbilisi in the Winter Fogs. Abstr. of the 6th Int. Conf. on Fog, Fog Collection and Dew, Yokohama, Japan, May 19-24, 2013.
15. ХарчилаваД.Ф., Чихладзе В.А., Чочишвили К.М., Чхаидзе Г.П. – Особенности изменчивости концентрации приземного озона в Тбилиси в 1984-2012 гг. Тр. Института Гидрометеорологии ГТУ, ISSN 1512 – 0902, т.119, Тбилиси, 2013, с. 100-103.

მაღალი კონცენტრაციის მიწისპირა ოზონის ლაბორატორიული მოდელირება

ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ.

რეზიუმე

მოცემულია ფოტოქიმიური სმოგის თანამდევი პროცესების საკვლევი სმოგური კამერის აღწერილობა. მოყვანილია მაღალი კონცენტრაციის ოზონური გარემოს შექმნის მეთოდიკა, წარმოდგენილია სხვადასხვა ტემპერატურის, გამოყოფილი მოცულობის სხვადასხვა სიმაღლის და სხვადასხვა ექსპოზიციის დროს კონცენტრაციის ზრდის და შემცირების გრაფიკები ზემოქმედების გარეშე. ნაჩვენებია ოზონის კონცენტრაციის შექმნის და შემცირების სიჩქარეები, კონცენტრაციის გარკვეული მნიშვნელობების მიღწევის დრო და აგრეთვე მაქსიმალური მიღებული მნიშვნელობები. ნაჩვენებია ფოტოქიმიურ სმოგზე აქტიური ზემოქმედებისათვის სმოგური კამერის გამოყენების შესაძლებლობა.

LABORATORY MODELLING OF SURFACE OZONE OF HIGH CONCENTRATION

Amiranashvili A., Bliadze T., Chikhladze V.

Resume

Description of smog chamber for investigating the processes, which associate with photochemical smog is given. The procedure of obtaining the ozone medium of high concentration is given, the graphs of increase and decrease of concentration at different exposures without the action, different height of the chosen volume and different temperature are represented. The rates of growth and reduction in ozone concentration, the times of the establishment of the given values, and also the maximum concentrations reached are determined. The possibility of using the smog chamber for the experiments of the active action on the photochemical smog is shown.

ЛАБОРАТОРНОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ПРИЗЕМНОГО ОЗОНА ВЫСОКОЙ КОНЦЕНТРАЦИИ

Амиранашвили А.Г., Блиадзе Т.Г., Чихладзе В.А.

Резюме

Дано описание смоговой камеры для исследования процессов, сопутствующих фотохимическому смогу. Приводится методика получения озонной среды высокой концентрации, представлены графики роста и уменьшения концентрации при различных экспозициях без воздействия, разной высоте выделенного объема и разной температуре. Определены скорости роста и снижения концентрации озона, времена установления заданных значений, а также максимальные достигнутые концентрации. Показана возможность использования смоговой камеры для экспериментов по активному воздействию на фотохимический смог.

გამოკვლევების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები გეოფიზიკის ინსტიტუტში ატმოსფეროს ფიზიკის დარგში

ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

ბოლო დროს ძალზე აქტუალურია ბუნებაში გლობალური ცვლილებების ფონზე გარემოზე მზარდი ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად კლიმატის და კლიმატის ცალკეული ელემენტების ცვლილების შესწავლა, ამ ცვლილებების ბუნებრივ კატასტროფებთან კავშირების დადგენა, ეკოსისტემების მოწყვლადობის შეფასება. აგრეთვე აქტუალური რჩება გარემოსათვის მავნე ატმოსფერული მახასიათებლების და მოვლენების გავლენის შემცირებისათვის მათზე ახალი აქტიური ზემოქმედების მეთოდების დამუშავება და არსებულის გაუმჯობესება.

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში ატმოსფეროს ფიზიკის დარგში ტრადიციულ კვლევებთან ერთად, როგორებიცაა ღრუბლების ფიზიკა და ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედება, ატმოსფერული აეროზოლების და ოზონის ფიზიკა, ატმოსფერული პროცესების და მათზე აქტიური ზემოქმედების ექსპერიმენტული ლაბორატორული მოდელირება, რადიოლოკაციური მეტეოროლოგია, ატმოსფეროს დაბინძურება, აგრეთვე ტარდებოდა და ტარდება სამუშაოები საქართველოს კლიმატის ცვლილების, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შეფასების, საქართველოს საკურორტო და ტურისტული ადგილების კლიმატური და ბიოკლიმატური პასპორტიზაციის, ადამიანის ჯანმრთელობაზე და ზოგადად ბიოსფეროზე სხვადასხვა მეტეო-გეოფიზიკური ფაქტორების ზემოქმედების შეფასების, სხვადასხვა გეოფიზიკური ველების კომპლექსურ კვლევების დარგში.

კერძოდ, ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია 225 ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია, 1 ბროშურა და 1 პატენტი აღმოჩენაზე. მიღებულია შემდეგი მნიშვნელოვანი შედეგები:

- შექმნილია სეტყვა-ელჭექ საშიშ ღრუბელთა ექსპერიმენტული რადიოლოკაციური მოდელები (ღრუბლების რადიოლოკაციური სტრუქტურა, სეტყვის და ელქექის პროგნოზირების მეთოდები, ღრუბლების განაწილების დეტალური რუკები კახეთის ტერიტორიაზე და სხვა) [1-3]. ეს შედეგები სასარგებლოა ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოების დაგეგმვისას, რაზეც ჩვენ რეგულარულად ვაყენებდით მთავრობის წინაშე საკითხს ნალექების ხელოვნური რეგულირების სამუშაოების განახლების თაობაზე [4].
- თბილისში და რუისპირში ტარდება მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის მონიტორინგი. რეგულარულად დგინდება ოზონის კონცენტრაციის ცვლილების ტენდენციები, მისი ზემოქმედების ეფექტები ბიოსფეროზე [5-6].
- შემოთავაზებულია ატმოსფერული აეროზოლების და კონვექციური ღრუბლების ურთიერთქმედების, და აგრეთვე ატმოსფეროში მიმდინარე იონიზაციის და ელექტრიზაციის პროცესების გათვალისწინებით ატმოსფეროსა და ღრუბლებში კონდენსაციის და კრისტალიზაციის ბირთვების და ყინულის კრისტალების შექმნის კონცეფცია. ნაჩვენებია, რომ მძლავრ კონვექციურ და ელჭექის ღრუბლებს გააჩნიათ უნარი შეიტანონ არსებითი წვლილი კლიმატის ცვლილებაში [7].
- შესწავლილია ატმოსფეროში მეორადი აეროზოლების შექმნაზე სქემით გაზი→ ნაწილაკი მაიონიზებელი გამოსხივების გავლენა და მიღებულია, რომ ისინი არიან გაზებიდან სუბმიკრონული აეროზოლების შექმნის ძლიერი კატალიზატორები [8,9].
- გამოვლენილია რადიონუკლიდური გამოსხივების ეფექტების თავისებურებები ქალაქის პირობებში მეორადი აეროზოლების წარმოქმნაში: თბილისური ტიპის სმოგი – ბუნებრივ პირობებში შეუძლებელი მაიონიზებელ გამოსხივების ინტენსივობასა და მსუბუქი იონების

კონცენტრაციას შორის შებრუნებული დამოკიდებულება, რაც შესაძლებელია აგრეთვე სხვა ძლიერ გაჭუჭყიანებულ ქალაქებშიც [9,10].

- მიღებულია, რომ ელჭექური და სეტყვის პროცესების ინტენსივობა არსებითად არის დამოკიდებული ატმოსფეროს აეროზოლურ დაბინძურებაზე, რომლის ზრდაც მთლიანობაში იწვევდა სეტყვის მოსვლის ინტენსივობის ზრდას და შესაბამისად სეტყვასაწინააღმდეგო სამუშაოების ზემოქმედების ეფექტიანობის შემცირებას [11,12].
- თერმობაროკამერების ლაბორატორულ კომპლექსში ჩატარდა ექსპერიმენტები სმოგური ოზონის შესაქმნელად და მასზე ზემოქმედებისათვის, რის საფუძველზეც დამუშავებულია ატმოსფეროში ოზონის მაღალი კონცენტრაციების ხელოვნური შემცირების საცდელი მეთოდიკა [9].
- კვლევათა ერთერთი მიმართულებაა - საქართველოში კლიმატის ცვლილება, კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებების შეფასება გლობალური და რეგიონალური ხასიათის ცვლილებებთან მიმართებაში, პერიოდულობის და აგრეთვე მზის აქტივობის ვარიაციების გათვალისწინებით. დაწყებულია სამუშაოები შავი ზღვის დონის ცვლილების დინამიკის შესწავლისათვის [7, 13-17].
- მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ პრობლემებს. შესწავლილია ქვეყნის ჰაერის დაბინძურების მრავალწლიანი დინამიკა, აეროზოლების წონითი კონცენტრაცია, აზოტის და გოგირდის ჟანგეულები, ოზონი და სხვა [7, 9, 13, 18].

  - ჩატარებულია თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზოგიერთი ასტრო-მეტეო-გეოფიზიკური ფაქტორის რისკის შეფასება. დადგინდა, რომ 1984-2010 წწ. მიწისპირა ოზონის და სმოგის სხვა კომპონენტების მომატებული კონცენტრაციები ზრდიდნენ საშუალო წლიურ სიკვდილიანობას ქ. თბილისის მოსახლეობაში საშუალოდ 14.1%-ით. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გასული საუკუნის ოთხმოციან წლებთან შედარებით, ქ. თბილისის მოსახლეობა უფრო მგრძნობიარე გახდა ჰაერის დაბინძურების მიმართ (ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ეფექტები და ლეტალური შედეგების შემთხვევები გვხვდება მიწისპირა ოზონის უფრო დაბალი კონცენტრაციის დროს). მთლიანობაში სმოგური სიტუაციების დღეებში ჰაერის ოზონით, ოზონწარმომქნელი გაზებით და აეროზოლებით დაბინძურებასთან ერთად ადამიანის ჯანმრთელობაზე თბილისის პირობებში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორების ვარიაციები, როგორებიცაა ჰაერის თერმული რეჟიმი, ატმოსფერული წნევა, კოსმოსური სხივები [9, 19].
- დასავლეთ საქართველოში ჩატარდა რადონის ფართომასშტაბიანი მონიტორინგი ნიადაგში, სასმელ წყალში და საცხოვრებელ სახლებში. აგებულია რადონის განაწილების რუკები, გამოვლენილია რადონის შემცველობის კავშირი ფილტვის კიბოს გავრცელებასთან. ტარდებოდა აგრეთვე გამა რადიაციის, მსუბუქი იონების შემცველობის, მეტეოროლოგიური პარამეტრების და სხვათა გაზომვები [20, 21].
- ჩატარებულია საქართველოს ტერიტორიის დაწვრილებითი დარაიონება ბუნებრივი ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების საშიშროებების, რისკების, ეკონომიკური ზარალის და სხვა პარამეტრების მიხედვით [22].
- გამოკვლეულია საქართველოს ზოგიერთი საკურორტო და ტურისტული ზონების სხვადასხვა სასარგებლო ბიოკლიმატური რესურსები [23-25].
- ჩატარებულია ტექტონიკური რღვევების თავზე და მიწისძვრების დროს ატმოსფერული ელექტრობის ცვლილების გამოკვლევები, შესწავლილია სეისმური აქტივობის ცენტრებთან დაკავშირებული ულტრადაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის ცვლილებათა თავისებურებანი, მონახულია ნიადაგის რადონისა და ჰაერის ელექტრული გამტარებლობის კავშირი მიწისძვრებთან [26, 27].

განვითარების პერსპექტივები:

მომდევნო 10 წლისათვის ხსენებული სამუშაოების განვითარების სტრატეგია შეიცავს ფუნდამენტურ, გამოყენებით და ტექნოლოგიურ მიმართულებებს, აგრეთვე სასწავლო-განმანათებელ მოღვაწეობას (იხილე ბლოქ-სქემა). შესასრულებელი ამოცანები:

- თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში მიწისპირა ოზონის, აზოტის, გოგირდის და ნახშირბადის ჟანგეულების, აეროზოლების წონითი კონცენტრაციის, სუბმიკრონული აეროზოლების შემცველობის, მსუბუქი იონების კონცენტრაციის, სტანდარტული მეტეოროლოგიური პარამეტრების, მზის პირდაპირი და ჯამური რადიაციის, ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის, ხილვადობის, ჰაერის ბუნებრივი რადიოაქტიურობის, ელჭექების აქტივობის, გეომაგნიტური ველის, დედამიწის მიმოქცევების და გალაქტიკური

კოსმოსური სხივების ინტენსივობის კომპლექსური სტაციონარული და სამარშრუტო მონიტორინგი.



- დიდ საღრუბლო კამერაში სხვადასხვა ბუნებრივი და ანრთროპოგენური საშიში ატმოსფერული პროცესების მოდელირება და მათზე ხელოვნური ზემოქმედების ექსპერიმენტების ჩატარება სხვადასხვა რეაგენტების გამოყენებით.
- საშიში მეტეო–გეოფიზიკური ფაქტორების ზემოქმედების ეფექტების შეფასება, მათი რეგულირების ახალი მეთოდების შემუშავება და არსებულის გაუმჯობესება. წინადადებების შემუშავება სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის აღსადგენად.
- კახეთში კონვექციური პროცესების (სეტყვა, ელჭექი) სივრცულ-დროითი თავისებურებანის რეტროსპექტული ანალიზი.

- ქ. თბილისის და საქართველოს სხვა რეგიონების ტერიტორიების კარტირება ჰაერის დაჭუჭყიანების დონის, ელჭექის აქტივობის და ბიოკლიმატური რესურსების მიხედვით.
- ფოტოქიმიური სმოგის და ოზონის წარმოშობის პროცესების მზის რადიაციასთან, მეტეოროლოგიურ პარამეტრებთან, ატმოსფეროში მაიონიზებელ გამოსხივებასთან, ჰაერის აეროზოლურ დაბინძურებასთან და სხვ. კავშირების ფიზიკურ-სტატისტიკური მოდელის დაზუსტება; მათი წარმოქმნის ძირითადი პირობების განსაზღვრა ქ. თბილისში და მის შემოგარენში. ჰაერის აეროზოლური დაჭუჭყიანების გავლენა ატმოსფერულ მოვლენებზე.
- ჰაერის ტემპერატურის საუკუნოვან ვარიაციებში პერიოდულობის გამოვლინება საქართველოში დედამიწის სხვა რეგიონებთან შედარებით.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მგრძნობიარობის შეფასება სხვადასხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური მეტეო–გეოფიზიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე. ამ ზემოქმედების ზღვრული დასაშვები დონეების დაზუსტება.
- ეკოსისტემების მოწყვლადობის შეფასება სხვადასხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური მეტეო–გეოფიზიკური ფაქტორების გავლენაზე.
- პალეოკლიმატის რეკონსტრუქცია კახეთში.
- კლიმატის ცვლილების ემპირიული მოდელი მისი ძირითადი ელემენტების სხვადასხვა გეოფიზიკური ფაქტორებთან კავშირების გათვალისწინებით.
- მწვანე ტექნოლოგიების განვითარება.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Салуквадзе Т.Г., Хелая Е.И. - Эмпирические радиолокационные модели различных конвективных облаков теплого сезона восточной Грузии. Тр. Ин-та гидрометеорологии, том № 115, ISSN 1512-0902, Тбилиси, 2008, с. 141-149.

2. Salukvadze T., Khelaia E., Kiria J. - Radar way of separation of convection clouds on thunderstorm and not thunderstorm with ap-plying of a method of pattern recognition. Proc. 13th Int. Conf. on Atmospheric Electricity, Beijing, China, 2007, pp. 418-422.

3. დორეული რ. - ადგილმდებარეობის რელიეფის საშუალო სიმაღლის გავლენა მის თავზე განვითარებულ კონვექციურ ღრუბლების მაქსიმალურ რადიოლოკაციურ ამრეკვლადობის მამრავლის ლოგარითმზე. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ISSN 1512-0902, ტ. 114, თბილისი, 2010, გვ. 55-59.

4. Амиранашвили А.Г., Бахсолиани М.Г., Бегалишвили Н.А., Бериташвили Б.Ш., Рехвиашвили Р.Г., Цинцадзе Т.Н., Читанава Р.Б. – О необходимости возобновления работ по искусственному регулированию атмосферных процессов в Грузии. Тр. Ин-та Гидрометеорологии ГТУ, ISSN 1512 – 0902, т.119, Тбилиси, 2013, с. 144 - 152.

5. Amiranashvili A., Kharchilava J., Chikhladze V. – Statistical Characteristics of Surface Ozone Concentration in Ruispiri in 2006-2009. Journal of the Georgian Geophysical Society, Issue B. Physics of Atmosphere, Ocean and Space Plasma, ISSN 1512-1127, vol. 13B, Tbilisi, 2009, pp. 55–64.

6. ХарчилаваД.Ф., Чихладзе В.А., Чочишвили К.М., Чхаидзе Г.П. – Особенности изменчивости концентрации приземного озона в Тбилиси в 1984-2012 гг. Тр. Ин-та Гидрометеорологии ГТУ, ISSN 1512 – 0902, т.119, Тбилиси, 2013, с. 100-103.

7. Amiranashvili A.G., Amiranashvili V.A., Gzirishvili T.G., Kharchilava J.F., Tavartkiladze K.A. – Modern Climate Change in Georgia. Radiatively Active Small Atmospheric Admixtures. Monograph, Trans. of M.Nodia Institute of Geophysics of Georgian Acad. of Sci., ISSN 1512-1135, vol. LIX, 2005, 128 p.

8. Амиранашвили А.Г., Блиадзе Т.Г., Киркитадзе Д.Д., Никофоров Г.В., Нодия А.Г., Чанкветадзе А.Ш., Чихладзе В.А. – Приземный радон как катализатор загрязнения воздуха в Тбилиси вторичными аэрозолями. Тр. Ин-та геофизики им. М.З. Нодиа, ISSN 1512-1135, том. 62, Тбилиси, 2010, с. 197-206.

9. ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ. - ფოტოქიმიური სმოგი თბილისში. მონოგრაფია, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, ISSN 1512-1135, ტომი 63, თბილისი, 2012, 160 გვ.

10. Amiranashvili A. - Tbilisi Type of Smog as Attribute of Feedback Effect Between the Air Ionization Intensity and Small Ions Concentration. Proc. of 7th Asia-Pacific Int. Conf. on Lightning, Chengdu, China, November 1-4, 2011, http://www.apl2011.net/.

11. Amiranashvili A., Nodia A., Khurodze T., Kartvelishvili L., Chumburidze Z., Mkurnalidze I. – Variability of Number of Hail and Thunderstorm Days in the Regions of Georgia with Active Influence on Atmospheric Processes. Bull. of Georg. Acad. of Sc., 172, N3, 2005, 484-486.
12. Amiranashvili A. – Statistical Models of Connection of Lightning Activity with Aerosol Pollution of Atmosphere. Proc. of X Int. Symposium on Lightning Protection, Curitiba, Brazil, 9-13 November 2009, pp.261-266.
13.თავართქილაძე კ., ბეგალიშვილი ნ., ხარჩილავა ჯ., მუმლაძე დ., ამირანაშვილი ა., ვაჩნაძე ჯ., შენგელია ი., ამირანაშვილი ვ. – ჰავის თანამედროვე ცვლილება საქართველოში. ჰავის განსაზღვრული ზოგიერთი პარამეტრის რეჟიმი და მისი ცვალებადობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, ISBN 99928–885–4.7, მონოგრაფია, 2006, 177 გვ.
14. Alania M.V., Salukvadze T.G., Khelaia E.I., Kapanadze N.I., Djaparidze D.R. - Features of Long-Term Changes of the Air Temperature in Tbilisi, Georgia. Collected Papers New Series, N 3(82), ISSN 2333-3347, Tbilisi, 2011, pp. 147-153.
15. Amiranashvili A., Matcharashvili T., Chelidze T. - Climate Change in Georgia: Statistical and Nonlinear Dynamics Predictions. Journal of Georgian Geophysical Soc., Iss. (A), Physics of Solid Earth, vol.15a, Tbilisi, 2011-2012, pp. 67-87.
16. Амиранашвили А.Г., Картвелишвили Л.Г., Трофименко Л.Т., Хуродзе Т.В. – Статистическая оценка ожидаемых изменений температуры воздуха в Тбилиси и Санкт-Петербурге до 2056 года. Тр. Ин-та Гидрометеорологии ГТУ, ISSN 1512 – 0902, т.119, Тбилиси, 2013, с. 58 - 62.
17. Metreveli G. S., Tsivtsivadze N. Sh., Amiranashvili A.G. - Modern Information on World Ocean Current Eustasy. Journal of Iv. Javakhishvili TSU M. Nodia Institute of Geophysics and the Georgian Geophysical Society, Iss. B., vol. 14B, ISSN 1512-1127, Tbilisi, 2010, pp. 96-102.
18. Блиадзе Т.Г., Киркитадзе Д.Д., Никифоров Г.В., Чанкветадзе А.Ш. – Субмикронные аэрозоли в атмосфере Тбилиси. Тр. Ин-та Гидрометеорологии ГТУ Грузии, ISSN 1512–0902, т.119, Тбилиси, 2013, с. 95-99.
19. Амиранашвили А.Г., Амиранашвили В.А., Картвелишвили Л. Г., Нодия Х.А., Хуродзе Т.В. – Влияние эффективной температуры воздуха и магнитных бурь на здоровье населения г. Тбилиси. Тр. Ин-та гидрометеорологии, том № 115, ISSN 1512-0902, Тбилиси, 2008, с. 434–437.
20. Amiranashvili A., Chelidze L., Gvinianidze K., Melikadze G., Todadze M., Trekov I., Tsereteli D. – Radon Distribution and Prevalence of Lung Cancer in Several Areas of West Georgia. Trans. of the In-te of Hydrometeorology, vol. No 115, ISSN 1512-0902, Tbilisi, 2008, pp. 349–353.
21. Amiranashvili A., Bliadze T., Chankvetadze A., Chikhladze V., Melikadze G., Kirkitadze D., Nikiforov G., Nodia A. - Comparative Characteristics of Light Ions Content in the Urban and Ecologically Clean Locality in Georgia. Proc. of the 14th Int. Conf. on Atmospheric Electricity, Rio de Janeiro, Brazil, August 07-12, 2011, http://www.icae2011.net.br/.
22. Varazanashvili O., Tsereteli N., Amiranashvili A., Tsereteli E., Elizbarashvili E., Dolidze J., Qaldani L., Saluqvadze M., Adamia Sh., Arevadze N., Gventcadze A. - Vulnerability, Hazards and Multiple Risk Assessment for Georgia. Natural Hazards, Vol. 64, Number 3 (2012), 2021-2056, DOI: 10.1007/s11069-012-0374-3, http://www.springerlink.com/content/9311p18582143662/fulltext.pdf. 2013.
23. Amiranashvili A., Matzarakis A., Kartvelishvili L. - Tourism Climate Index in Tbilisi. Trans. of the In-te of Hydrometeorology, vol. No 115, ISSN 1512-0902, Tbilisi, 2008, pp. 27 - 30.
24. Саакашвили Н.М., Табидзе М.Ш., Тархан-Моурави И.Д., Амиранашвили А.Г., Меликадзе Г.И., Чихладзе В.А. - К вопросу о паспортизации курортных и туристических ресурсов Грузии. «Современные проблемы использования курортных ресурсов», Сборник научных трудов международной конференции, Саирме, Грузия, 10-13 июня 2010 г., ISBN 978-9941-0-2529-7, Тбилиси, 2010, с. 175-180.
25. Amiranashvili A.G., Chikhladze V.A. Saakashvili N.M., Tabidze M.Sh., Tarkhan-Mouravi I.D. - Bioclimatic Characteristics of Recreational Zones – Important Component of the Passport of the Health Resort – Tourist Potential of Georgia. Trans. of the In-te of Hydrometeorology at the GTU, vol. 117, ISSN 1512-0902, Tbilisi, 2011, pp. 89-92.
26. Matiashvili T., Amiranashvili A., Amiranashvili V., Sharadze Z., Chikhladze V., Chikhladze A. - ULF Electromagnetic Variations Connected with a Seismic Center. Journal of the Georgian Geophysical Society, Issue A. Physics of Solid Earth, ISSN 1512-1127, vol. 12A, Tbilisi, 2008, pp. 70–74.

27. Амиранашвили А.Г. Матиашвили Т.Г., Нодия А.Г., Хунджуа А.Е.,Чихладзе В.А. – Связь почвенного радона и электропроводности воздуха с землетрясениями. Тр. Ин-та геофизики им. М.З. Нодиа, ISSN 1512-1135, том. 60, Тбилиси, 2008, с. 195–201.

გამოკვლევების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები გეოფიზიკის ინსტიტუტში ატმოსფეროს ფიზიკის დარგში

ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ.

რეზიუმე

წარმოდგენილია გეოფიზიკის ინსტიტუტში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ატმოსფეროს ფიზიკის დარგში ნამუშევრების მოკლე მიმოხილვა. აღნიშნულია ინსტიტუტის მიღწევები საქართველოში კლიმატის ცვლილების, ატმოსფეროს აეროზოლური და გაზური დაჭუჭყიანების, სეტყვის ღრუბლების რადიოლოკაციურო მახასიათებლების და ა.შ. კვლევებში. შემოთავაზებულია უახლოესი 10 წლისათვის ხსენებული სამუშაოების განვითარების სტრატეგია, რომელიც შეიცავს ფუნდამენტურ, გამოყენებით და ტექნოლოგიურ მიმართულებებს, აგრეთვე სასწავლო-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. გათვალისწინებულია ბუნებრივი და ანტროპოგენური წარმოშობის საშიში მეტეო-გეოფიზიკური პროცესების ნეგატიური ზემოქმედებისაგან ეკოსისტემების მოწყვლადობის შესწავლა, ამ ზემოქმედების ეფექტების შერბილების მეთოდების დამუშავება და სრულყოფა, კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზების ცოდნის გაღრმავება და ამ ცვლილებების პროგნოზირება, სასარგებლო ბიოკლიმატური რესურსების გამოვლენა და სხვა საკითხები.

CONTEMPORARY STATE OF STUDIES IN THE FIELD OF PHYSICS OF ATMOSPHERE IN M. NODIA INSTITUTE OF GEOPHYSICS AND PERSPECTIVE OF THEIR DEVELOPMENT

Amiranashvili A., Bliadze T., Chikhladze V.

Resume

The brief survey of works in the field of physics of atmosphere in the institute of geophysics in the last 10 years is represented. The achievements of institute of study of climate change in Georgia, the aerosol and gas pollution of atmosphere, radar characteristics of hail clouds, etc. are noted. The strategy of development of this works to the next 10 years indicated, which includes fundamental, applied and technological directions, also educational - enlightenment activity is proposed. Special attention is inverted for the development of works on the study of the vulnerability of ecosystems to the negative action of the dangerous meteorological - geophysical processes of natural and anthropogenic origin, development and improvement of the methods of the softening of the effects of this action, extension of knowledge about the reasons for climate changes and prognostication of these changes, detection of useful bioclimatic resources, etc.

СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ ИССЛЕДОВАНИЙ В ОБЛАСТИ ФИЗИКИ АТМОСФЕРЫ В ИНСТИТУТЕ ГЕОФИЗИКИ ИМ. М.З. НОДИА И ПЕРСПЕКТИВЫ ИХ РАЗВИТИЯ

Амиранашвили А., Блиадзе Т., Чихладзе В.

Резюме

Представлен краткий обзор работ в области физики атмосферы в институте геофизики за последние 10 лет. Отмечаются достижения института по изучению изменения климата в Грузии, аэрозольного и газового загрязнения атмосферы, радиолокационных характеристик градовых облаков и др. Предложена стратегия развития указанных работ на ближайшие 10 лет, включающая в себя фундаментельные, прикладные и технологические направления, также учебно-

просветительскую деятельность. Предполагается развитие работ по изучению уязвимости экосистем от негативного воздействия опасных метео-геофизических процессов природного и антропогенного происхождения, разработке и усовершенствованию методов смягчения эффектов этого воздействия, углублению знаний о причинах изменения климата и прогнозированию этих изменений, выявлению полезных биоклиматических ресурсов.

საქართველოს ტეროტორიაზე მიწისძვრის წინამორბედების გამოვლენა ჰიდროდინამიკური მონიტორინგის მეშვეობით

გიორგი მელიქაძე, გენადი კობზევი, თამარ ჯიმშელაძე

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

აბსტრაქტი

რეალურ დროში, ტექტონიკური პროცესების მონიტორინგისა და სეისმური მდგენელის გამოყოფის მიზნით, შემუშავდა ჰიდროდრინამიური დაკვირვების სპეციალური მეთოდი. მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა a, b, c კოეფიციენტების ცვალებადობა, როგორც სეისმური მოვლენის დროს, ასევე მის წინა პერიოდში, რაც ადასტურებს, წყლის დონის, როგორც ტექტონიკური პროცესების ინდიკატორის ინფორმატიულობას. შემუშავდა მეთოდიკა, დაკვირვების მონაცემებიდან გეოდინამიკური მდგენელის გამოყოფის და მისი დროში და სივრცეში განაწილების კანონზომიერების დადგენის მიზნით. კვლევების თანახმად, მიწისძვრის ეპიცენტრი ემთხვევა მაქსიმალური გრადიენტის ზონას დეფორმაციის ველში. რაჭის მიწისძვრის მომზადების პერიოდში, წყლის დონის ანომალიური რღვევები იქნა დაფიქსირებული მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც მიუთითებს დეფორმაციული პროცესების დიდი ფართობზე განვითარებას. ასევე განხილულია ძლიერი მიწისძვრების დროს, წყლის დონის ანომალური რღვევების ვიზუალიზაციისათვის შემუშავებული სიჩქარეების მეთოდი და მისი მნიშვნელობა.

შესავალი

როგორც ცნობილია, კავკასიის ტერიტორიამიეკუთვნება მსოფლიოში სეისმურად აქტიურ რეგიონთა რიცხვს, ამიტომ გეოდინამოიური პროცესების განვითარების შესწავლა და მიწისძვრის ინფორმატიული წინამორბედების გამოვლენა წარმოადგენს მეტადაქტუალურ და მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის გადაწყვეტასთანაც დაკავშირებულია საქართველოსა და მისი მეზობელ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და ასევე მოსახლეობის უსაფრთხოება.
კორელაცია, მიწისქვეშა წყლების ჰიდროდინამიკურ ანომალიებსა და სეისმური მოვლენებს შორის, რაც გამოწვეულია ტექტონიკური პროცესებით, დაფიქსირებულია დიდი ხნის წინ. ნათელია ამ მოვლენის ფიზიკური არსიც: ლითოსფეროს ქანები შეიცავენ ნაპრალებს და ფორებს, რომლებიც რეაგირებენ მექანიკურ დაძაბულობაზე. როგორც ცნობილია, წყალი - უკუმშვადი გარემოა და სისტემის გახსნილობის შემთხვევაში დაძაბულობის ცვლილებისას იგი გამოედინება ამ დეფორმირებული სივრციდან, რაც გვაძლევს საშუალებას დავაკვირდეთ დაძაბულობის ცვლილებას. დეფორმაციული პროცესების, ძლიერი მიწისძვრებისა და მიწისქვეშა წყლების ჰიდროდინამიკის ურთიერთკავშირის მექანიზმის გამოვლენა, საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ჰდროდინამიური ველის ამგვარი ცვლილება.

მონაცემთა ანალიზი

"ჰიდროგეოდეფორმაციული ველის მონიტორინგის" მიზნით, რაც საშუალებას იძლევარეალურ დროში დავაკვირდეთ ლითოსფეროში მიმდინარე დეფორმაციულ პროცესებს და შევისწავლოთ გარემოს გეოდინამიური განვითარების კანონზომიერებები, (1), გასული საუკუნის 80-იან

წლებში დაწყებულ იქნა სამუშაოები სპეციალიზირებული ჰიდროგეოლოგიური ჭაბურღილების ქსელის შექმნის მიზნით. სარეჟიმო ჭაბურღილები შეირჩა ისე, რომ მათ დაეხასიათებინათ ყველა დიდი გეოლოგიური ბლოკი. დაკვირვების პერიოდში ჭაბურღილები, როგორც მოცულობითი დეფორმოგრაფები, მგრძნობიარედ რეაგირებენ ყველა სახის დეფორმაციებზე, როგორც ეგზოგენურზე, ასევე ენდოგენურზე (2-5). დაკვირვების სიზუსტე აღწევდა 10^{-7}-10^{-9}სიდიდეს. დაკვირვებათა დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი მთელი კავკასიის მასშტაბით.

მონცემთა დამუშავების მიზნით, შემუშავდა ახალი დამუშავების მეთოდი, რომელიც დაიწერა Matlab-ის გარემოში. პროგრამა საშუალებას იძლევა მოხდეს თეორიული სიგნალის სინთეზირება და მისი შედარება წყლის დონის რეალურ მონაცემებთან. ასევე, პროგრამა საშუალებას იძლევა ცალკე გამოვთვალოთ თითოეული ეგზოგენური პარამეტრი და შევისწავლოთ მათი გავლენა წყალშემცველ ჰორიზონტზე.

მონაცემთა დამუშავების მეთოდიკის სადემონსტრაციოდ, განვიხილოთ პარამეტრების ცვლილება რაჭის მიწისძვრის მომზადების პროცესში, 12.08.2009 (M = 4) - 9.09.2009 (M = 4.6) პერიოდისათვის, სამ სადგურზე.

პირველი მათგანი - "ონი", მდებარეობს ეპიცენტრალურ არეში, მეორე - "აჯამეთი", მდებარეობს 100 კმ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, და "ლაგოდეხი" მდებარეობს ეპიცენტრიდან აღმოსავლეთით200 კმ-ში.



სურ. 1. წყლის დონის (ზედა ხაზი), ატმოსფერული წნევისა (შუა) და მიმოქცევის (ქვედა ხაზი) ვარიაციები ,,ონი''-ს სადგურზე. ვერტიკალური ხაზები აღნიშნავენ მიწისძვრებს. სურათზე ჩანს დარღვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა რაჭის მიწისძვრის პერიოდში.



სურ. 2. წყლის დონის (ზედა ხაზი), ატმოსფერული წნევისა (შუა) და მიმოქცევის (ქვედა ხაზი)ვარიაციები,,აჯამეთი''-ს სადგურზე. ვერტიკალური ხაზები აღნიშნავენ მიწისძვრებს.



სურ. 3. წყლის დონის (ზედა ხაზი), ატმოსფერული წნევისა (შუა) და მიმოქცევის (ქვედა ხაზი) ვარიაციები,,ლაგოდეხი''-ს სადგურზე. ვერტიკალური ხაზები აღნიშნავენ მიწისძვრებს.

მოცემულ გრაფიკებზე მოყვანილია სხვადასხვა პარამეტრების ცვლილებება სადგურებზე. წყლის დონის ვარიაცია, როგორც მულტისიგნალი მოიცავს, როგორც ეგზოგენური (მოქცევის

ვარიაციები, ატმოსფერული წნევის და ნალექების) ასევე ენდოგენური (მიწისძვრა) ფაქტორების გავლენას. სეისმურად წყნარ პერიოდში ცვლილება გამოწვეულია მხოლოდ გარე ფაქტორების ზეგავლენით, ხოლო მიწისძვრის მომზადების პროცესში იცვალება ვარიაციების ბუნება. მოცემულ პერიოდში წყლის დონის ცვლილებაში დარღვევა დაიკვირვება, როგორც მიწისძვრამდე ასევე მიწისძვრის შემდგომ პერიოდში (სურ. 1-3).

პარამეტრების ცვლილებებასა და მიწისძვრებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამოსავლენად, შემოღებული იქნა კორელაციის კოეფიციენტები: a - წყლის დონესა და მიმოქცევებს შორის, b - წყლის დონესა და ატმოსფერული წნევის ცვლილებებს შორის და მუდმივა - c. დაიწერა სპეციალური პროგრამა, რომელიც საშუალებას გვგაძლევს გამოვავლინოთ a, b, c კოეფიციენტების ,,ვარიაციები“ და "ნარჩენი" სიგნალი მიწისძვრის მოხდენის პერიოდში.



სურ. 4. a, b და c კოეფიციენტების ცვლელება ,,ონი“-ს სადგურზე.



სურ. 5 . "ნარჩენი" სიგნალის ვარიაცია ,,ონი“-ს სადგურზე.



სურ. 6. a, b და c კოეფიციენტების ცვლელება ,,აჯამეთი“-ს სადგურზე.



სურ. 7 . "ნარჩენი"სიგნალის ვარიაცია ,,აჯამეთი“-სსადგურზე. ვერტიკალური წითელი ხაზები აღნიშნავენ მიწისძვრებს.



სურ. 8 . a, b და c კოეფიციენტების ცვლელება ,,ლაგოდეხი“-ს სადგურზე.



სურ. 9 . "ნარჩენი" სიგნალის ვარიაცია ,,ლაგოდეხი“-ს სადგურზე.

ჭაბურღილში წყლის დონის ცვლილების ,,ფონური“ მნიშვნელობა იცვლება როგორც მოვლენამდე, ასევე მის შემდგომ. კოეფიციენტების ცვლილების ხასიათი, თვითოეული ჭაბურღილისათვის დამოკიდებულია ენერგიის იმ მნიშვნელობაზე, რომელმაც მიაღწია ჭაბურღილის არეს. მაგალითად ,,ლაგოდეხის“ ჭაბურღილი უფრო მეტად მგრძნობიარეა ადგილობრივი მიწისძვრების მიმართ, ვიდრე რაჭის მიწისძვრაზე. ამავე დროს დიდია ცვლილების ამპლიტუდა რაჭის მიწისძვრამდე ,,აჯამეთი“-ს ჭაბურღილზე.

გარდა ამისა, პროგრამა საშუალებას იძლევა გამოვითვალოთ გეოდინამიური სიგნალის ცვლილება, რომელიც წარმოადგენ სხვაობას წყლის დონის რეალურ და თეორიულ მნიშვნელობებს შორის და ასევე წყლის დონის ცვლილებაში მაღალსიხშირული სიგნალის ,,ნარჩენი“ მნიშვნელობა (სურ. 10-12).

სურ. 10 . გეოდინამიური სიგნალის ,, ტრენდი“-ს ვარიაცია (ზედა ხაზი) და ნარჩენი მნიშვნელობა(ქვედა ხაზი) ,,ონი“-ს სადგურზე.



სურ. 11 . გეოდინამიური სიგნალის ,, ტრენდი“-ს ვარიაცია (ზედა ხაზი) და ნარჩენი მნიშვნელობა (ქვედა ხაზი) ,,აჯამეთი“-ს სადგურზე.



სურ. 12 . გეოდინამიური სიგნალის ,, ტრენდი“-ს ვარიაცია (ზედა ხაზი) და ნარჩენი მნიშვნელობა (ქვედა ხაზი) ,,ლაგოდეხი“-ს სადგურზე.

წყლის დონის მნიშვნელობის დაწევა იყო დაფიქსირებული ,, ონი“-სა და ,,ლაგოდეხი“-ს სადგურებზე, ხოლო ,,აჯამეთი“-ს სადგურზე - ზრდა. წყლის დონის მნიშვნელობის დაცემის ეფექტი დამახასიათებელია დეკომპრესიის პროცესისათვის, ხოლო ზრდა- წყალშემცველი ჰორიზონტის კუმშვითაა გამოწვეული. მიწისძვრის შემდგომ პერიოდში წყლის დონის მნიშვნელობა აჯამეთის სადგურზე ეცემა, რაც გამოწვეულია დეკომპრესიის პროცესით. ონი-ს სადგურზე ნარჩუნდება კუმშვის პროცესი.

შემდეგ საფეხურს წარმოადგენს ყველა სადგურის გეოდინამიური კომპონენტის სტანდარტიზაცია (ნორმირება) -1 დან +1 ინტერვალში და გეოდინაიური სურათის შექმნა.სიგნალის დადებითი მნიშვნელობები შეესაბამება კუმშვის, ხოლო უარყოფითი - გაჭიმვის დეფორმაციას. სურ. 13-ზე ნათლად ჩანს გეოდეფორმაციული ველის ევოლუცია რაჭის (12.09.2009) მიწისძვრისა და მის შემდგომ პერიოდში. სურათზე ჩანს დეფორმაციის მიგრაცია

კუმშვისას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ასევე მისი მნიშვნელობის ზრდა ეპიცენტრალურ არეში.



სურ. 13. გეოდეფორმაციული ველის ცვლილება 7.09.2009 22:00 - 8.09.2009 12:00 პერიოდში



სურ. 14. გეოდეფორმაციული ველის ცვლილება 9.09.2009 23:00 - 12.09.2009 პერიოდში



სურ. 15. გეოდეფორმაციული ველის ცვლილება 13.09.2009 17:00 - 14.09.2009 18:00 პერიოდში

7-დან 14 სექტემბრამდე შეინიშნება დაძაბულობის ინტენსივობის შემცირება, რაც გამოწვეულია დაძაბულობის განტვირთვით.

28 სექტემბრამდე კვლავ შეინიშნება დაძაბულობის მატება რაც გამოწვეული იყო აფტერშოკების მომზედბის პროცესებით.



სურ. 16. გეოდეფორმაციული ველის ცვლილება 21.09.2009 16:00 - 28.09.2009 18:00 პერიოდში

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მიწისძვრის ეპიცენტრი ყოველთვის ემთხვევა გრადიენტის ექსტრემუმის ზონას დეფორმაციის ველში. ანომალური დარღვევები

აღინიშნებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე(კავკასიაში), რაც ადასტურებს იმას, რომ მიწისძვრის მომზადების პროცესს აქვს რეგიონალური ხასიათი. შესაბამისად, ჭაბურღილებში წყლის დონის ცვლილების დიაპაზონში აირეკლება დეფორმაციული პროცესების განვითარება .

წყლის დონის ანომალური დარღვევების შესწავლის კიდევ ერთ მეთოდს წარმოადგენს სიჩქარეების მეთოდი, რომელიც განიმარტება, როგორც

$$Speed(m+i)=(water(m+i)-water(i))/m, \quad i=1,2,3,\ldots$$

სადაც ***m*** - წუთების ფიქსირებული რიცხვია, მაგალითად ***m***=180წუთს.

ქვემოთ მოყვანილია სიჩქარეების მეთოდით დამუშავებული წყლის დონის ცვლილების ნიმუშები, ძლიერი მიწისძვრის პერიოდში, სადაც სიჩქარეების ვიზუალური შედარების მიზნით მონაცემები გამრავლებულია გარკვეულ კოეფიციენტებზე.



სურ.17. სიჩქარეები, ***m***=180 წთ. ინდონეზიის (სუმატრა) 2012 წლის 11 აპრილის მიწისძვრა, *Mag*=8.4.

სურათებზე ნათლად ჩანს სიჩქარეების დარღვევა ინდონეზიის მიწისძვრის დროს. ცხრილში მოყვანილია წყლის დონის ცვლილების სიდიდე სანტიმეტრებში, რომელიც დაფიქსირდა ინდონეზიის(სუმატრა) მიწისძვრის დროს.

სადგურის დასახელება	წყლის დონის ნახტომი (სმ)
ქობულეთი	4
მარნეული	8
ბორჯომი70	70 (!)

ცხრილი №1

სურ. 18-ზე ასევე მოყვანიულია დარღვევა, რომელიც დაფიქსირდა თურქეთის (ვანი) 2011 წლის 23 ოქტომბრის მიწისძვრის (Mag=7.2) წინ 2-3 დღით ადრე.



სურ.18. სიჩქარეები, *m*=180წთ-ის ინტერვალით, ჭაბურღილებისათვის(ახალქალაქი, აჯამეთი, ბორჯომი, ქობულეთი, ლაგოდეხი, მარნეული) 18-24 ოქტომბრის პერიოდისათვის. წითელი ფერის ვერტიკალური ხაზებით აღნიშნულია მიწისძვრები.

მიწისძვრამდე 2 დღით ადრე, 18-დან 21 ოქტომბრის ჩათვლით დარღვევა ჩანს: ქობულეთის სადგურზე, რომელიც იმყოფება ეპიცენტრიდან 369კმ-ში, სადაც მოხდა წყლის დონის დაწევა 0,5სმ-ით; ბორჯომის სადგურზე, რომელიც იმყოფება 339კმ-ში, სადაც წყლის დონემ აიწია 3,5სმ-ით; ახალქალაქის სადგურზე 291კმ-ში, სადაც წყლის დონემ დაიწია 0,5 სნ-ით და მცირე ცვლილებაა დაფიქსირებული მარნეულის სადგურზე, რომელიც იმყოფება 317კმ-ში ეპიცენტრიდან.

სიჩქარეების მეთოდის ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ თითქმის სრულადაა შესაძლებელი სეზონური მდგენელის მოხსნა, რომელიც ყოველთვის მონაწილეობს წყლის დონის ცვლილებაში. ველის ასაგებად, ყველა ჭაბურღილისათვის, მიწისძვრამდე რამოდენიმე დღით ადრე, გარკვეული პერიოდისათვის, წყლის დონის მნიშვნელობა დაგვყავს ნულამდე; შემდეგ, ვაგებთ ველს და ვაკვირდებით წყლის დონის ცვლილებას მიწისძვრამდე 2 დღის განმავლობაში.



სურ.19. ველები აგებული წყლის დონის ორიგინალური მნიშვნელობისათვის, თურქეთის 23.10.2011 წლის მიწისძვრამდე 2 დღით ადრე.



ა ბ

სურ.20. ველი აგებული წყლის დონის სიჩქარეებისათვის თურქეთის 23.10.2011 წლის მიწისძვრამდე 2 დღით ადრე

დასკვნა

მიწისძვრის პროგნოზირების თვალსაზრისით დადგენილი იქნა წყლის დონის ინფორმატიულობა. მონაცემთა დამუშავების შედეგებმა აჩვენეს a, b, c კოეფიციენტების მახასიათებელი ვარიაციების დარღვევა, როგორც სეისმური მოვლენის დროს ასევე მის წინა პერიოდში. დაფიქსირებული ანომალიების პერიოდები ემთხვევა მიწისძვრის მომზადების პერიოდს. ანომალიის მახასიათებლები(ამპლიტუდა, a, b, c კოეფიციენტების პერიოდი) კორელირებს მიწისძვრის ძალასთან.ანომალური დარღვევები აღინიშნებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე(კავკასიაში), რაც ადასტურებს იმას, რომ მიწისძვრის მომზადების პროცესს აქვს რეგიონალური ხასიათი.

შემუშავდა მეთოდიკა, დაკვირვების მონაცემებიდან გეოდინამიკური მდგენელის გამოყოფის და მისი დროსა და სივრცეში განაწილების კანონზომიერების დადგენის მიზნით. კველევების შედეგად დადგინდა, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი ემთხვევა დაძაბულობის ველში მაქსიმალური გრადიენტის ზონას.

ასევე, დამუშავდა ძლიერი მიწისძვრების დროს, წყლის დონის ანომალური ცვლილებების ვიზუალიზაციისათვის შემუშავებული სიჩქარეების მეთოდი და მისი მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

1. Вартанян Г.С., Куликов Г.В. Гидрогеодеформационное поле Земли. - Доклад АН СССР, 262, N 2, 1982.

2. Gavrilenko, P., G. Melikadze, T.Chelidze, D. Gibert& G. Kumsiashvili (2000) Permanent water level drop associated with Spitak Earthquake: Observations at Lisi Borehole (Republic of Georgia) and modelling. Geophys. J. Int., 143, 83-98.

3. Hsieh, P. A., I. D. Bredehoeft, S. A. Rojstaczer. Response of Well-Aquifer Systems to Earth Ties: Problems Revisited. Water resources Research vol. 24. No. 3. 1988, p.p. 468-472.
4. Rojstaczer, S. 1988. Intermediate period response of water wells to crustal strain: Sensitivity and noise level, J. Geophys. Res., 93, 13,387-12,402.
5. Melikadze G., Matcharashvili T., Chelidze T., Ghlonti E. Earthquake related disturbance in stationarity of water level variation. Bulletin of the Academy of sciences of the Georgian, 165 № 1, 2002

Выявление предвестников землерясения с помощю Гидродинамического мониторинга на территории Грузии

Г. Меликадзе, Г. Кобзев, Т. Джимшеладзе

Абстракт

С целю мониторинга тектонических процессов в режиме реального времени и выделения сейсмического компонента, был разработан специальный метод Гидродинамических наблюдений..Результаты анализа данных показали изменчивость коэффициентов a, b, сдо и во время сейсмического события, которое подтверждает информативность уровня воды в качестве индикатора тектонической активности. Была разработано методика выделения геодинамической составляющей из данных наблюдений, с целью изучения закономерности ее распределения пространстве и времени на больших площадях в процессе подготовки сильных землетрясений. По данным исследований, эпицентр землетрясении совпадает с максимальным градиентом в поле деформации. Во время подготовки Рачинского землетрясения, аномальные нарушение уровня воды были отмечены на всей территории Грузии, что указывает на развитии деформационных процессов на большой территории.

В статье также рассмотрена еще один способ изучения аномального поведения уровня воды – скорости. Достойнством понятия скоростей является отсутствие сезонной состовляющей, которое присутствует в уровнях воды.

ალაზანი-იორის წყალშემკრები აუზების შესწავლა სტაბილური იზოტოპების გამოყენებით

[1]გიორგი მელიქაძე, [1]ნატალია ჟუკოვა, [1]მარიამ თოდაძე, [1]სოფიო ვეფხვაძე, [1]ალექსანდრე ჭანკვეტაძე, [1]ნინო კაპანაძე, [2] რამაზ ჭითანავა

[1]ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

[2]საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო

აბსტრაქტი

ალაზანი-იორის წყალშემკრებ აუზებში, მიწისქვეშა წყლების რესურსების შესწავლის მიზნით პირველად ტარდება კვლევები ბუნებრივი იზოტოპებისა და ჰიდროქიმიური მეთოდების გამოყენებით. პირველ ეტაპზე, წყალშემცველი ჰორიზონტების კვების და განტვირთვის არეალებში, ორგანიზება გაუკეთდა რეჟიმულ დაკვირვებებს ჰაერის ტემპერატურას, ტენიანობასა და ატმოსფერულ ნალექებზე. მდინარე ალაზანსა და იორზე დაიწყო რეჟიმული დაკვირვებები მდინარის დონესა და ხარჯზე და ასევე მიწისქვეშა წყლების დონეებზე ლაგოდეხსა და დედოფლის წყაროში. იზოტოპური მასალის ანალიზმა დააფიქსირა სეზონური ვარიაციები მათ ცვლილებაში და განსხვავებები მათ მნიშვნელობებში, სადგურების გეოგრაფიულ მდებარეობისა და სიმაღლის მიხედვით, რაც სრულად ეთანხმება მსოფლიოში იზოტოპების გავრცელების ზოგად კანონზომიერებებს.

შესავალი

საქართველოს წყალმომარაგების სისტემაში ლომის წილი- 70%-ზე მეტი, მოდის მიწისქვეშა წყლებზე. საქართველოს წყალშემცველი ჰორიზონტები მოიცავენ რამოდენიმე არტეზიულ აუზს და დაწნევით მიწისქვეშა სისტემებს, მათ შორისაა ალაზნისა და იორის აუზების წყალშემცველი ჰორიზონტები. ეს მიწისქვეშა წყლები მიუკუთვნებიან ერთ-ერთ ყველაზე შესწავლილ და ამავე დროს ყველაზე ექსპლუატირებულ წყალშემცველ ჰორიზონტს.

გლობალური დათბობა ნეგატიურ გავლენას ახდენს საქართველოს ბუნებრივ პირობებზე და ყველაზე მნიშვნელოვნად - მის აღმოსავლეთ ნაწილზე, განსაკუთრებით კი მდ. იორის ქვედა დინების აუზის ტერიტორიაზე, რომელიც ცნობილია ნათლად გამოხატული არიდულობითა და ნახევარუდაბნოსათვის დამახასიათებელი თავისებურებებით. ცხადია, აღნიშნულმა ნეგატიურმა ეკოლოგიურმა მოვლენებმა შესაბამისად გამოიწვია ამ რაიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესება და ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება იმის გამო, რომ აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობა უკვე განიცდის როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე სარწყავი წყლის მწვავე დეფიციტს. უფრო მეტიც, გაუდაბნოებამ, მომავალში ნეგატიური ეკოლოგიური პროცესების გაძლიერებისას, ადვილად შესაძლებელია შეუქცევადი ხასიათი მიიღოს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით კი – მარცვლეულის, მეცხოველეობისა და მევენახეობის წარმოების, ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ამ დარგების განვითრების თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიული, ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი რეგიონი მოსახლეობისაგან დაიცალოს.

სწორედ ამიტომ, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის, მისი ხარისხისა და მათზე მოქმედი ფაქტორების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამით უზრუნველვყოფთ მოსახლეობისა და წარმოებისთვის წყლის უწყვეტ მიწოდებას.

გარდა ტრადიციული ჰიდროგეოლოგიური (საცდელი ამოქაჩვები, ჩასხმები), გეოფიზიკური, გეოქიმიური და კომპიუტერული მოდელირების მეთოდებისა, არსებობს კვლევის სხვა მეთოდები, რომლებიც არ გამოიყენებოდა დღემდე საქართველოში. იგულისხმება ბუნებრივი იზოტოპების მეთოდები, სადაც იზოტოპები გამოყენება, როგორც "ინდიკატორი" ელემენტები, რათა უკეთესად იქნას ახსნილი წყლის წარმომავლობა და ისტორია, თუ რა "გზებით" გადაადგილდებოდა წყალი წყალშემცველ ჰორიზონტში კვების არედან განტვირთვის არემდე. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ქიმიური და იზოტოპური შემადგენლობა განისაზღვრება წვიმის წყლის შემადგენლობით და იცვლება ვადოზურ ზონებში, თოვლის საფარში, წყლის ნაკადებში და მიწისქვეშა წყალშემცველ ჰორიზონტებში მიმდინარე პროცესებით. მოდიფიცირება დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე და განპირობებულია მიწისქვეშა წყალშემცველ ჰორიზონტში ნაკადების გადაადგილების განსხვავებული გზებით ნალექებიდან განტვირთვის არეალებამდე. ბოლო 50 წლის განმავლობაში ჰიდროგეოლოგიასა და ჰიდროლოგიაში იზოტოპების (კონკრეტულად ჟანგბადი და წყალბადი) მეთოდების გამოყენებამ პრაქტიკულად სრულყო პრობლემის გადაჭრის ტრადიციული ჰიდროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, გეოფიზიკური და გეოქიმიური მეთოდები.

რუსთაველის სახელბის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში დაიგეგმა ალაზანი-იორის წყალშემკრებ აუზებში, მათ შორის ნახევრადუდაბნო რაიონებში, მიწისქვეშა წყლების რესურსების სრულყოფილ შეფასება ბუნებრივი იზოტოპებისა და ჰიდროქიმიური მეთოდების გამოყენებით.

საველე დაკვირვებები

პირველ ეტაპზე, წყალშემცველი ჰორიზონტების კვების არეალებში, 2013 წლიდან ორგანიზება გაუკეთდა რეჟიმულ დაკვირვებებს ჰაერის ტემპარატურას, ტენიანობასა და ატმოსფერულ ნალექების რაოდენობაზე იმ მეტეოლოგიურ სადგურებზე რომლებიც განლაგებული არიან თანაბრად მთელ ტერიტორიაზე და ახასიათებენ შემდეგ რეგიონებს: თიანეთი-მდინარე იორის კვების არეალი, თელავი-მდინარე ალაზნის ზედა წელი, ლაგოდეხი მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადების კვების არეალი და დედოფლის წყარო- მდინარე იორისა და ალაზნის ქვედა წელი. აღნიშნულ პუნქტებზე მეტეო მონაცემების გაზომვა ხდებოდა ყოველდღიურად. ჰაერის ტემპერატირის და ტენიანობის გაზომვა ხდებოდა სპეციალიზირებული აპარტურის გამოყენებით, რომლებიც შეძენილი იქნა საერთაშორისო ატომური სააგენტოს გრანტის (GEO7001) მეშვეობით. ასევე, ყოველდღიურად იზომება მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და თვეში ერთხელ ხდება სინჯის აღება მათსი სტაბილური იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით.

ნახ. 1 სარეჟიმო აპარატურის მონტაჟი ლაგოდეხის მეტეოსადგურზე

ნახ. 2 სარეჟიმო აპარატურის მონტაჟი თელავის მეტეოსადგურზე

მიწისქვეშა წყლების განტვირთვის არეალებში ორგანიზება გაუკეთდა რეჟიმულ დაკვირვებებს მდინარეებში წყლის დონის ვარიაციების დადგენის მიზნით, კერძოდ მდინარე იორზე თიანეთის რაიონში და ალაზანზე სოფ. შაქრიანთან თელავის რაიონში. აღნიშნული მდინარეებიდან ასევე, თვეში ერთხელ დაიწყო სინჯების აღება სტაბილური იზოტოპების გაზომვის მიზნით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თელავის და შაქრიანის სადგურებზე დამატებით ხდებოდა სინჯების აღება ტრიტიუმის განსასაზღვრავად ნალექებსა და მდინარის წყალში. ეს უკანასკნელი სადგურები ჩართული იქნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გლობალური ქსელი იზოტოპები ატმოსფეროში (GNIP) და გლობალური ქსელი იზოტოპები მდინარეებში (GNIR) ში.

ცხრილი №1 სარეჟიმო მეტეოპუნქტების მდებარეობა.

პუნქტის დასახელება	X	Y	სიმაღლე მ
"შაქრიანი" ჰიდროლოგიური სადგური	548204	4648613	340
“თელავი" მეტეოსადგური	540070	4642487	568
“თიანეთი" მეტეოსადგური	497244	4662730	1099
“დედოფლის–წყარო" მეტეოსადგური	590465	4591129	800
“ლაგოდეხი" მეტეოსადგური	605196	4630389	432

წყლის სინჯების იზოტოპური და ჰიდროქიმიური ანალიზი ჩატარდა სააგენტოს მიერ შეძენილი აპარატურის ლაზერული სპექტრომეტრით “Picarro” მეშვეობით გეოფიზიკის ინსტიტუტის გეოფიზიკისა და გეოთერმიის კვლევითი ცენტრის ლაბორატორიაში

ალაზანისა და იორის წყალშემკრებ აუზებში, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის დასადგენად ძირითად წყალშემცველ ჰორიზონტებზე ორგანიზება გაუკეთდა რეჟიმულ ჰიდროდინამიკურ დაკვირვებებს. მონიტორინგი დაიწყო ლაგოდეხის რაიონში მდებარე ჭაბურღილზე ამერიკული წარმოების ხელსაწყოს მეშვეობით რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების დაგროვებას და გადაცემას თბილისის ცენტრში GSM სისტემის მეშვეობით. წუთიერ რეჟიმში იზომება წყლის დონე ჭაბურღილში, ატმოსფერული წნევა და ტემპერატურა.

რეჟიმულ დაკვირვებები ასევე ორგანიზირებული იქნა დედოფლის-წყაროს რაიონში მდებარე ჭაში “Diver” ტიპის ხელსაწყოს მეშვეობით. ყოველსაათობრივად იზომება წყლის დონე და ტემპერატურა. მონაცემების მოხსნა ხორციელდება 1-2 თვეში ერთხელ კომპიუტერის მეშვეობით. შემდეგში დაგეგმილია დასაკვირვებელი პარამეტრების რაოდენობის გაზრდა.

მონაცემები მოთხოვნილი სიხშირით გროვდება ცენტრში. აქვე მუშავდება მონაცემები და ანალიზდება სეზონურობისა და სხვა ფაქტორების გავლენა ვარიაციებზე.

ცხრილი №2 სარეჟიმო ჰიდროლოგიური პუნქტების მდებარეობა

პუნქტის დასახელება	*X*	*Y*	*Altitute m*
"ლაგოდეხი" ჭაბურღილი	*606506*	*4632768*	*541*
დედოფლის–წყარო ჭა	591942	4591129	804



ნახ. 3 სარეჟიმო პუნქტების განლაგება ტერიტორიაზე

მონაცემთა ბაზის შექმნა და ანალიზი

პროექტის ამოცანების შესრულების მიზნით შეიქმნა მონაცემთა ბაზა რომელიც გამუდმებით ივსება მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონაცემებით.

მხოლოდ იზოტოპური მასალის პირველადმა ანალიზმა დააფიქსირა სეზონური ვარიაციები მათ ცვლილებაში. "თელავის" მეტეოსადგურზე ყოველთვიურად ნალექებიდან აღებულ სინჯებში ფიქსირდება იზოტოპური ცვლილებები. კერძოდ, გაზაფხულის მსუბუქი ფრაქცია (-10‰-18O; -80‰-2H), მძიმდება ზაფხულისკენ (--4‰ 18O; -20‰-2H) და ისევ მცირდება ზამთრის პერიოდისთვის (-15‰-18O; -80‰; -120H მდე). თითქმის იდეალურ მრუდზე აღინიშნება ერთი "დამძიმების" პიკი, რომელიც დაკავშირებულია შემოდგომის წვიმების პერიოდთან (ნახ. №4).



ნახ. 4 ატმოსფერულ ნალექებში სტაბილური იზოტოპების ცვლილების გრაფიკი "თელავის" სარეჟიმო სადგურზე

განსხვავებული სურათს ვიღებთ იქვე მდებარე “შაქრიანის” სარეჟიმო სადგურთან, მდინარე “ალაზანიდან”აღებულ სინჯებში (ნახ. №5) იზოტოპების “ზამთრის” მნიშვნელობები (-9.2 ‰- 18O; -60‰-2H) “მსუბუქდება” მაისის თვეში, რაც გამოწვეულია მთაში თოვლის ნადნობი წყლის შერევით მდინარეში (-10‰-18O; -68‰-2H), ივნისი-აგვისტოს თვეში იზოტოპური შემადგენლობა ისევ “მძიმდება”, თუმცა ის სრულად ვერ იმეორებს იქვე მდებარე “თელავის” მეტეოსადგურზე ატმოსფერულ ნალექებში იზოტოპების მნიშვნელობების მრუდს, რამდენადაც მდინარის წყლის იზოტოპური შემადგენლობით ჯამურად ახასიათდება უფრო ფართო არეალს “ალაზნის” სათავეებიდან მის შუა წელამდე. მრდუდზე ფიქსირდება ოქტომბრის წვიმების შედარებით “მძიმე” პიკი და ასევე, 2014 წლის იანვრის თვეში თოვლის მოსვლით გამოწვეული “გამსუბუქება” (10.5-‰- 18O; -72‰-2H).



ნახ. 5 მდინარე “ალაზანში” სტაბილური იზოტოპების ცვლილების გრაფიკი “ალაზანი-შაქრიანი” სარეჟიმო სადგურზე

იზოტოპური შემადგენლობის ვარაიციების განსხავებული სურათი გვაქვს “თიანეთის” მეტეო სადგურზე შეგროვებულ ნალექებში. მკვეთრად არის გამოხატული იზოტოპური შემადგენლობის “გამსუბუქება” (10-‰- 18O; -68‰-2H) 2013 წლის მარტი-აპრილის პერიოდის თოვლის დნობის პერიოდში (ნახ. №6).



ნახ. 6 ატმოსფერულ ნალექებში სტაბილური იზოტოპების ცვლილების გრაფიკი "თიანეთის" სარეჟიმო სადგურზე

მდინარე იორზე აღებულ სინჯებში, რომელიც შედარებით მცირე პერიოდისაა. ასევე ფიქსირდება 2013 წლის გაზაფხულის თოვლის დნობის შედეგად გამოწვეული იზოტოპური შემადგენლობის "შემსუბუქება" (ნახ. №7).



ნახ. 7 მდინარე "იორში" სტაბილური იზოტოპების ცვლილების გრაფიკი "ალაზანი-შაქრიანის" სარეჟიმო სადგურზე



ნახ. 8 ატმოსფერულ ნალექებში სტაბილური იზოტოპების ცვლილების გრაფიკი "დედოფლის-წყაროს" სარეჟიმო სადგურზე

წინა შემთხვევების მსგავსად ხდება "დედოფლის-წყაროს " მეტეო სადგურზე აღებულ ატმოსფერული ნალექების სინჯებში აღინიშნება გაზაფხულის იზოტოპების მნიშვნელობების "გამსუბუქება" (ნახ №8).

